# ლელო

№012 (12 389) 17 იანვარი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


3
ლატვიელებმა ქართველის კონტრაქტი შინიკისგან გამოისყიდეს

## მენთეშაშვილი ვენტსპილსში დარჩა


2
ანატოლი პისკოვეცი


ალექსანდრუ პოპოვიჩი

## ფრე პეტერბურგამდე

საქართველოს ჩემპიონში დუისბურგის ფორვარდი ისინჯება

## ცინცაძე ევროთასის ვარსკვლავია


12


3

## გოგუას ტრანსფერი გადაწყდა

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# ოლიმპის ფრე პეტერბურგამდე

## რუსთავში დუისბურგის ექს-ფორვარდი ისინჯება



ალექსანდრუ პოპოვიჩი

რუსთავის „ოლიმპმა" უკრაინულ შეკრებაზე კიდევ ორი საკონტროლო შეხვედრა გამართა. ორი დღის წინათ ტერნოპოლის „ნივასთან" შეხვედრა 0:1 წააგო, გუშინ კი სიმფეროპოლის „დინამო იგროსერვისთან" ფრედ 0:0 ითამაშა. ორივე მატჩს ალუშტის „სპარტაკის" სტადიონმა უმასპინძლა.

**„ოლიმპი: მერლანი - სილაგაძე (46. ფარულავა), მახვილაძე, ორბელაძე - კახელიშვილი (46. მეტრეველი), ხუბუა, სტეჩკო (46. კვარაცხელია), გენაძე (46. სებისკვერაძე) - სტეფნიშვილი (46. ჯოჯუა), ემელიანოვი, პოპოვიჩი.**

როგორც შევიტყვეთ, რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** კიდევ ხუთ უკრაინელს სინჯავს, მაგრამ უცნობია, რომელი მათგანი მოირგებს „ოლიმპის" ფორმას.

პისკოვეცმა გუნდი 3-4-3 განლაგებით ათამაშა. საკმაოდ საინტერესო შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა.

გუშინ კლუბში პირველად ითამაშა მოლდოველმა თავდასხმელმა **ალექსანდრუ პოპოვიჩმა**, რომლის დატოვებაც ანატოლი პისკოვეცს ძალიან სურს. არც გვიკვირს, პოპოვიჩი (რომელიც 2008 წლის ცხრა აპრილს 31 წლის გახდება) საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელია, უთამაშია მოლდოვის ნაკრებში და ბევრ ცნობილ კლუბში.

ტირასპოლში დაბადებული მოლდოველი საკმაოდ მაღალი თავდამსხმელია (186 სმ). ჯერ კიდევ მერვეკლასელი უკრაინელმა სელექციონერებმა შენიშნეს და კიევის ოლიმპიური მომზადების ცენტრში მიიწვიეს. სკოლის დასრულების შემდეგ, მოლდოვაში დაბრუნდა და „ტილიგულში" ჩაირიცხა.

1997-98 წლებში იმ „დუისბურგში" თამაშობდა, გერმანიის თასის ფინალში რომ გავიდა და ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილი დაიკავა. მერე იყო ისევ მოლდოვა, მოსკოვის „დინამო" და კორეული კლუბი, სონგნემის „ილვა". ნახევარი წლის შემდეგ კორეიდან უკრაინაში დაბრუნდა და მოირგო ჯერ „დნეპრის" მერე კი „კრივბასის", დონეცკის „მეტალურგისა" და ბოლოს, ლუგანსკის „ზარიას" მაისურები. 2006 წლის იანვრის დასაწყისში ირანში, „ესტეღლალში" უნდა ეთამაშა, მაგრამ რა მიზეზით წამოვიდა იქიდან, ჩვენთვის უცნობია.

პოპოვიჩი უკანდახეული თავდამსხმელია და წლების განმავლობაში მოლდოვის ნაკრებში თამაშობდა. ბოლოს ეროვნულ გუნდში 2005 წლის 5 ოქტომბერს, ოსლოში, ნორვეგიის წინააღმდეგ ითამაშა.

მისი გვარი ინტერპტაციის საშუალებას იძლევა და უკრაინელებმა ვერ გაიგეს, უკრაინელი იყო მოლდოველი. ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს კიდეც, როგორ გამოითქმება შენი სახელი და გვარი, „ალექსანდრ პოპოვიჩ" თუ „ალექსანდრუ პოპოვიჩი"? რუსულად გამოთქმისას, ამ ორ გვარში იგრძნობა განსხვავაება. ის ალექსანდრუ პოპოვიჩია. აი ქართულად კი ნებისმიერ შემთხვევაში ერთნაირად გამოითქმის.

პოპოვიჩის გარდა, გუშინ პისკოვეცმა ჩერნოვცის „ბუკოვინას" თავდამსხმელი **ალექსანდრ ემელიანოვიც** გასინჯა. „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელს ჯერ მხოლოდ პოპოვიჩის, აგრეთვე საყდენების, **ნიკოლაი სტეჩკოს, სერგეი პატულას** და თავდამსხმელ **ანტონ კოვალეცკის** დატოვება სურს.

„დინამო იგროსერვისთან" რუსთაველებმა ალუშტაში დაგეგმილი ბოლო საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს და ზეგ პეტერბურგში, „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ გაემგზავრებიან.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ჩიხრაძე

# ამერი ნაკრების ბაზაზეც მოღონიერდა

საქართველოს თასის ორგზის მფლობელი თბილსის „ამერი" დღეს ბოლნისში ჩავა და იქაურ „სიონს" ამხანაგურად გაეჯიბრება.

ბოლო ორი დღე „ამერი" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში ემზადებოდა - ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობდა და კუნთებს სატრენაჟორო დარბაზში იმაგრებდა. "სიონთან" მატჩის შემდეგ ამერელები იპოდრომზე გააგრძელებენ ფიზიკური კონდიციების ამაღლებას, არც ტრენაჟორს დაივიწყებენ და თუ ამინდი ხელს შეუწყობს, რომელიმე მინდორზე ბურთსაც გააგორებენ.

„ამერის" პირველ გუნდში დააბრუნეს მაჯვენაფლანგელი **გიორგი სილაგავა**. პირველ გუნდში ვარჯიშობს მეორე გუნდიდან აყვანილი **ფარჩუკაშვილი, კბილცეცხლაშვილი** და **გვენცაძე**, თუმცა სეზონის მეორერე ეტაპისთვის მათი პერველ გუნდში ყოფნა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. „ამერმა" გამოსაცდელად ფეხბურთელები მესამე გუნდიდანაც აიყვანა - **ცხოვრებაშვილი** და **ხუციძე**.

წავა თუ არა „ამერი" შეკრებაზე გრიგოლეთში, სათუო გახდა. იყო დრო,"ამერი" ერთ მოსამზადებელ პერიოდში რამდენიმე შეკრებაზე მიდიოდა,ახლა კი ალბათ, სხვა რელსებზე გადავიდა.

**დავით თავართქილაძე**

# ლე მანი და დენდერი

## პერველლიგური ფანჯარა ევროპაში

პირველლიგელი „გაგრა" პარტნიორებს უცხოეთში ეძებს და შეიძლება ითქვას, უკვე გამოძებნა ორი ასეთი კლუბი.

„გაგრის" პრეზიდენტი ბესარიონ ჩიხრაძე და სპორტული დირექტორი გია გეგუჩაძე ჯერ საფრანგეთში ჩავიდნენ „ლე მანთან" მოსალაპარაკებლად, ახლა კი ბელგიაში არიან, სადაც „დენდერს" შეუთანხმდნენ თანამშრომლობაზე.

„ლე მანიც" და „დენდერიც" თავიანთი ქვეყნების უმაღლესი ლიგების გუნდები არიან. „ლე მანში" უკვე არის „გაგრის" ყოფილი ფორვარდი ვახტანგ ფანცხავა - ის ჯერ მეორე გუნდშია.

რაც შეეხება „დენდერს", ამ გუნდს იოჰან ბოსკამპი წვრთნის, თბილისის „დინამოს" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი, ვისი თანაშემწეც მაშინ გეგუჩაძე იყო.

ბელგიაში სწორედ გეგუჩაძეს შევეხმიანეთ.

- „დენდერთან" უკვე მივაღწიეთ სიტყვიერ შეთანხმებას თანამშრომლობაზე. „გაგრის" ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბის სხვა თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან ამ გუნდში. დაგეგმილია „გაგრასა" და „დენდერის" ერთობლივი შეკრებებიც. პირველი ასეთი შეკრება ზაფხულში გვექნება, რისთვისაც უკვე ადგილიც შევარჩიეთ ბელგიაში.

**- ოფიციალური ხელშეკრულება როდის გაფორმდება „დენდერთან"?**

- 21 თებერვალს „გაგრა" შეკრებაზე ჩავა ანთალიაში, იქ იქნება „დენდერიც" და ხელშეკრულებაც ანთალიაში გაფორმდება.

**- „ლე მანთან" რა სახის თანამშრომლობა იგეგმება?**

- ფაქტობრივად იგივე, რაც „დენდერთან". ფრანგები ახლა ანთალიაში არ მოდიან, თუმცა მათთანაც მალე გაფორმდება ხელშეკრულება.

**- რა უშლის ხელს იმას, რომ „ლე მანთან" და „დენდერთან" ჭიანურდება კონტრაქტის გაფორმება?**

- იურიდიულად ყველაფერი გამართულად უნდა გვქონდეს. ამას რამდენიმე დღე დასჭირდება და მერე ხელშეკრულება ორივე გუნდთან ოფიციალურად გაფორმდება.

**დავით თავართქილაძე**

ფუტზალი

# აზერბაიჯანმაც მოგვიგო

ბაქოური ოთხთა ტურნირი ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის წარუმატებლად დაიწყო და გუშინ ასევე გაგრძელდა. შეგახსენებთ, პირველ ტურში ყაზახეთის ნაკრებთან 1:3 წავაგეთ, გუშინ კი აზერბაიჯანის ეროვნულმა გუნდმა ასეთივე ანგარიშით მოგვიგო. ჩვენი გუნდი ტურნირს აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩით დაასრულებს, საუკეთესო შემთხვევაში, ქართველი ფუტზალელები ოთხ გუნდს შორის მესამე ადგილს დაიკავებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**




პირველ დღეს ქართველები ყაზახებთან დამარცხდნენ

ფიფას რეიტინგი

# ერთი საფეხურით ზევით

გუშინ ფიფამ იანვრის მსოფლიო სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა. ეროვნულმა გუნდებმა განვლილ ერთ თვეში მიზერული რაოდენობის მატჩები ჩაატარეს, შესაბამისად, სიაში მინიმალური ცვლილებებია. ამის მიუხედავად, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მდგომარეობა ერთი ადგილით გაიუმჯობესა, ტოპმიოლერის კრებულმა 77-ედან 76-ე პოზიციაზე აინაცვლა. ცნობისათვის, ჩვენს მსგავსად, 414 ქულა აქვს და იგივე ადგილი უჭირავს ალჟირის ეროვნულ ნაკრებს.

საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. არგენტინა | 1523 |
| 2. ბრაზილია | 1502 |
| 3. იტალია | 1498 |
| 4. ესპანეთი | 1349 |
| 5. გერმანია | 1305 |
| 6. ჩეხეთი | 1290 |
| 7. საფრანგეთი | 1243 |
| 8. პორტუგალია | 1241 |
| 9. ჰოლანდია | 1170 |
| 10. ხორვატია | 1129 |

როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონი იტალია რეიტინგში მესამეა, ჩვენი ჯგუფის სხვა წევრების პოზიციები კი ასეთია:

| | |
|---|---|
| 18. ბულგარეთი | 881 |
| 36. ირლანდია | 731 |
| 65. კვიპროსი | 493 |
| 172. ჩერნოგორია | 65 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



ზურაბ მენთეშაშვილი

# მენთეშაშვილი ვენტსპილსში დარჩა

გასულ სეზონში რუსული „შინიკიდან" ლატვიურ „ვენტსპილსში" განათხოვრებული ზურაბ მენთეშაშვილი ბალტიისპირეთში კიდევ ორ წელს გაატარებს - „ვენტსპილსმა" ის გამოისყიდა ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

გაუსლი წლის მიწურულს მენთეშაშვილი ლევან ცქიტიშვილთან ერთად „კაიზერსლაუტერნში" აპირებდა წასვლას, თუმცა იქიდან **კლაუს ტოპმიოლერის** წასვლამ ტრანსფერი ჩაშალა.

"ვენტსპილსი" ლატვიის ჩემპიონია, სანქტ-პეტერბურგში თანამეგობრობის თასზე იასპარეზებს. ლატვიელები იმავე ჯგუფში არიან, რომელშიც ჩვენი ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი". საინტერესოა ითამაშებს თუ არა დსთ-ის ტურნირზე და "ოლიმპის" წინააღმდეგ მენთეშაშვილი. მას კუნთის ტრავმამ შეახსენა თავი და ექიმებმა რამდენიმე დღით დასვენება ურჩიეს.

თუ მენთეშაშვილმა ვერ ითამაშა თანამეგობრობის თასზე, საინტერესოა ლატვიასთან 6 თებერვლის საშინაო მატჩში შეძლებს თუ არა თამაშს. საკითხი მომავალ კვირაში უნდა გაირკვეს, ექიმებთან გამოკვლევის შემდეგ.

**დავით ცაბაძე**

# გოგუას ტრანსფერი გადაწყვეტილია

## ქართველი პირად კონტრაქტს ათანხმებს

ნალჩიკის „სპარტაკმა" ორი შემადგენლობით ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ორივეჯერ უკრაინელებმა გაიმარჯვეს 2:1 და 2:0. **დათო კვირკველიამ** ზაპოროჟიელთა ძირითადში 55 წუთი ითამაშა. „სპარტაკის" ფორმით მოედანზე ორი ქართველი გავიდა: **გოგიტა გოგუამ** მეორე ტაიმი ითამაშა და ერთადერთი გოლი მის გადაცემას მოჰყვა. **ალეკო ამისულაშვილმა** კი შეცვლაზე ნახევარი საათი ითამაშა.

მანამდე კი „სპარტაკმა" დაბალი დივიზიონის თურქულ კლუბ „ზეითინბურნუს" 4:0 მოუგო. ნალჩიკელთა ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, გოგიტა გოგუა შეკრების შემდეგ „სპარტაკთან" კონტრაქტს გააფორმებს. ახლა კი ფეხბურთელი კლუბთან პირადი ხელშეკრულების პირობებს აზუსტებს. გოგიტამ რუსეთში სახელი 2006 წელს სწორედ ნალჩიკში ჩინებული თამაშის შემდეგ გაითქვა.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

# ანთალიაში მივდივართ შეკრებაზე, ასე ხუმრობენ ქუთაისში

## ტორპედო ისევ წვალებით და ვალებით?

რამდენიმე წლის წინათ ქუთაისის „ტორპედოსთვის" უცხოური შეკრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქვეყნის სამგზის ჩემპიონები ხან ანთალიაში ემზადებოდნენ და ხან თურქმენეთში. **შტელინის** მწვრთნელობისას კი ბელგიის ერთ-ერთ ცნობილ კურორტზე იმყოფებოდნენ შეკრებაზე. „დრონი მეფობენ და არა მეფენიო" - ასე დაემართა ქუთაისის „ტორპედოსაც. ახლა ბელგიას და ანთალიას ვინლა დაეძებს, ქუთათურებს იმის საშუალებაც კი არ გააჩნიათ, რომ შეკრება სალორიის საწვრთნელ ბაზაზე გაიარონ.

პირველ ლიგაში დაქვეითებულმა რიონისპირელებმა საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადება გუშინ დაიწყეს. ბოლო დროს ხშირად გაისმოდა „ტოპედოში" მალე ახალი ინვესტორი გამოჩნდებაო, ჰოდა შექმნილი მდგომარეობაში რომ გავრკვეულიყავი, „ტორპედოს" ბაზას ვესტუმრე. როცა ვიკითხე რა ვითარება იყო გუნდში, ერთ-ერთმა მწვრთნელმა **გელა კიკალიშვილმა** მიპასუხა: *„დღეს შევიკრიბეთ და 20 იანვარს ორი კვირით ანთალიაში მივდივართ მოსამზადებლადო..."* ეს რა თქმა უნდა სევდანარევი ხუმრობა იყო, შემდეგ კი დაამატა: *„ეჰ, დრო იყო ერთი თვე ბელგიაში ვემზადებოდით, ახლა კი ჩვენს საკუთარ ბაზაზე ვერ ვახერხებთ შეკრების მოწყობას. კიდევ კარგი გუნდი ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული, ბიჭებს ბაზაზე ვერ ვტოვებთ და ვარჯიშზე სახლებიდან დადიანო."*

გუნდის მთავარი მწვრთნელი **დავით ჯანაშიაც** შეფიქრიანებული იყო: *„სპონსორის თაობაზე დიდი ხანია მიდის საუბარი, მაგრამ რეალურად არაფერი ჩანს. ფაქტია, რომ დღესდეობით „ტორპედო" უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. შეკრების დაწყება 10 იანვარს გვინდოდა, მაგრამ ბაზაზე არც წყალი იყო და არც გათბობა. ფეხბურთელებს სავარჯიშო პირობები არ ჰქონდათ და ასეთ ვითარებაში მზადების დაწყებას რა აზრი ჰქონდა? ფეხბურთელები დღეს შევკრიბეთ და მათი ფიზიკურად დატვირთვა დავიწყეთ. გუნდიდან მდივნიშვილი წავიდა, რომელმაც ჭიათურის „მაღაროელს" მიაშურა, დანარჩენები ჯერჯერობით გუნდში არიან, მაგრამ მდგომარეობა უკეთესობისკენ თუ არ შეიცვალა, არ ვიცი როდემდე ეყოფათ ამ ბიჭებს ნებისყოფა. გვეუბნებოდნენ არჩევნების შემდეგ დაფინანსების საკითხი მოგვარდებაო და ვნახოთ რა იქნება. თუ არაფერი შეიცვლება ასეთ ვითარებაში როგორ ვაპირებთ მეორე წრეში ასპარეზობას არ ვიცი. ალბათ, როგორც შარშან, წვალებით და ვალებით... თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი და არც ჩვენი მოთმინება და ეთუზიაზმია უსაზღვრო..."*

შემდეგ გუნდის უფროსს **პაპუნა მელაძეს** გავესაუბრე. მისი თქმით ჯერ არც სპონსორი ჩანს და არც პერსპექტივები, თუმცა იგი ახალგაზრდა ფეხბურთელებში დიდ პოტენციალს ხედავს და ქუთაისური გუნდის მომავალსაც მათ უკავშირებს: *„გინახავთ მსოფლიოს რომელიმე კლუბში ისეთი ხელმძღვანელობა როგორიც ქუთაისის „ტორპედოს" ჰყავს? წელიწადი და ორი თვეა ერთი თეთრიც არ აგვიღია, პირიქით, გუნდისთვის ჩვენი ჯიბის ფულს ვხარჯავთ. ეს არანაირად არ გვევალება, მაგრამ „ტორპედოზე" გული შეგვტკივა და რაც შეგვიძლია მის გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებთ. უკვე ყელში გვაქვს ამოსული, მაგრამ ის გვაძლებინებს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებში, რომლებიც ახლა „ტორპედოს" ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, დიდ პოტენციალს ვხედავთ. ამ ბიჭების დიდ ნაწილს დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია და მათი შუა გზაზე მიტოვება საცოდაობა იქნება... მეტი რა უნდა გავაკეთო, როცა გუნდის უფროსობასთან ერთად მძღოლისა და ყარაულის ფუნქციაც მაქვს შეთავსებული?! მორიგეობა გვაქვს დაწესებული, ბაზაზე მწვრთნელები რჩებიან რაიმე რომ არ დაიკარგოს და აქაურობა არ განიავდეს... გამოსავალი რაშია? - გამოსავალზე მათ უნდა იფიქრონ, ვისაც „ტორპედოს" საკელთილდღეოდ რაიმეს შეცვლა შეუძლია. მე გუნდის დაფინანსება რომ შემეძლოს, ამას აქამდე გავაკეთებდი, მაგრამ სამწუხაროდ ამის საშუალება არა მაქვს. თუ ვინმე გუნდის დაფინანსებას ისურვებს, ჩვენ ყველანაირად გვერდით დავუდგებით. პრეზიდენტის რწმუნებული შეგვპირდა, რომ სპონსორის საკითხი გადაწყდება, მაგრამ, ალბათ, მასაც რაღაც უშლის ხელს...იმედია დადებითი ძვრები მართლაც იქნება."*

სამწუხაროდ, ასეთი პესიმისტური განწყობა დამხვდა სალორიის საწვრთნელ ბაზაზე. არადა, როცა „ტორპედო" პირველ ლიგაში დააქვეითეს, ყველას მიაჩნდა, რომ ქუთაისური გუნდის გასაჭირი დროებითი იყო და იგი მალე დაუბრუნდებოდა უმაღლეს ლიგას. მას შემდეგ გუნდის საკეთილდღეოდ არაფერი არ შეცვლილა. ასეთ ვითარებაში კი „ტორპედოს" კარგი პერსპექტივები არ ელოდება. ჯერჯერობით არ ჩანს ის ადამიანი რომელიც „ტორპედოს" ამ წუმპედან ამოათრევს, სალორიის საწვრნელი ბაზის კარი კი ღიაა...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

სამზადისი. თბილისის დინამო

# დღეს დემირსფორთან

თურქეთში შეკრებაზე მყოფი თბილისის "დინამო" დღეს მესამე ლიგის წარმომადგენელ "დემირსფორთან" ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. შეხვედრები 12 და 17 საათზე გაიმართება და **დუშან უჰრინი** შეეცდება ყველა ფეხბურთელი გამოცადოს, მათ შორის დებიუტანტებიც.

შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ **ილია სპასოევიჩი** და **შოთა კაშია**, რომელთაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, აი **ნიკა ფირცხალავამ** კი ვერ მოასწრო მომჯობინება და ალბათ, ერთადერთი იქნება, თამაშის შანსი რომ არ მიეცემა.

**დავით ცაბაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სავარაუდო ტრანსფერი

# განუგრავა ესპანეთშია

## ქართველს გერმანელებთან გამოცდიან



გიორგი განუგრავა ბაზელის ვარჯიშზე

"ზესტაფონის" ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა**, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში არ ჩანდა, რამდენიმე დღის წინათ შვეიცარიულ "ბაზელში" გამოჩნდა. მანამდე ის ჯერ საბერძნეთში, მერე კი კვიპროსზე იმყოფებოდა. განუგრავას კვიპროსულ "აპოელში" გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ გარიგება გარკვეულ მიზეზთა გამო არ შედგა.

გიორგი განუგრავას "ბაზელში" გამოჩენას შვეიცარიული პრესაც გამოეხმაურა.

"ჩვენთანაა ქართველი ნახევარმცველი განუგრავა. მას ჩვენ ესპანეთში, ლა მანგას შეკრებაზე წავიყვანთ. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში არაერთი მატჩი აქვს ჩატარებული. ვფიქრობთ საინტერესო მოთამაშეა და ესპანურ შეკრებაზე დავაკვირდებით", - განაცხადა "ბაზელის" მთავარმა მწვრთნელმა **კრისტიან გროსმა**.

ესპანურ შეკრებაზე "ბაზელმა" ერთი საკონტროლო მატჩი უკვე გამართა, მაგრამ განუგრავას არ უთამაშია - ქვედალიგოსანი "სოლოთურნი" 6:0 გაანადგურეს. არა და "ბაზელის" ოფიციალურ ვებგვერდზე ლა მანგას შეკრების ფოტოებია ასახული და ფოტოებიდან ნათლად ჩანს რომ განუგრავა სხვებთან ერთად, 28 ნომრიანი მაისურით, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრისტიან გროსმა ქართველს ფიზიკურად მომაგრებისთვის დრო მისცა. მომდევნო საკონტროლო შეხვედრას "ბაზელი" დღეს, 17 იანვარს გერმანულ "ბოხუმთან" გამართავს. 20 იანვარს კი კრისტიან გროსის გუნდი კიდევ ერთ გერმანულ გუნდს, "ჰოფენჰაიმს" გაეჯიბრება.

**დავით ცაბაძე**



სანდრო იაშვილი

# იაშვილმა დელემონს გაუტანა

2008 წლის პირველი გოლი **სანდრო იაშვილმა** გუშინ იზეიმა. მისმა "თუნმა" საკონტროლო მატჩი ქვედალიგელი "დელემონის" წინააღმდეგ ჩაატარა. თამაში მეტად თვალსასეირო გამოდგა და საბოლოოდ, "თუნის" გამარჯვებით, 5:4 დასრულდა. იაშვილმა თავი პირველ ტაიმში გამოიჩინა, შესვენების შემდეგ კი ძირითადში გამწესებული თითქმის ყველა ფეხბურთელი შეცვალეს. იმედია, სანდრო წარმატებულ სერიას ოფიციალურ შეხვედრებშიც განაგრძობს, "თუნის" ძირითადში მყარად დამკვიდრდება და ოფიციალურ მატჩებში შეგდებულ ერთადერთ გოლს კიდევ ბევრ გატანილ ბურთს მიუმატებს.

აქვე გეტყვით, რომ შვეიცარიის ჩემპიონატი მომავალ შაბათ-კვირას განახლდება, სადღეისოდ "თუნი" ათგუნდიან უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა 17 ქულით და ბოლოადგილოსან "სენტ გალენს" 4 ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# იმედაშვილი უჟგოროდში აღარ გაუშვეს

**დავით იმედაშვილს** უჟგოროდის „ზაკარპატიეში" გადასვლის იმედი კიეველებმა ჩაუკლეს. მოლაპარაკებები ჯერ კიდევ დეკემბერში დაიწყო და „ზაკარპატიეს" ხელმძღვანელობამ ინფორმაცია ისე გაამხილა, თითქოს, საკითხი გადაწყვეტილი იყო.

თუმცა გუშინ კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა შეკრებაზე გასამგზავრებელ მოთამაშეთა გვარები და მათ შორის, ქაალთველი მცველი აღარ ფიგურირებდა. „ზაკარპატიეს" ვებ გვერდის ინფორმაციით, კლუბში მისი გადასვლა გამოირიცხა.

დათო ისევ კიეველებთან ერთად აგრძელებს „თანამეგობრობის თასისთვის" მზადებას. მას კიევის „ობოლონთან" ბოლო შეხვედრა არ უთამაშია, მაგრამ პეტერბურგში კიეველთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ. „დინამოს" ადმინისტრაციის მიერ დასახელებულ სავარაუდო შემადგენლობაში დათო ძირითადში ეწერა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**



ნიკო პატარქალიშვილი, ვასილ აფციაური, ედუარდო დელგადო და ხვიჩა მურლულია

# ქართველები არგენტინაში

**ნიკო პატარქალიშვილის** საქმიანობა ალბათ, ყველასათვის კარგადაა ცნობილი.

სპორტის, კულტურის, საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავკაცს, სხვა საქმიანობასთან ერთად არგენტინაში ფეხბურთელებიც მიჰყავს მოსამზადებლად. ის ახლახანს დაბრუნდა სამხრეთ ამერიკიდან და არგენტინაში პირველად წასულ ორ ფეხბურთელზე, **ვასილ აფციაურსა** და **ხვიჩა მურლულიაზე** გვიამბობს:

*"ჩვენი მიზანია 2014 წელს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზოს. ამ მიზნის მისაღწევად მე და ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი* ***ედუარდო დელგადო*** *ერთიანი ძალით ვმუშაობთ.* ჩვენი მიზანია ეროვნულ ნაკრებს ფეხბურთელები მაღალ დონეზე მოვუმზადოთ. მომზადებული ფეხბურთელებიდან ერთ-ორმა მაინც რომ ითამაშოს ეროვნულ ნაკრებში, ეს ჩვენთვის დიდი მიღწევა იქნება.

უკვე რამდენიმე თვეა ჩვენი ორი ფეხბურთელი, 20 წლისა მცველი ხვიჩა

მურლულია (დაცვაში ცენტრში და მარცხნივ შეუძლია თამაში) და

18 წლის ნახევარმცველი ვასილ აფციაური არგენტინაში ემზადებიან. მურლულიას უკვე შეუძლია ახალგაზრდულ, ხოლო აფციაურს 19 წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობა.

არგენტინაში ამ ბიჭების საქმე ძალიან კარგად მიდის. ერთი ნაბიჯი და მურლულია პროფესიულ გუნდში გადავა. ის ახლა "დეპორტივო მერლოს"

ახალგაზრდიულ გუნდშია. მალე მთავარ გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს და თუ დაიმსახურებს ძირითად გუნდშიც მალე მოუწევს ძალების მოსინჯვა. ხვიჩა მურლულიამ "დეპორტივო მერლოს" ახალგაზრდულ გუნდში, ყველა თამაშში მიიღო მონაწილეობა. მცველია, მაგრამ 5 გოლი აქვს გატანილი. არგენტინაში წასვლამდე ის არ იყო დიდად გამორჩეული ფეხბურთელი, მაგრამ ახლა მნიშვნელოვნად მოუმატა.

რაც შეეხება აფციაურს, ვასომ დელგადისთან გაიარა ვარჯიშები. ის ახლა "ნუევო ჩიკაგოს" ახალგაზრდულ გუნდშია, 1990 წელს დაბადებულებში ვარჯიშობს. ამ გუნდმა ჩემპიონატში პაუზისას მხოლოდ 2 ფეხბურთელი დაიმატა და ერთ-ერთი აფციაურია. ის საქართველოდან არეგენტინაში წელის ტკივილებით წავიდა, იქ უმკურნალეს და მოკლე ხანში დიდ პროგრესს მიაღწია. დელგადომ მითხრა, 2 წელი მაცადე და აფციაურის სახით ახალ კაკას ჩაგაბარებთო.

ეს ბიჭები ახლა თბილისში არიან საახალწლო არდადეგებზე და იანვრის ბოლოს მივემგზავრებით არგენტინაში"

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



# კვარაცხელიას ახალი მიმართულება: ალმასკომის წევრები

**მამუკა კვარაცხელიამ**, ვინც შარშან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, გუშინ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის ოფისში პრესკონფერენცია გამართა.

კვარაცხელია ფეხბურთის ფედერაციიის ხელმძღვანელობის და ჩვენი ეროვნული ნაკრებების უცხოელ მწვრთნელთა ძალიან მწვავე ოპონენტია და გუშინაც არ დააკლო მათ ქოქოლა.

- ქართულ ფეხბურთს აქვს პოტენციალი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ ფედერაციის ამ ხელმძღვანელობის და ტოპმიოლერის ხელში ეს შეუძლებელია. არ მესმის, რატომ არის ჩუმად ჩვენი საფეხბურთო სამყარო. სასწრაფოდ უნდა დავითხოვოთ ფედერაციის ეს შემადგენლობა - წინაალმედ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები წყალში გადაიყრება. ფაქტია, ქართველი მწვრთნელების ხელში ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს უკეთესი შედეგი ჰქონდათ - რევაზ გაგუამ, ვახტანგ კოპალეიშვილმა და კობა ჟორჟიკაშვილმა ჭაბუკთა ნაკრებები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანეს. კოპალეიშვილს ხელფასი ასი დოლარი ჰქონდა, გაგუას კი ხელფასი ფაქტობრივად არ ჰქონია...ყველა ქართველ სანაკრებო მწვრთნელს არ აუღია იმდენი ფული, რამდენიც ჰერბერტ ცანკერმა აიღო 17 წლამდელების წარუმატებლად გაწვრთნისთვის. რაც შეეხება კლაუს ტოპმიოლერს, ის წამში თითქმის ერთ ლარს იღებს, მისი ხელფასი საკმარისი იქნებოდა ჩვენი უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდის ნორმალურად არსებობისთვის.

- თქვენი უახლესი სამოქმედო გეგმა როგორია?

- ფედერაციის უმაღლესი ორგანო ალმასკომია და ყველანაირად ვეცდები, ალმასკომის წევრები დავარწმუნო, ტოპმიოლერის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირონ. ვიცი, რომ ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ ამ დროისთვის სხვა ბერკეტი არ არსებობს.

**- ქართულ საფეხბურთო სამყაროს რა რეპუტაციაც აქვს, კარგად გამოჩნდა ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ არჩევნებში..**

- იმ არჩევნების მეორე ტურის წინ რამდენიმე დელეგატმა მითხრა, დაჭერით დამემუქრნენ და ამიტომ ვაძლევ ხმას ახალკაცსო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, მუქარას რომ არ შეუშინდნენ...

**- თქვენ იმ ალმასკომოს იმედი გაქვთ, რომელმაც ლამის ერთხმად დაუჭირა მხარი ეროვნული ნაკრების პოსტზე გაიოზ დარსაძის კანდიდატურას? როგორ ფიქრობთ, ისინი ტოპმიოლერს არ დაუჭერენ მხარს?**

- თუ სწორ გადაწყვეტილებას არ მიიღებთ, თქვენ იქნებით დამნაშავენი ქართული ფეხბურთის წინაშე - ვეცდები, რომ მათ ეს კარგად გაითავისონ.

**- ფედერაცია 17 და 19 წლამდელთა ნაკრებებში ქართველი მწვრთნელების დანიშვნას აპირებს, ლაპარაკია გელა შეყილაძესა და ზაურ სვანაძეზე...**

- შეყილაძეს და სვანაძეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათ ჯერ არ მოულწევიათ იმდენისთვის, რომ ასეთ თანამდებობაზე იმუშაონ. ჟორჟიკაშვილი, დევდარიანი, გეგუჩაძე, კორლალიძე... გვყავს ისეთი მწვრთნელები, რომლებმაც უკვე საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

პრესკონფერენიის ბოლოს კვარაცხელიამ ისიც თქვა, დღეს ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენიების დღეა, ეს კაცი ყველანაირად ცდილობდა ერისთვის საგანძურის შენარჩუნებას, ფეხბურთის ფედერაცია კი ხალხის ქონებას უცხოელ მწვრთნელებზე ანიავებსო.

დავით თავართქილაძე

## ციმაკურიძე ტავრიას ბომბარდირია

**სიმფეროპოლის** „ტავრიას" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ციმაკურიძესა** და სხვა ახალწვეულებს სინჯავს. ოთხი საკონტროლო შეხვედრის შემდეგ, გუნდმა ალუშტაში შეკრება დაასრულა და მთავარმა მწვრთნელმა დასატოვებელთა და გასაშვებთა გვარები დაასახელა.

გიორგი ციმაკურიძის ბედი, რომელიც დეკემბერში ლუგანსკის „ზარიადან" წამოვიდა, ჩვენთვის ჯერაც უცნობია. **ფომენკომ** გიორგი არც „შავ სიაში" შეიყვანა და არც „თეთრში". წესითა და რიგით, ქართველ მცველს კონტრაქტის მოპოვების შანსი უნდა ჰქონდეს, რადგან „ტავრიაში" ოთხივე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და ორი ბურთი გაიტანა, რაც მცველისთვის საშური შედეგიანობაა. პირველად მან თავი რუსთავის „ოლიმპთან" გამოიჩინა, მეორედ კი 15 იანვარს უზბეკურ „კურუვჩისთან". ბოლო მატჩი უკრაინელებმა 1:0 მოიგეს. ერთადერთი ბურთი ციმაკურიძემ 61-ე წუთზე გაიტანა.

მერაბ მამულაშვილი

## სალუქვაძე კორეელებთან დამარცხდა

რუსულ პრემიერლიგაში ახალი სეზონის დაწყებამდე გუნდები მზადებას უცხოეთში გადიან. თურქეთში, ბელექში ემზადება ყაზანის "რუბინი". ყაზანელებმა უკვე ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. "რუბინი" გერმანულ აუესთან მინიმალურად 0:1 დამარცხდა. გუშინ ყაზანელებმა მორიგი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და იგივე ანგარიშით წააგეს - ამჯერად კორეულ "იონსაისთან". ყაზანელთა გუნდში სასტარტო შემადგენლობაში იყო საქართველოს ნაკრების მცველი **ლაშა სალუქვაძე** და თამაშიც ჩაამთავრა. მეკარე **ნუკრი რევიშვილს** კი კვლავაც არ უთამაშია.

დავით მუჯირის "კრილია" კი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ემზადება. გუნდს ახალი მწვრთნელი **ლეონიდ სლუცკი** ამზადებს. თუმცა ტრავმის გამო გუნდთან ერთად ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს მუჯირი. "კრილიას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით ქართველი ფეხბურთელი კვლავაც ინდივიდუალური პროგრამით განაგრძობს მზადებას.

დავით ცაბაძე

## მათე ბაიერნთან დაბრუნდება

**მათე ლვინიანიძე** მუხლზე გაკეთებული ოპერაციისა და დაახლოებით ერთთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანს მალე დაუბრუნდება, მისი გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. "მიუნხენ 1860"-ის ვებ გვერდის ცნობით, 26 იანვარს მათი გუნდი "ალიანს არენაზე" "ბაიერნს" ამხანაგურად ეთამაშება და ქართველი მცველის დაბრუნება სავარაუდოდ ამ მატჩში შედგება. შეგახსენებთ, რომ ლვინიანიძემ დეკემბერში მუხლის ოპერაცია გადაიტანა. იგი დღესდღეობით, ტენერიფეშია გუნდთან ერთად და საწვრთნელ პროცესში აქტიურად მონაწილეობს.

## ქართული დერბის მოლოდინში

მოსკოვის "ლოკომოტივიცა" და ბაქოს "ნეფთჩიც" თურქეთში გადიან შეკრებას და რუსული სააგენტოების მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ კლუბების მწვრთნელებს ერთმანეთთან ამხანაგური მატჩიც დაუგეგმავთ. **მალხაზ ასათიანისა** და **გიორგი ადამიას** გუნდების საკონტროლო შეხვედრა 21 იანვარს შედგება, თუმცა საკითხავი ისაა, დაუპირისპირდებიან თუ არა ქართველები ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ შესაძლოა, "ლოკომოტივი" და "ნეფთჩი" ერთმანეთს მეორე შემადგენლობებით დაუპირისპირდნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ რუს რკინიგზელებს 22 იანვარს ერთბაშად ორი საკონტროლო თამაში აქვთ დაგეგმილი - დილით ბაქოს "ინტერს" გაეჯიბრებიან, შუადღეზე კი მინსკის "დინამოს". ბუნებრივია, მწვრთნელები ფეხბურთელთა ძალებს აქაც გადაანაწილებენ.

## სეთურიძემ მარცხნივ გადაინაცვლა

გუშინ ანთალიაში მყოფმა "კარლ ცაისმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. იენელები შვეიცარიულ "სენტ გალენს" დაუპირისპირდნენ და მინიმალურად, 1:0 გაიმარჯვეს. შეხვედრაში "კარლ ცაისის" სამივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა, ამათგან გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჰენინგ ბიურგერმა** თავის კომენტარში ახლად გამოჯანმრთელებულ **გიორგი სეთურიძეზე** გაამახვილა ყურადღება. ამ უკანასკნელმა მთელი მეორე ტაიმი ჩაატარა და ჩვეული მარჯვენას ნაცვლად, მარცხენა ფლანგის კონტროლი დაევალა. როგორც ჩანს, გიორგის ეს საქმე არცთუ ურიგოდ გამოუვიდა. ბიურგერმა ამ ექსპერიმენტს წარმატებული უწოდა და განაცხადა, რომ სეზონის მეორე ნახევარში სეთურიძისგან ბევრს ელის.

ლევან ჯანეზაშვილი

## ჩანგელია ობოლონში ჩაირიცხა

მეკარე ვლადისლავ ჩანგელია გახსოვთ? ის თბილისის „ამერმა" შარშან მოიწვია, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და უკრაინაში დაბრუნდა. ჩანგელია წარმოშობით ქართველია, მაგრამ კიევში გაზრდილია და უკრაინაა მისთვის სამშობლო.

საქართველოდან წასვლის შემდეგ მასზე ბევრი არაფერი გვსმენოდა. მის გვარს შემთხვევით წავაწყდით და აღმოჩნდა, რომ ის ამჟამად უკრაინის პირველლიგელი კიევის „ობოლონის" ღირსებას იცავს. გუშინწინ კი კიევის „დინამო 2" - ის წინააღმდეგ საკონტროლო შეხვედრაში მონაწილეობდა.

## ჯაკობიას არ ჩაუთვალეს

ლაშა ჯაკობიამ ზამთარში კლუბის შეცვლის მერე პირველი გოლიც გაიტანა, მაგრამ არ ჩაუთვალეს. 15 იანვარს პოლტავის „ვოსკლამ" ანთალიაში ალმატის „კაირატთან" 1:2 წააგო. მართალია, პოლტაველებმა მეორე ბურთი გაიტანეს და ეს ლაშა ჯაკობიამ მოახერხა, მაგრამ მსაჯმა საეჭვო თამაშგარე დაუფიქსირა.

თამაშის წინა დღემდე ქართველი თავდამსხმელი მწვრთნელის მიერ საგანგებოდ მისთვის შედგენილი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. საქმე ისაა, რომ შეკრებამდე ლაშას ვირუსი შეეყარა და რამდენიმე დღე მაღალი სიცხეები ჰქონდა. შედეგად, საკმაოდ ბევრი დაიკლო და დასუსტებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისმა ჩაიარა, ექიმი საერთო ჯგუფში ვარჯიშის უფლებას არ აძლევდა. ფეხზე მოსასვლელად, ჯაკობიას სამი-ოთხი დღე მაინც სჭირდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ის მოედანზე გამოჩნდა და საკმაოდ კარგადაც ითამაშა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში გამოჩნდა და 68-ე წუთზე შეცვალეს.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
იჩ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

მწვრთნელი

# კაპელო ბრალდებებს უარყოფს

## ინგლისის ნაკრების დამრიგებელი გადასახადების დამალვაში ამხილეს...

ინგლისის ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** გადასახადების დამალვაში ადანაშაულებენ. გამოძიებას ტურინის პროკურატურა აწარმოებს. დონ ფაბიოს იმ დროინდელ დარღვევებზე ედავებიან, როცა ის "იუვენტუსის" დამრიგებელი იყო. იტალიური სააგენტოების ცნობით, ამ საქმეს თითქმის ერთი წელია, სწავლობენ. ტურინელები უფრო ადრინდელი დოკუმენტებითაც დაინტერესდნენ - 1999-2004 წლებში კაპელო "რომაში" მოღვაწეობდა, ხოლო 2004-06 წლებში "იუვენტუსში".

სახელგანთქმული მწვრთნელი ინგლისის ნაკრებში მუშაობას ოფიციალურად ერთი კვირის წინ შეუდგა. მან ბრალდების საპასუხოდ საგანგებო განცხადება გააკეთა და ის ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდზე გამოაქვეყნა: *"ჩემს მრჩევლებთან ერთად, ფინანსურ საქმიანობას ყოველთვის გამჭვირვალედ და პატიოსნად ვუძღვებოდი. ჩემთვის უცნობია იმ კანონდარღვევათა შესახებ, რამაც გამომძიებელთა ინტერესი გამოიწვია. ვარწმუნებ საფეხბურთო ასოციაციას, რომ ჩემი ფინანსები სრულ წესრიგშია. მიმაჩნია, რომ ეს ამბავი ზოგადად იტალიური ფეხბურთში მიმდინარე პროცესების ნაწილია. ბოლოდროინდელი სკანდალების შემდეგ, სამართალდამცველები ცნობილი ადამიანების ფინანსებს ამოწმებენ."* ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პრესაში ატეხილი აჟიოტაჟის გამო ასოციაციის ხელმძღვანელობამ კაპელოსა და მის ადვოკატს რამდენიმე კითხვა დაუსვა. მწვრთნელმა ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა და ინგლისელების ცნობისმოყვარეობა სრულად დააკმაყოფილა.



ფაბიო კაპელო ამბობს, რომ მისი ფინანსები წესრიგშია

გეტყვით, რომ კაპელოს სახლი აქვს მილანის მახლობლად, აგრეთვე შვეიცარიაში. ინგლისში გადასვლის შემდეგ ის ლონდონშიც აპირებს უძრავი ქონების შეძენას. სხვა ქვეყნებთან, სადაც კაპელოს ოდესმე უცხოვრია, მას ფინანსური პრობლემები არ ჰქონია. არცთუ ისე დიდი ხნის წინ იტალიის საგადასახადო სამსახურები განთქმული მოტომრბოლელის **ვალენტინო როსის** ფინანსებითაც დაინტერესდნენ. როსი აცხადებდა, რომ ის ბრიტანეთში ცხოვრობს და გადასახადებსაც იქ იხდის, მაგრამ იტალიელმა ინსპექტორებმა დაადგინეს, რომ ვალენტინო წელიწადის ნახევარს სამშობლოში ატარებდა. ქვეყნის ბიუჯეტში კი ერთი ცენტიც არ შეჰქონდა. კაპელოს შემთხვევაში, ახსენეს სარეკლამო კონტრაქტები, რომელსაც ლუქსემბურგში მოეწერა ხელი და საიდანაც მწვრთნელმა თითქოს სახელმწიფოს (იტალიის) წილი ფული დამალა.

ბარსელონა

# სასამართლო მოგებულია

"ბარსელონის" იურისტებმა ფრანგულ ცენტრისტულ გაზეთს, "ლე მონდს" 300 ათასი ევრო მოუგეს. კატალონიური გრანდის სასარგებლო გადაწყვეტილება ბარსელონის პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა. საქმე იმ სკანდალურ სტატიას ეხება, რომელშიც ფრანგული გაზეთი წერდა, რომ ავადსახსენებელი ექიმი **ეუფემიანო ფუენტესი** "ბარსელონასთან" ფარულად თანამშრომლობდა და ფეხბურთელებს დოპინგით ქყიპავდა. "ლე მონდმა" მტკიცებულებები ვერ მოიპოვა, რითიც კატალონიელებმა ჩინებულად ისარგებლეს. ადვოკატებმა მოსამართლე დაარწმუნეს, რომ ფუენტესი თვალითაც არავის უნახავს და "მონდმა" გუნდის პრესტიჟსა და ღირსებას დიდი დარტყმა მიაყენა.

**ჩიკი ბეგირისტაინი** სასამართლის გადაწყვეტილებით ბედნიერი დარჩა: *"დიდება სიმართლეს! ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ამ საქმეს მოვიგებდით. დიდი მადლობა, ჩვენს ადვოკატებს. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მინიმალური ეჭვიც არ დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, ვერანაირად შევეგუებოდით, რომ "ბარსას" რეპუტაცია შელახულიყო. არ ვიცი, რატომ დაგვწამეს ცილი. ალბათ, ფრანგი ჟურნალისტები ინფორმაციას არ ფლობდნენ, თუმცა ეს ჩვენი პრობლემა აშკარად არ არის. ცხადია, 300 ათასი ევრო არ არის კოლოსალური თანხა, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენი უდანაშაულობა დავამტკიცეთ და კლუბის ღირსება დავიცავით."*



ჩიკი ბეგირისტაინი



11-წლიანი განშორების შემდეგ კევინ კიგანი ისევ სენტ ჯეიმს პარკზე მივიდა

ნიუკასლი

# კიგანი დაბრუნდა

"ნიუკასლმა" მთავარ მწვრთნელად **კევინ კიგანი** დანიშნა. 1980-იან წლებში ის ჯორდების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო. 1990-იანი წლებში კლუბის დამრიგებელი მოგვევლინა. მისი ხელმძღვანელობით, "ნიუკასლმა" ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთი ითამაშა და საუკეთესო შედეგებსაც მიაღწია.

კიგანი მეხუთე მწვრთნელია, რომელიც ბოლო სამწელიწადნახევარში "სენტ ჯეიმს პარკზე" მივიდა. ის ადგილობრივი ფანების კერპია. მიმომხილველებმა კიგანი უკვე მონათლეს ჯორდების მესიად. მისტერ კევინს კლუბი პირველად 1992 წელს ჩააბარეს. ჯორდები მეორე დივიზიონში ასპარეზობდნენ და მესამეში გავარდნა ემუქრებოდათ. კიგანმა გუნდი გასავარდნი ზონიდან ამოიყვანა. 1993 წელს პრემიერლიგაში გადაიყვანა, 1996 წელს კი ლამის ინგლისის ჩემპიონი გახდა. სეზონის მიწურულს "ნიუკასლი" "მანჩესტერ იუნაიტედს" 12 ქულით უსწრებდა და პირველ ადგილზე იყო, მაგრამ როგორლაც ამ ასტრონომიული უპირატესობის განიავება მოახერხა.

1997 წელს მან მცირე ხნით "ფულჰემს" მიაშურა. შემდეგ ინგლისის ნაკრებში დანიშნეს. 2000 წლის ოქტომბერში მან ეროვნული გუნდი დატოვა და მანჩესტერ სიტიში დაინიშნა. მწვრთნელმა სიტი 2005 წლის ზაფხულში დატოვა. მას შემდეგ კიგანი უმუშევარი იყო. გუშინ მთელი დღის განმავლობაში არ წყდებოდა სპეკულაციები "ნიუკასლის" მომავალ მწვრთნელთან დაკავშირებით. **ჰარი რედნაპის, მარკ ჰიუზის, ჟერარ ულიესა** და **მარტინ იოლის** შემდეგ **დიდიე დეშამის** სახელმაც გაიჟღერა. შემდეგ კი გაირკვა, რომ ჯორდები კიგანს აბრუნებდნენ.

აინტრახტი

# გაიცანით: ბრაზილიელი ბალაკი

## ფრანკფურტელებმა კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი გაჩარხეს...

ფრანკფურტის „აინტრახტი" ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიურობს. ორშაბათს ფრანკფურტელებმა კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი სრულყვეს. ჩეხი **მარტინ ფენინის** შემდეგ, რომელიც უდიდეს ტალანტად მიიჩნევა და რომლისთვისაც ევროპული გრანდები (მათ შორის იუვენტუსი) იბრძოდნენ, "აინტრახტმა" 21 წლის ბრაზილიელი **სეზარ ალვეშ დოს სანტოსი** გადაიბირა, რომლის მოკლე სახელი ასე ჟღერს: **კაიო.** ამ უკანასკნელმა „არწივებთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა და როგორც ირკვევა, ფრანკფურტელებმა მასში 3.8 მილიონი ევრო გადაიხადეს.

კაიო ფრანკფურტში ორშაბათს ჩავიდა. მას აეროპორტში ჟურნალისტთა მთელი არმია დახვდა. *„მინდა, რომ აინტრახტში გაცილებით მეტი გოლი გავიტანო, ვიდრე „პალმეირასში"*, - ეს ბრაზილიელის პირველი სიტყვები იყო. *„პალმეირასის" რიგებში მან 27 თამაშში 11 გოლი* შეაგდო და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კაიო ცენტრალური ნახევარმცველია, შედეგს არაფერი დაეწუნება.

„აინტრახტის" ახალი ვარსკვლავი 1.86 მეტრი სიმაღლისაა, აქვს უძლიერესი დარტყმა და კარგად თამაშობს თავით. გოლების უმრავლესობა მას 25 მეტრის დისტანციიდან აქვს გატანილი. სწორედ ამის ბრალია ის, რომ მას სამშობლოში ბრაზილიელ **ბალაკს** უწოდებენ – კაიო სათამაშო სტილით ძალიან ჰგავს გერმანიის ნაკრების კაპიტანს. *„ეს მსგავსება ჩემთვის უდიდესი პატივია. ძალიან მიხარია, რომ ბუნდესლიგაში ვითამაშებ. მინდა, რომ „აინტრახტთან" ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო,"* – აცხადებს ბრაზილიელი.

ის არ არის კლასიკური ფლეიმეიქერი. კაიო ტიპური ცენტრალური ნახევარმცველია, რომელიც უმეტესად შორი დისტანციიდან ემუქრება მეტოქის კარს და კუთხურების დროს ძალიან სახიფათოა, რადგან მეორე სართულზეც კარგად თამაშობს. ბრაზილიელი: *„ბუნდესლიგა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა. ჩემს მონაცემებს აქ კიდევ უფრო გავაუმჯობესებ. პირველ რიგში სისწრაფეზე უნდა ვიმუშავო. ჩემზე ამბობენ, ისეთივე ზანტია, როგორც ბალაკიო. ჩემი მიზანი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელი გავხდე."*



აინტრახტის ახალი არწივი, სეზარ ალვეშ დოს სანტოსი, ან უბრალოდ კაიო

მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა – კაიო უკვე „აინტრახტის" ფეხბურთელია. ფრანკფურტელებმა ბუნდესლიგის პირველი წრე მე-9 ადგილზე დაასრულეს. მთავარი მწვრთნელი **ფრიდჰელმ ფუნკელი** დარწმუნებულია, რომ ფენინთან და კაიოსთან ერთად მისი გუნდი სეზონს საუკეთესო ხუთეულში დაასრულებს. უეფას თასის საგზური – სწორედ ესაა „აინტრახტის" მიზანი მიმდინარე სეზონში...

## ლაუდრუპს საფრთხე არ ემუქრება

2008 წელს განცდილი რამდენიმე წარუმატებლობის გამო მადრიდში ხმა გავრცელდა, რომ "ხეტაფეს" ხელმძღვანელობა **მიქაელ ლაუდრუპის** გადაყენებას აპირებდა. აჟიოტაჟმა იმდენად დიდი მასშტაბი მიიღო, რომ კლუბის პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"მსურს, ლაუდრუპის გადაყენებასთან დაკავშირებული ჭორები კატეგორიულად უარვყო. ეს არ არის სიმართლე. მართალია, წაგებული მატჩების გამო ძალიან ვწუხვართ, მაგრამ ჩვენი მთავარი მწვრთნელის მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ. მას სრულ თანადგომას ვუცხადებთ. დარწმუნებული ვარ, რთულ სიტუაციას მალე დავძლევთ."*

## ზენიტს და კოშტა სურს

სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" ინტერესს იჩენს "ეინდჰოვენის" ცენტრალური მცველის **მანუელ და კოშტას** მიმართ. პორტუგალიელი 8 მილიონ ევროდაა შეფასებული. კლუბის ხელმძღვანელობა ბოლო ხანებია ცდილობს, "ლივერპულში" გაყიდული **მარტინ შკრტელას** ღირსეული შემცვლელი მოიძიოს. რაც ყველაზე საინტერესოა, მიუხედავად საკმაოდ მაღალი სატრანსფერი ღირებულებისა, რუსულ პრესაში ჩნდება სანკტპეტერბურგელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის კომენტარი, რომლის თანახმადაც, და კოშტა შეძენის, არათუ ერთადერთი, უპირველესი კანდიდატიც კი არ არის. რუსები ერთბაშად 6 სხვადასხვა მცველთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და პორტუგალიელის ბედიც ამის მერე გადაწყდება. შეგახსენებთ, რომ ამ 21 წლის ფეხბურთელით დაინტერესებას ასევე გამოთქვამენ ძირითადად იტალიური გრანდები "ინტერი", "იუვენტუსი", "მილანი" და "ფიორენტინა" ასევე მადრიდის "ატლეტიკო".

## მარსელის მორიგი სამიზნე

მარსელის "ოლიმპიკი" ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობს. უპირველესი სამიზნე "ლაციოს" 29 წლის არგენტინელი მარჯვენა მცველი **ლიონელ სკალონია**. სამიზნეშია "ნანსის" 27 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი კიმი, ვინც 10 მილიონადაა შეფასებული. ამ უკანასკნელით დაინტერესებას გამოთქვამენ "ლიონი", "ვალენსია" და "შახტიორიც". ორივე ამ ფეხბურთელს საკუთარ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს, რაც მათს გადაბირებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ყველაზე ადვილად სავარაუდოა, რომ კლუბი ადვილად შეძლებს "რეინჯერსის" ძირითად შემადგენლობის მიღმა დარჩენილი ბელგიელის **ტომას ბუფელის** გადაბირებას. მისი სატრანსფერო თანხა სულ რაღაც 1,7 მილიონი ევროა.

## მაიკონი ინტერიდან წავა

"ინტერის" ბრაზილიელი მარჯვენა მცველი მაიკონი მზადაა, დატოვოს კლუბი, თუკი კლუბი მას ხელფასს არ მოუმატებს. მას კლუბის ძირითადის შემადგენლობის სხვა წევრებთან შედარებით ყველაზე დაბალი ხელფასი აქვს, სულ 1,5 მილიონი ევრო წელიწადში. ფეხბურთელი უკვე რამდენიმე თვეა, რაც ხელმძღვანელობისგან კატეგორიულად ითხოვს პირობების გადახედვას. ჯერჯერობით რეაქცია არ ჩანს. ბრაზილიელი დარწმუნებულია, რომ არ გაუჭირდება რომელიმე გრანდში გადაბარგება, იმ პირობებშიც კი, როცა მაღალ ხელფასს ითხოვს.

## მილანი მექსესს ეკურკურება

"მილანის" ხელმძღვანქლობამ დაადასტურა, რომ სურს "რომას" ფრანგი ლეგიონერის **ფილიპ მექსესის** შეძენა. ოფიციალურად ამის შესახებ **სილვიო ბერლუსკონიმ** დედაქალაქური გრანდის მთავარ მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** აცნობა ერთ-ერთ რესტორანში, სადაც ისინი სრულიად შემთხვევით შეხვდნენ, მაგრამ სადილობით კი ერთად ისადილეს. "მილანს" გარდა მექსესისა, განზრახული აქვს მეორე ფრანგის, "ლიონის" მარჯვენა მცველის ანტონიო რევეიერის შეძენაც. ამ უკანასკნელის შეძენას "მარსელიც" ცდილობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალან შირერთან

# არ ვწუწუნებ და გულიც არაფერზე მწყდება

## შირერი ფიქრობს, რომ ინგლისური ფეხბურთი რუნის ეპოქაში ცხოვრობს

"საუთჰემპტონის", "ბლექბერნისა" და "ნიუკასლის" ყოფილი ფორვარდი, ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მრავალთა კერპი, ანუ უბრალოდ, კარგი ადამიანი... ასეთია ალან შირერის ძალიან მშრალი და მოკლე დოსიე, თუმც ამავდროულად ბევრის მთქმელიც. მას ესპანური გამოცემა "მარკას" კორესპონდენტი ესაუბრა...

**- რით არის ახლა დაკავებული ალან შირერი?**

- ახლა მართლაც ბევრი რამით ვარ დაკავებული, მაგრამ ეს სულაც არ მღლის. ვმუშაობ ბი-ბი-სის კომენტატორად, პარალელურად კი მწვრთნელთა კურსებზე ვსწავლობ. იმისთვის, რომ მქონდეს მაღალ დონეზე მუშაობის საშუალება, ბოლო ეტაპიც უნდა გავიარო. სწავლა აუცილებელია, რადგან მწვრთნელისთვის მარტო ფეხბურთელის გამოცდილება ცოტაა. ახლა მიდის პრაქტიკული მეცადინეობა და შემიძლია გითხრათ, რომ სადაცაა მოქმედი მწვრთნელი ვიქნები.

**- თქვენ 90-ანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად გაღიარეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ინგლისურ (და არამარტო) გრანდებში თამაშის შანსი არ გქონდათ, ან ეს გრანდები არ გამოთქვამდნენ თქვენი გადაბირების სურვილს. მაინც რატომ არ გადახვედით რომელიმე დიდ კლუბში?**

- "ნიუკასლში" თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ბავშვობიდან ამ გუნდის ქომაგი ვიყავი, დავდიოდი სტადიონზე, თითქმის არც ერთ მატჩს არ ვტოვებდი... ასე რომ, ეს ერთგულების საკითხი იყო. თანაც, იმ დროს, როცა "ნიუკასლმა" ამიყვანა, ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ მასთან ერთად პრემიერლიგას მოვიგებდით. ამ გადაწყვეტილების გამო არასოდეს მინანია. "სენტ ჯეიმს პარკზე" გატარებული წლებისგან, წარუშლელი შთაბეჭდილებები დამრჩა. და თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმის გამო მწყდება გული, რომ სხვა კლუბების შემოთავაზებებზე უარს ვამბობდი. "ნიუკასლი" ჩემთვის ყველაფერი იყო, თან ამ გუნდის კაპიტანიც ვიყავი. -

**- მაგრამ არც უცხოეთში წასულხართ. ალბათ, იქიდანაც გეძახდნენ...**

- კი, იყო წინადადებები. მაგალითად, ბობი რობსონმა თავის დროზე "ბარსელონაში" მიმიწვია. მაშინ "ბლექბერნში" ვთამაშობდი და ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავდა "ბარსაში" გადასვლა? აქ მარტო სახელს კი არ ვგულისხმობ, არამედ პირველ რიგში დიდ სპორტულ ამბიციასაც. მაგრამ... და არ ვიცი, რატომ, ამ წინადადებებს სერიოზულად არ განვიხილავდი. შეიძლება, აქ ისიც იყო მიზეზი, რომ მე და ჩემს ოჯახს ინგლისის მიტოვება ძალიან გვიჭირდა. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ.

**- შეიძლება იმის თქმა, რომ ტრავმებმა დაგინდეს?**

- იცით, ძნელი სათქმელია. ეს ხომ ფეხბურთის განუყოფელი, ყოველდღიური ნაწილია. როცა გამუდმებით ვარჯიშობ, თამაშობ, ამის გარეშე წარმოუდგენელია. თუ გაგიმართლა, ხომ კარგი, თუ არა და, ფეხბურთელს კარიერაში ერთი სერიოზული ტრავმა გარანტირებული აქვს. მე ასეთი სულ სამი მქონდა. არა მგონია, რომ ამ მხრივ მაინცდამაინც გამიმართლა.

**- სწორად მოიქცა ბექჰემი, როცა "რეალი" დატოვა და ამერიკაში წავიდა?**

- ვფიქრობ, მას ამ ნაბიჯისთვის პერსონალური მიზეზი ჰქონდა. ცხადია, დევიდი დღესაც მზადაა უმაღლეს დონეზე სათამაშოდ, გინდ ესპანეთში იყოს და გინდ ინგლისში, მაგრამ სპორტული მხარე, ალბათ, მთავარი არ იყო. სწორედ ეს არასპორტული მხარე ახდენს ხშირად გავლენას ადამიანების გადაწყვეტილებებზე და თუ ბექჰემმა ეს გზა ოჯახური მიზეზების გამო აირჩია, მაშინ მსგავსი გადაწყვეტილება სწორია.

**- თქვენი აზრით, ვინ დაიმსახურა 2007 წელს "ოქროს ბურთი"?**

- მე ვფიქრობ, კრისტიანო რონალდომ. მეჩვენება, რომ დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატიდან, ის მუდმივად ამტკიცებს, რომ ამ მომენტისთვის მსოფლიოში საუკეთესოა. დიახ, ბრწყინვალეა რონალდინიოც, მესიც სასწაულებს ახდენს ბურთით და მათი ყურება ერთი სიამოვნებაა, კაკაც სრულყოფილებაა, მაგრამ... მაგრამ მე მაინც კრისტიანო რონალდოს ვარჩევდი. მისი ფინტები, ინდივიდუალობა, ლიდერის თვისებები - ეს ყველაფერი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ის მსოფლიო კლასის მოთამაშეა.

**- საყოველთაო აღიარებით, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატები მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ ამ ქვეყნების ეროვნული გუნდები საერთაშორისო არენაზე წარმატებებს ვერ აღწევენ. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?**

- მე მგონი, მიზეზი მარტივია: ეტყობა, ეს ჩემპიონატები საკმარისად კარგი არ არის ან კარგი ჩემპიონატი კარგ ნაკრებს სულაც არ ნიშნავს. სხვა ლოგიკას ვერ ვხედავ. საერთაშორისო ასპარეზზე კი ის ქვეყნები იმარჯვებენ, რომელთა ნაკრებები საჩემპიონო თამაშს აჩვენებენ. არც ინგლისისგან და არც ესპანეთისგან ასეთი თამაში არ მახსოვს. ბუნებრივია, ამის გარეშე ტიტულები არ მოვა.

**- როგორ შეაფასებდით "ლივერპულში" რაფა ბენიტესის მუშაობას?**

- ის ყველაფერს კარგად აკეთებს. "ლივერპულში" გადასვლის დღიდან მისი მიღწევების ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია. ამ ჩამონათვალს მხოლოდ პრემიერლიგის ტიტული აკლია. ახლა ეს მისთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

**- შეძლებს ფერნანდო ტორესი პრემიერლიგაში წარმატების მიღწევას?**

- რა თქმა უნდა, შეძლებს. ჯერჯერობით, ის ჩინებულად გამოიყურება და ვერ ვხედავ მიზეზს, რომ რამე შეიცვალოს. ფერნანდოს ყოველთვის გააქვს საჭირო გოლები, ეს კი ფორვარდისთვის მთავარია. ტორესი სწრაფი, მსუბუქი და მოძრავია, შესანიშნავი საგოლე ალღოც აქვს...

**- რომელი გუნდი აჩვენებს დღეს ევროპაში ყველაზე საინტერესო თამაშს? "არსენალი" ხომ არა?**

- შესაძლოა, "არსენალიც" იყოს. მე მაგალითად, ამ გუნდის თამაშის ცქერა სიამოვნებას მანიჭებს. "არსენალმა" ბრწყინვალედ დაიწყო სეზონი, ბევრი გოლიც გააქვს და ლამაზ გამარჯვებებსაც აღწევს. თუმცა არც "მანჩესტერ იუნაიტედია" ნაკლები. თუ ალექს ფერგიუსონის გუნდი ამ კონდიციებს შეინარჩუნებს, სეზონის ერთ-ერთი დიდი ტიტული აუცილებლად მას დარჩება.

**- რამდენად დიდია სესკ ფაბრეგასის წვლილი "არსენალის" წარმატებებში?**

- საკმაოდ მნიშვნელოვანი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. ის კარგად ხედავს მოედანს და კითხულობს თამაშს, თანაც, სხვებისგან განსხვავებით, ამას რამდენიმე წამით ადრე აკეთებს. პლუს ამას, ფაბრეგასი მოედნის ყოველ წერტილშია და გოლებიც გააქვს. ერთმნიშვნელოვნად, ამ მომენტისთვის ის "არსენალის" საკვანძო ფიგურაა.

**- რას ფიქრობთ რუნიზე? არის თუ არა ის შირერის მემკვიდრე?**

- მეტსაც გეტყვით: ახლა ჩვენ რუნის ეპოქაში ვცხოვრობთ. უეინი ინგლისის ნაკრების მთავარი ფორვარდია. მას დიდი ტალანტი და წინ კიდევ ბევრი წარმატება აქვს, ასე ვიტყოდი, პირადი საფეხბურთო დიდებაც კი.

**- და უოლკოტი? მასზე ამბობენ, რომ ის ახალი ინგლისური მარგალიტია...**

- დიახ, უოლკოტიც. მასზეც იმავეს ვიტყოდი, რასაც რუნიზე. მას გაუმართლა, რომ მოხვდა გუნდში, რომლის მწვრთნელიც დღენიადაგ ზრუნავს თავის ახალგაზრდა მარგალიტებზე. ეს აუცილებლად დაეხმარება მას იმაში, რომ მაღალი კლასის მოთამაშე გახდეს.

**- ნანობთ რაიმე ისეთზე, რასაც კარიერის განმავლობაში ვერ მიაღწიეთ?**

- არა, არა მგონია, სანანებლად მქონდეს საქმე. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა "ნიუკასლთან" ერთად რაიმე ტიტულის მოგება, მაგრამ რას ვიზამთ... არ ვწუწუნებ და გულიც არაფერზე მწყდება.



ალან შირერი



იურგენ კლინსმანი და ლოთარ მათეუსი: მტრობა გრძელდება

დაპირისპირება

# მათეუსს ბოღმა ახრჩობს

## უკვე მერამდენედ: ლოთარს კლინსმანი ამჯობინეს...

მიუნხენის "ბაიერნში" **იურგენ კლინსმანის** მოსვლა (კლინსი რეკორდმაისტერს ზაფხულიდან ჩაიბარებს) ლეგენდარული **ლოთარ მათეუსისთვის** დიდი დარტყმა იყო. ისევე, როგორც 2004 წელს, კლინსმანი ახლაც მასზე წინ დააყენეს, რის გამოც ლოთარი ძალიან ნაწყენი და იმედგაცრუებულია. როგორც იცით, იურგენი და ლოთარი კარგი მეგობრები არასდროს იყვნენ და იმის ფონზე, რომ "ბაიერნის" გაწვრთნა ლოთარსაც ძალიან სურდა, ახლა, რეკორდმაისტერის შეფების თქმით, ბოლმას ცრუ ინფორმაციების გავრცელებით ანთხევს.

რამდენიმე დღის წინათ მათეუსმა "ევროსპორტს" ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, **ოტმარ ჰიტცფელდის** პოტენციურ შემცვლელთა სიაში მეც ვიყავი და "ბაიერნის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებდიო. ამ ინტერვიუმ ბავარიული გრანდის შეფების აღშფოთება გამოიწვია.

*"დაბეჯითებით მინდა განვაცხადო, რომ ლოთარ მათეუსი "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების კანდიდატი არასდროს ყოფილა,"* - აცხადებს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე**. ეს უკანასკნელი იქვე აღნიშნავს, რომ 2007 წელს მართლაც შედგა საუბარი "ბაიერნის" შეფებსა და ლოთარს შორის, მაგრამ ამ შეხვედრას და საუბარს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. *"2007 წლის 20 ნოემბერს ლოთარს შევხვდით, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ მის დანიშვნაზე ან პოსტის შეთავაზებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ეს უბრალოდ პირადი საუბარი იყო,"* - ამბობს რუმენიგე და იქვე ამატებს, - *"იმ დროისთვის ჩვენ ჰიტცფელდის შემცვლელს არ ვეძებდით, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ოტმარი წავიდოდა. მაშინ თვითონ ჰიტცფელდსაც კი არ ჰქონდა წასვლა გადაწყვეტილი. შესაბამისად, ჩვენ ახალ მწვრთნელზე არც კი ვფიქრობდით და ჩემთვის გაუგებარია, საიდან მოიტანა მათეუსმა ის, რომ ჩვენთან მოლაპარაკებები გამართა. ამასთან, არც ის მესმის, თუ რატომ მოიგონა ეს ამბავი."*

ჰიტცფელდმა "ბაიერნიდან" წასვლა დეკემბერში გადაწყვიტა და მენეჯერ **ული ჰიონესს** უთხრა, კონტრაქტის გაგრძელებას არ ვაპირებო. შესაბამისად, ბავარიელებმა ახალი დამრიგებლის ძებნა სწორედ დეკემბერში დაიწყეს და გასულ პარასკევს კლინსმანთან გააფორმეს ხელშეკრულება. ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში მათეუსი "ბაიერნის" ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ამბობს, სწორად მოიქცნენ თუ არა ჰიონესი და რუმენიგე, როცა კლინსის დანიშვნა გადაწყვიტეს, ეს ჯერ კიდევ საკამათოა და ამ კითხვაზე პასუხს დრო გასცემსო. *"არ ვიცი, გეგმა A ვიყავი თუ გეგმა B, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ პოტენციურ მწვრთნელთა სიაში მეც გახლდით,"* - ამბობს მათეუსი და დასძენს, - *"ერთიც ვნახოთ, გაამართლებს თუ არა კლინსი "ბაიერნში". კლუბის გაწვრთნა გაცილებით ძნელია, ვიდრე ნაკრებისა. მე კლინსმანისგან განსხვავებით საკლუბო ფეხბურთში მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება უკვე მაქვს."*

ლოთარის განცხადებაზე რუმენიგეს პასუხი ასეთია: *"სასურველია, რომ მათეუსი დაუფიქრდეს, რას ამბობს. იურგენ კლინსმანი არა მარტო შესანიშნავი მწვრთნელია, არამედ განათლებული სპეციალისტია. კლინსმანს აქვს გერმანიის საფეხბურთო კავშირის სამწვრთნელო ლიცენზია, რაც მათეუსს ჯერაც არ აუღია."*

შეგახსენებთ, რომ მათეუსი და კლინსმანი ერთმანეთს თავიდანვე ვერ იტანდნენ. ერთხელ ლოთარმა იურგენს მატყუარაც კი უწოდა. 1996 წელს გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბერტი ფოგტსმა** მათეუსი ბუნდესგუნდიდან მოკვეთა და ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანა - ტურნირზე, რომელიც გერმანელებმა მოიგეს. ევრო 96-ზე მათეუსი კაპიტნის რანგში სწორედ კლინსმანმა შეცვალა, რაც ლოთარისთვის დამატებითი საბაბი იყო იმისათვის, რომ კლინსი აეთვალწუნებინა.

2004 წელს, როცა **რუდი ფიოლერმა** ბუნდესმწვრთნელის პოსტი დატოვა და გერმანიის საფეხბურთო კავშირი ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ეძებდა, მათეუსმა არაერთხელ განაცხადა, მზად ვარ, ფიოლერი შევცვალოო და ბუნდესმწვრთნელის პოსტისთვის იბრძოდა, მაგრამ საფეხბურთო კავშირმა მას კლინსმანი ამჯობინა და რაც ლოთარისთვის ყველაზე სამწუხარო იყო, კლინსმანმა ბუნდესმწვრთნელის რანგში წარმატებას მიაღწია და გმირი გახდა. ახლაც, აგერ უკვე წელიწადზე მეტია, რაც ლოთარი გაიძახის, "ბაიერნის" მწვრთნელად დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი და დარწმუნებული ვარ, რომ რეკორდმაისტერისთვის ღირსეული მწვრთნელი ვიქნებიო. მაგრამ მიუნხენური კლუბის შეფებმა კლინსმანს მიანიჭეს უპირატესობა.

დაბოლოს, ული ჰიონესის განცხადება, რომელიც "შპორტ-ბილდისთვის" მიცემული ინტერვიუდანაა: *"რაკი ეს ამბავი ჩავლილია, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ სანამ კლინსმანთან შეთანხმებას მივაღწევდით, არც ჟოზე მოურინიოზე გვიფიქრია და არც მათეუსზე. კლინსმანს უარი რომ ეთქვა, საქმეს იურგენ კლოპთან დავიჭერდით."*

ესეც ასე: კლინსის უარი რომ ეთქვა, "ბაიერნს" ზაფხულიდან "მაინცის" მწვრთნელი კლოპი გაწვრთნიდა. ორი აზრი არ არსებობს, რომ ეს უკანასკნელი თანახმა იქნებოდა...

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# კარლოს ალბერტო ბრაზილიაში წავიდა...

## ყველაზე ძვირადღირებული კოლაფსი ბრემენული კლუბის ისტორიაში



კარლოს ალბერტო აეროპორტში, ბრაზილიაში გაფრენამდე

ბრემენის „ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მენეჯერად მიიჩნევა და ამ მხრივ „ბაიერნის" ბოს **ული ჰიონესს** სერიოზულ კონკურენციას უწევს. ალოფსმა ბოლო წლებში შესანიშნავი ტრანსფერები გაჩარხა და ჩვენი გერმანელი კოლეგებიც ხშირად წერდნენ, ჰიონესს ალოფსის ძალიან შურსო. მაგრამ „ვერდერის" ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსფერში, უმნიშვნელოვანეს მომენტში შეცდა. უფრო სწორად, ისე გამოდის, რომ შემცდარა...

გასულ ზაფხულს „ვერდერმა" 23 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი **კარლოს ალბერტო** გადაიბირა, რომელიც ბრემენული კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა – „მუსიკოსებს" მისი შეძენა 8.5 მილიონი ევრო დაუჯდათ. მაგრამ ბრაზილიელმა რბილად რომ ვთქვათ, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ამ ექვსი თვის მანძილზე ბრემენში და საერთოდ გერმანიაში მისგან მხოლოდ სკანდალები ახსოვთ. შესაბამისად, „ვერდერის" ბოსებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა და კარლოს ალბერტო სეზონის ბოლომდე ბრაზილიურ „სან პაულოში" გაანათხოვრეს. ნახევარმცველი, რომელსაც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ქაოს ალბერტო" შეარქვეს, სამშობლოში გუშინწინ გაფრინდა. და ასე განსაჯეთ, აეროპორტშიც ვერ გადაურჩა ქაოსს: მისი ბარგი დაშვებულ წონაზე 145 (!) კილოგრამით მეტს იწონიდა, რის გამოც კარლოს ალბერტოს დამატებით 4 350 ევროს გადახდა მოუხდა. ვისაც აქვს...

*„ბევრი ვიფიქრეთ, თუ ცოტა, გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე ყველასთვის ასე იქნებოდა უმჯობესი. გვინდა, რომ კარლოსი მალე გამოსწორდეს და ფორმა აღიდგინოს. ამას კი ყველაზე უკეთ მშობლიურ გარემოში მოახერხებს,"* – აცხადებს **ალოფსი**. ამრიგად, „ვერდერის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი დიდი შეცდომა გამოდგა. თუმცა „მუსიკოსთა" ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ ბრაზილიელი ბრემენულ კლუბს გამოადგება.

ფეხბურთელი, რომელშიც „ვერდერმა" 8.5 მილიონი გადაიხადა, „სან პაულოში" უფასოდ იქნა განათხოვრებული და ბრაზილიური კლუბს არენდის თანხის გადახდაც კი არ უწევს. მეტიც, სეზონის ბოლომდე ფეხბურთელს ხელფასის ნახევარი მაინც „ვერდერმა" უნდა უხადოს. მოკლედ, კარლოს ალბერტო ბრემენული კლუბისთვის ჯერჯერობით ნამდვილი კოლაფსია.

ბრემენში გადასვლის შემდეგ „ვერდერის" მაისურა მან მხოლოდ 5-ჯერ მოირგო და არცერთი გოლი არ გაუტანია. არადა, სეზონის დაწყებამდე ბრემენში ყველა **დიეგოსა** და კარლოს ალბერტოს პოტენციურ დუეტზე საუბრობდა. სამაგიეროდ, სკანდალები კი თავზესაყრელად ჰქონდა. ჯერ იყო და არსებობდა ეჭვი, რომ ბრაზილიელი გადასახადებს მალავდა, მერე სისხლის ანალიზები არ უვარგოდა, მერე ღამით ვერ იძინებდა (!), ბოლოს კი, ვარჯიშის დროს თანაკლუბელ **ბუბაკარ სანოგოსთან** მუშტი-კრივიც კი გამართა. ალოფსი: *„მოკლედ, კარლოსმა ბრემენში ყველაფერი მოასწრო და მოახერხა, გარდა ფეხბურთის თამაშისა."* ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ის „ვერდერს" ვერასდროს გამოადგება...

**გოტფრიდ ლენცი**

ბომონდი

# შეუყვარებული დემიკელისი

## მარტინის გოგოს უყვარს სექსი თვითმფრინავში...

ამერ უკვე სამი კვირაა, რაც „ბაიერნის" არგენტინელი მცველი **მარტინ დემიკელისი** საკუთარ თავს მსოფლიოში უბედნიერეს მამაკაცად მიიჩნევს. მან არგენტინელ მამაკაცთა უმრავლესობის ოცნება აიხდინა – დემიკელისს არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მანდილოსანი, 24 წლის **ევანჯელინა ანდერსონი** ჰყვარობს. მის ანდერსონი პოპულარულ ტელე-გადაცემა „პლანეტა-შოუს" წამყვანია და მას არგენტინაში ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქალად მიიჩნევენ. ზომები იდეალური აქვს: 90-60-90, ფანტაზია – განუსაზღვრელი...

*„მიშო (ეს დემიკელისის მეტსახელია) ისეთი ტკბილია, როგორც კანფეტი. ეს იყო სიყვარული ერთი ნახვით. მარტინი ძალიან მგრძნობიარე, ვნებიანი და თბილი მამაკაცია. მან იცის, როგორ უნდა გამოიწვიოს ჩემში ვულკანი,"* – ეს სიტყვები ევანჯელინამ არგენტინულ სპორტულ გამოცემა „ოლეს" უთხრა. ხსენებულ მასალას მარტინისა და ევანჯელინას ეროტიული ფოტოებიც ჰქონდა დართული. „ბაიერნის" ვარსკვლავის ახალი გოგოს ჰობი ფოტოაპარატების წინ პოზირებაა. მას სწორედ ფოტოებმა გაუთქვა სახელი – არგენტინაში „მკერდის ვარსკვლავს" ეძახიან.

*„ჩემი სექსუალური ფანტაზია განუსაზღვრელია,"* – არაფერს მალავს ევანჯელინა, - *„სექსის დროს მიყვარს სხვადასხვა თამაშები და სათამაშოები, ნილბები, სხვადასხვა ჩაცმულოვა. მქონდა ეშმაკის კოსტუმიც, რომელიც სამწუხაროდ გაიხა. ძალიან მიყვარს სექსი თვითმფრინავის ტუალეტში."*

სხვათა შორის, ევანჯელინა ანდერსონთან ცოტა ხნის წინათ **დიეგო მარადონასაც** ჰქონდა საქმე. გასული წლის ივლისში, როცა ევანჯელინა 24 წლის გახდა, დიეგომ მას საჩუქრები მიუტანა და მასთან ერთად მთელი ღამე დისკოთეკაზე გაატარა. ახლა კი, მის ანდერსონის ცხოვრებაში ახალი მამაკაცი გამოჩნდა: მარტინ დემიკელისი. ისინი ერთმანეთს დეკემბერში შეხვდნენ. „ბაიერნის" მცველი გადაცემაში იყო მიწვეული, რის შემდეგაც წამყვანი ბარში დაპატიჟა და ასე დაიწყო ეს ურთიერთობა. ევანჯელინა მარტინს უკვე „მი მარიდოს" უწოდებს, რაც მეუღლეს ნიშნავს. 3 თებერვალს ევანჯელინა მიუნხენში ჩამოვა და მარტინთან ერთად დასახლდება.

*„ერთად ცხოვრება გვინდა. იანვრის ბოლოს ტელეკომპანიასთან კონტრაქტი მიმთავრდება და შემეძლება, რომ მიუნხენში გადავიდე. მარტინი თითქმის სულ ტელეფონით მელაპარაკება, ძალიან ეჭვიანობს. იმდენად ეჭვიანობს, რომ საღამოობით სახლიდან გასვლას მიკრძალავს,"* – ამბობს მის ანდერსონი...



სიყვარული არ არის ბრმა: მარტინ დემიკელისი და ევანჯელინა ანდერსონი



უილბლო სორინი

ჰამბურგი

# სორინის მდგომარეობა გაუარესდა

## უიღბლობის მწვერვალი: არგენტინელისთვის სეზონი ფაქტობრივად დასრულებულია...

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. აი, არგენტინელი **ხუან პაბლო სორინის** ტანჯვას კი ბოლო არ უჩანს. ფლანგის მცველი, რომელიც წელიწადზე მეტია, ტრავმირებულია, ამ სეზონში მოედანს სულ რაღაც 57 წუთით დაუბრუნდა და მერე ისევ დაშავდა. ეს ავსტრიაში, „გროცლინთან" ტესტ-მატჩის დროს მოხდა. თითქმის უკვე ცხადია, რომ ეს თამაში ამ სეზონში მისთვის პირველი და უკანასკნელი გამოდგება.

სორინმა ოპერაცია ოქტომბრის ბოლოს გაიკეთა, რის შემდეგაც ჩრდილოგერმანული კლუბის სამედიცინო შტაბში აცხადებდნენ, არგენტინელი მოედანს იანვრის ბოლოს დაუბრუნდებაო. ამას წინათაც გაცნობეთ, რომ სორინმა მსუბუქი დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. მაგრამ მას მერე ხუანის მდგომარეობა გაუარესდა – მას ნაოპერაციევი ფეხი ასტკივდა და როგორც ირკვევა, გამოჯანმრთელების პროცესი მოსალოდნელზე გაცილებით დიდხანს გაგრძელდება. ზუსტი თარილის გარკვევა, თუ როდის გამოწერენ სორინს კლინიკიდან (ახლა ინტენსიურად მკურნალობს), ჯერჯერობით შეუძლებელია. ეს დროთა განმავლობაში გამოჩნდება. დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ სორინისთვის ეს სეზონი უკვე დასრულდა...

ლევერკუზენი

# ფიოლერი: კლინსმანი ვერას დაგვაკლებს!

## რუხი მგელი მშვიდადაა...

მიუნხენის „ბაიერნმა" **ტიმ ბოროვსკის** სახით გერმანიის ნაკრების მეშვიდე ფეხბურთელი გადაიბირა – როგორც იცით, „ვერდერის" ნახევარმცველი რეკორდმაისტერს ზაფხულში მიაშურებს. შესაბამისად, გერმანიაში უკვე დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, რომ **იურგენ კლინსმანი** და **ული ჰიონესი** გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებისთვის ბრძოლას დაიწყებენ. ამ მხრივ „ვერდერი" ერთადერთი როდია, ვისაც ბუნდესგუნდის პოტენციური წევრები ჰყავს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრების მომავალი თაობა „ლევერკუზენში" თამაშობს. **რენე ადლერი, გონსალო კასტრო, ლუკას ზინკევიჩი, მანუელ ფრიდრიხი, სიმონ როლფესი, პაულ ფრაიერი, ბერნდ შნაიდერი, საშა დუმი, შტეფან კისლინგი** – აი, იმ მოთამაშეთა ჩამონათვალი, რომლებიც უკვე ასპარეზობენ ბუნდესგუნდში ან მომავალ ბუნდესფეხბურთელებად მიიჩნევიან.

*„ლევერკუზენი" წელს საკმაოდ კარგად გამოიყურება და არცაა გასაკვირი, ჩვენი მოთამაშეების გადაბირება ბევრმა გუნდმა რომ მოინდომოს. ბოლოს და ბოლოს, მთელმა ევროპამ ნახა, თუ როგორ გავანადგურეთ „ციურიხი" უეფას თასზე (5:0),"* – აცხადებს „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** და იქვე დასძენს, - *„მაგრამ მე მშვიდად ვარ, რადგან ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობას კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებს. ტოპ-ტალანტებს ხელშეკრულებები უკვე გავუხანგრძლივეთ. შობამდე კასტროს და ადლერს კონტრაქტები 2012 წლამდე გავუფორმეთ და დავმშვიდდით. ასე რომ, კლინსმანი ვერაფერს დაგვაკლებს."*

სხვამხრივ, „რუხი მგელი" დარწმუნებულია, რომ **კლინსმანი** „ბაიერნის" წარმატებული მწვრთნელი იქნება. ამბობს, მართალია, კლუბში აქამდე არასდროს უმუშავია და საკლუბო ფეხბურთი სანაკრებოსგან კარდინალურად განსხვავდება, მაგრამ კლინსმანი ისეთი სპეციალისტია, ახალ საქმესაც იოლად აუღებს ალღოსო.



ლევერკუზენის სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი

ბაიერნი

# სანიოლი: მომეცით კაპიტნის სამკლაური

## ვილის არ აინტერესებს, რა უნდა კლინსმანს...

მიუნხენის „ბაიერნის" ფრანგი მცველი **ვილი სანიოლი** დიდი ხანია ელოდება იმ მომენტს, როცა **ოლივერ კანი** აქტიურ სპორტულ კარიერას დაასრულებს. ფრანგისთვის ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ კანის წასვლის შემდეგ რეკორდმაისტერის კაპიტანი სწორედ სანიოლი უნდა გახდეს. როგორც იცით, მიუნხენური კლუბი შეკრებას მარბელიაში გადის. პირველ დღეებში სანიოლმა განაცხადა, კაპიტნის სამკლაურზე ლაპარაკი აღარ მინდა, რადგან ამ თემამ ბოლო დროს მხოლოდ უსიამოვნებები მომიტანაო.

ჯერ კიდევ 2006 წელს, როცა სანიოლი რეკორდმაისტერთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებდა, მიუნხენური კლუბის შეფები ვილის შეპირდნენ, რომ კანის წასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანი გახდებოდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც სანიოლმა „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2010 წლამდე აქვს. მას მერე, რაც გაირკვა, რომ მომდევნო სეზონიდან „ბაიერნს" **იურგენ კლინსმანი** უთავკაცებს, სანიოლის გაკაპიტნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ცნობილია, რომ კლინსმანს თავად სურს კაპიტნის დასახელება – ზუსტად ისე, როგორც ეს გერმანიის ნაკრებში გააკეთა, როცა იმდროინდელ კაპიტან კანს სამკლაური ჩამოართვა და გუნდის თავად **მიხაელ ბალაკი** დანიშნა.

*„ბატონები, კარლ ჰოპფნერი, ული ჰიონესი, კარლ-ჰაინც რუმენიგე და ფრანც ბეკენბაუერი შემპირდნენ, რომ თუკი კონტრაქტს გავაგრძელებდი, 2008 წლის ზაფხულიდან გუნდის კაპიტანი გავხდებოდი. მე კონტრაქტი გავაგრძელე და ახლა შეთანხმების მეორე ნაწილის შესრულებას ვითხოვ. ზაფხულიდან კაპიტნის სამკლაური ჩემი უნდა გახდეს,"* – განუცხადა სანიოლმა გუშინ „ბილდს". კითხვაზე, რა მოხდება, თუკი კლინსმანს არ უნდა, რომ გუნდის კაპიტანი სანიოლი იყოს, ვილი ასე პასუხობს: *„ეს მე არ მაინტერესებს. ასეთ შემთხვევაში კლინსმანი ხელმძღვანელებს უნდა დაელაპარაკოს!"*

ესეც ასე: თუკი კლინსმანს სხვა შეგირდისთვის ემეტება კაპიტნობა, მაშინ „ბაიერნში" პირველი სკანდალი უკვე გარანტირებულია. სანიოლს ვერავინ შეეწინააღმდეგება – ის თავისას ითხოვს. მაგრამ თუ კლინსმანს სხვაგვარი წარმოდგენები აქვს? ყოველ შემთხვევაში, ვილი უკვე ისე ლაპარაკობს, როგორც კაპიტანს შეეფერება: *„მინდა, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო. მერე კიდევ უფრო გავძლიერდებით, რადგან ტოპ-ვარკსვლავებს იოლად შევიძენთ."*

რას ფიქრობენ „ბაიერნის" სხვა ფეხბურთელები? **მარკ ვან ბომელი** ხუმრობს, მომდევნო სეზონში გუნდის კაპიტანი ალბათ ერთი ევროთი მეტ ჯამაგირს აიღებს და სანიოლიც ამის გამო იბრძვის სამკლაურისთვისო...



ვილი სანიოლი კაპიტნის სამკლაურისთვის იბრძვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# რეალის ფეხბურთელები ნამდვილი ტორეადორები არიან

## გუტის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნა ხოსე მარიას არასპორტულმა საქციელმა განაპირობა...

ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბერნდ შუსტერმა მადრიდის "რეალი" ჩაიბარა. ამ თარიღთან დაკავშირებით გერმანელი სპეციალისტი "დიარიო ასის" კორესპონდენტებს შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ მისცა. სასაუბრო მართლაც უხვად დაგროვდა. სამეფო კლუბი წარმატებით ასპარეზობს. ის პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების უპირველესი ფავორიტია. სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გასაოცარი პროგრესი სწორედ შუსტერის ფანტასტიკური მუშაობის დამსახურებაა.

**- ზუსტად ერთი წლის წინ "რეალმა" "რიასორზე" "დეპორტივოსთან " წააგო. ამით განრისხებულმა პრედრაგ მიატოვიჩმა რონალდო "მილანში" გაყიდა. ფაბიო კაპელომ კი დევიდ ბექჰემს ბოიკოტი გამოუცხადა და ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. საინტერესოა, ამ მოვლენებს "ხეტაფედან" როგორ აღიქვამდით?**

- გარედან ყველაფერი საშინლად მოჩანდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ შეიძლება "რეალს" ერთბაშად ამდენი პრობლემა დაუგროვდეს-მეთქი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მადრიდელებისთვის პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება მიუწვდომელი მიზანი იყო. ასეთ სიტუაციაში პრობლემების გადაჭრის გზის პოვნა ძალიან ძნელია ხოლმე. რონალდოს გაყიდვა სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. მოგვიანებით, ბექჰემის შემადგენლობაში დაბრუნებამ სამეფო კლუბს სტიმული და ძალა დაუბრუნა. ჩემი აზრით, ინგლისელმა ჩემპიონობის მოპოვების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა. გულწრფელად რომ გითხრათ, "რეალის" მიერ პირველი ადგილის დაკავება უდიდეს სასწაულს ჰგავდა.

**- თქვენი აზრით როგორ მოახერხა პრობლემებით გათანგულმა სამეფო კლუბმა სიტუაციის შემოტრიალება და ევროპის მოწინავე კოლექტივად გადაქცევა?**

- ვფიქრობ, ეს პირველ რიგში პრეზიდენტისა და გენერალური დირექტორის დამსახურებაა. მათ თამამი ნაბიჯი გადადგეს, რამდენიმე სახელოვანი მოთამაშე გაყიდეს და სანაცვლოდ 9 ფეხბურთელი იყიდეს. ჩემპიონი მწვრთნელის გადაყენება ნათლად მიანიშნებდა იმაზე, რომ "რეალის" ხელმძღვანელობას სერიოზული ცვლილებების განხორციელება სურდა. წარმატების გასაღები "რეალისთვის" ახალი სისხლის გადასხმა გახდა. ჩემი აზრით, ახალწვეულებმა ძალიან დიდი როლი შეასრულეს. უშუალოდ გუნდის მსოფლმხედველობა შეიცვალა. მთავარი მიღწევა ის გახლავთ, რომ ჩვენთან პრივილეგირებული ფეხბურთელები უბრალოდ არ არსებობენ. უკლებლივ ყველა თანასწორუფლებიანია. მგონი, "ბარსელონამ" და "რეალმა" ამ თვალსაზრისითაც გაცვალეს როლები.

**- განა ლოგიკური არ იქნებოდა ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ კაპელო დაეტოვებინათ?**

- ულაპარაკოდ! ყველაზე იოლი გადაწყვეტილება კაპელოს დატოვება და ცხოვრების გართულებისგან თავის არიდება იქნებოდა. ამიტომაც ვარ ამდენად ბედნიერი, რომ პრეზიდენტმა საკმაოდ სარისკო ნაბიჯი გადადგა და მე მიხმო. დიახ, კალდერონმა არალოგიკური, ურთულესი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა-მას არაფრის არ უნდა ეშინოდეს. ბერნდ შუსტერი გაცემულ ავანსებს აუცილებლად გაამართლებს. უახლოესი სამი წლის განმავლობაში სამეფო კლუბს უამრავ წარმატებას მოვუტან.

**- ყველაზე სასაცილო ის არის, რომ დღემდე "ბარსელონის" სოსიო (საზოგადოების წევრი) ხართ...**

- ჩემი გადაწყვეტილების შესახებ გეტყვით. უახლოეს მომავალში "რეალის" სოსიოს მოწმობის აღებას ვაპირებ. მოთხოვნა უკვე გაგზავნილია. დიახ, დღემდე "ბარსას" სოსიოდ შემოვრჩი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგ კატალონიელები გამაგდებენ.



ბერნდ შუსტერმა მადრიდში გატარებული ნახევარი წელი შეაჯამა

**- სეზონის დაწყების წინ სამეფო კლუბში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა. გუნდი ფაქტობრივად, ხელახლა დაიბადა. მიუხედავად ამისა, კარგ შედეგებს უმცირეს დროში მიაღწიეთ. თქვენი აზრით, ეს მართლაც უჩვეულო გარემოება რითი უნდა აიხსნას?**

- ამ ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს. გუნდში ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ, რომლებიც ენთუზიაზმით არიან აღსავსენი. მათ სურთ ყველაფერი მოიგონ და ბოლომდე გააცნობიერონ, თუ რამდენად დიადი კლუბის ღირსებას იცავენ. ახალწვეულები "რეალის" ფასდაუდებელ მოთამაშეებთან, რაულთან, ვან ნისტელროისთან, კანავაროსთან, გუტისა და კასილიასთან ერთად იბრძვიან და თავს არ ზოგავენ, რომ სამეფო კლუბს სიკეთე მოუტანონ. ჩვენი წარმატების რეცეპტები დისციპლინა, თანხმობა, უდიდესი თავგანწირვა და შეუპოვრობაა.

**- ჩვენი გაზეთის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგი ალბათ, კარგად მოგეხსენებათ. გულშემატკივრებმა ამჟამინდელი სამეფო კლუბი ბოლო 20 წლის საუკეთესო გუნდად მიიჩნიეს. არადა, მაშინ "რეალის" ღირსებას თქვენ იცავდით...**

- სიმართლე გითხრათ, ამგვარი პარალელების გავლება არ მიყვარს, თუმცა რადგან ხალხი ასე თვლის, ვალდებული გახლავართ, ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ. სხვათა შორის, ჩვენი გუნდისაც ყველას ეშინოდა. "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს ვცემდით. პირველი წრის განმავლობაში ქულაც კი არავისთვის გაგვიტანებია. იმედია, ჩემი ბიჭები ამ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ. მჯერა, მეორე წრეშიც მაღალ დონეზე ვიასპარეზებთ და ჩემპიონები გავხდებით.

**- წლევანდელი "რეალი" გრანდებთან ფანტასტიკურად გამოიყურებოდა, თუმცა ისეთ საშუალო კლუბებთან, როგორებიც "ვალიადოლიდი", "ხეტაფე", "რეკრეატივო" და "ხეტაფე" არიან საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება დატოვეთ. რატომ ხდება ასე?**

- სერიოზული მატჩების წინ არასოდეს მჭირდება, რომ ფეხბურთელები საბრძოლველად განვაწყო. ისინი პასუხისმგებლობას უთქმელადაც აცნობიერებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოედანზე შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნონ. როგორ ფიქრობთ, "ლაციოსთან" საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ ბიჭებთან რამდენი წუთი ვისაუბრე? არც ერთი. წინა დღით დახურულ ვარჯიშზე ტაქტიკა შევიმუშავეთ, ფუნქციები გავანაწილეთ და ამით ამოვწურეთ ყველაფერი. მატჩის დღეს გასახდელში მართლა არაფერი მითქვამს. დამიჯერეთ, ჩემს შეგირდებს არ სჭირდებათ მოტივირება და შთაგონება. მათ ზედმიწევნით კარგად იციან, როგორ უნდა მონახონ საკუთარ თავში ძალა მონახონ და დაიცვან დიადი კლუბის ღირსება. "რეალის" ფეხბურთელები ნამდვილი ტორეადორები არიან. რაც შეეხება საშუალო დონის გუნდებთან თამაშებს, მათდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად უნდა ვაღიარო, რომ ბიჭებს კონცენტრირება შედარებით უჭირთ. რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ყოველი უსახური ორთაბრძოლის შემდეგ ბიჭები გასახდელში გაცოფებულები შემოდიან. ეს ძალიან კარგი ნიშანია. სამეფო კლუბში მხოლოდ დადებითი შედეგით არავინ კმაყოფილდება. მათ შორის, მეც. ჩვენ ლამაზი ფეხბურთისთვის ვილწვით. "სარაგოსას" ბერნაბეუზე" მოვუგეთ, მაგრამ საფინალო სასტვენის შემდეგ ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. თუ გახსოვთ, პრესკონფერენციაზევე განვაცხადე, რომ თამაშის ხარისხით უკიდურესად უკმაყოფილო დავრჩი.

**- ბოლო თვეებია, სამეფო კლუბი თქვენი სტილით აშკარად ვერ თამაშობს. ვგულისხმობ, იმ სანახაობრივ ფეხბურთს, რომლითაც სეზონის დასაწყისში საზოგადოება გააოცეთ. იქნებ, ეს შემადგენლობის ხშირი როტაციის ბრალი იყოს? მაგალითად, გუტი ჟულიო ბაპტიშტამ ჩაანაცვლა. ჰაინცე სულაც გაურკვევლობაშია. მან დრესაც არ იცის, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია თუ არა...**

- ვერ დაგეთანხმებით. ჰაინცეს სწორედ რომ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოვიაზრებ, მაგრამ ხშირი ტრავმების გამო ვერ ვახერხებ, ძირითადი შემადგენლობაში იმდენჯერ დავაყენო, რამდენჯერაც მსურს. საქმე არა როტაციებში, არამედ უიღბლობაშია. ტრავმების გამო საუკეთესო შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება არ მეძლევა. მიუხედავად ამისა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ გუნდი სწორი გზით მიდის. ამაზე შედეგები და თამაშის ხარისხი ნათლად მეტყველებს.

**- თემას ნუ გაურბიხართ. გამოდის, დიარასა და გუტის ტანდემის ნაცვლად მომავალშიც ბაპტიშტა-დიარას დუეტს ვიხილავთ?**

- საქმე ამაში არ არის. "მურსიასთან" მატჩში გუტი მოედნიდან გააძევეს. ბევრი არ მიფიქრია და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის ნაცვლად ჟულიო ბაპტიშტა დავაყენე. აღმოჩნდა, რომ ბრაზილიელი ფანტასტიკურად იყო მომზადებული. მან გუნდი სერიოზულად გააძლიერა. არანაირი პირობა არ მაქვს იმისათვის, რომ ბაპტიშტა სათადარიგოთა სკამზე დავსვა. მოდით ვიყოთ გულწრფელები, გუტის ძირითადიდან ამოვარდნა მისმა არასპორტულმა საქციელმა განაპირობა. მას დისკვალიფიკაცია მისცეს, ბაპტიშტამ კი შესაძლებლობები დაამტკიცა. რას ვიზამთ, ეს ცხოვრებაა.

**- ითქვა, რომ გუტის კუჭ-ნაწლავის პრობლემა ჰქონდა და ამიტომ გაუჩინარდა. არადა, საზოგადოებაში ხმები დადიოდა, რომ ხოსე მარია თქვენს მიერ იყო დასჯილი. ძალიან გთხოვთ, გვითხარით ნამდვილი მიზეზი.**

- არა, გუტი არ დამისჯია. გარედან მოვლენები სხვანაირად მოჩანს. შესაძლოა, მწვრთნელის მეტ-ნაკლებად მკაცრი განცხადება უცხო ადამიანმა ისე ვერ აღიქვას, როგორც საჭიროა. ანუ, სიმართლე ვერ გაიგოს. გუტი პატარა ბავშვი არ არის, ის ყველაფერს თავად კარგად აცნობიერებს და ხვდება, რომ "მურსიასთან" ცუდად მოიქცა. ამ საქციელისთვის ის ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა. ასე რომ, ჩემი სანქცია აღარ იყო საჭირო.

**- დიარა აფრიკის თასზე იასპარეზებს. ვინ შეცვლის მას?**

- რამდენიმე ვარიანტი მაქვს. ვფიქრობ, გაგო იმსახურებს, რომ შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნების შანსი მივცეთ. არგენტინელი ძალიან ბევრს მუშაობს. ამასთან, ის დიარას ძალიან ჰგავს და მალიელის მსგავსად უაღრესად პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. თუ ფერნანდოს გარკვეული პრობლემები შეექმნა, სხვა ვარიანტს მოვსინჯავთ.

**- არ გაღელვებთ, რომ მადრიდის "რეალის" საუკეთესო მოთამაშე იკერ კასილიასია?**

- სულაც არა. ჩემს ბავშვობაში გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ეროვნული გუნდის გმირი მეკარე მაიერი გახდა. დროა, მენტალიტეტი შევიცვალოთ. მეკარეც გუნდის სრულუფლებიანი წევრია და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ "რეალს" მხოლოდ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელების ყოლის პრეტენზია აქვთ. იქნებ მითხრათ, რატომ არ უნდა გვყავდეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საიმედო მეკარე?

**- თქვენი "რეალი" ძალიან ცოტა გოლს უშვებს. კაპელოს გუნდს ამ თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები ჰქონდა. არადა, იტალიელი დაცვის ორგანიზებას უდიდეს ყურადღებას უთმობდა...**

- კაპელოს დროს გუნდი უშუალოდ საჯარიმო მოედნის მისადგომებთან იცავდა თავს. ჩვენ კი მოწინააღმდეგეებს დაბრკოლებას საჯარიმოდან 30 მეტრის მოშორებით ვუქმნით. იმისთვის, რომ ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდნენ, რამდენიმე ბარიერი უნდა გადალახონ. სხვათა შორის, ამ სისტემის დასანერგად უდიდესი შრომა გავწიეთ.

**- გულწრფელად მითხარით, პეპე 30 მილიონი ევრო ღირს?**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ზუსტად იმდენი გადავიხადეთ მის სანაცვლოდ, რამდენიც რეალურად ღირს. პეპე ფანტასტიკური მცველია. ძალიან კმაყოფილი ვარ მისი თამაშით.

**- კალდერონი კანავაროს გაყიდვის აუცილებლობაზე მტელი სერიოზულობით გელაპარაკებოდათ, მაგრამ თქვენ ის დაარწმუნეთ, რომ იტალიელი ახალ "რეალში" აუცილებლად კარგად ათამაშდებოდა. ასეც მოხდა...**

- კანავაროს შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს შემპარვია. ბედნიერებაა, რომ ასეთი დონის მოთამაშე გვყავს. მის გასხვისებას ცოცხალი თავით არ დავუშვებდი.

ილია ნიკოლაიშვილი

ვარსკვლავი

# მიდი, სანტა!

## რომ არა მეუღლე, როკე ჭკუიდან შეიშლებოდა

**პარაგვაელი თავდამსხმელი როკე სანტა კრუსი მიუნხენის "ბაიერნმა" თავის დროზე დიდზე დიდი იმედებით შეიძინა, თუმცა გერმანიაში გატარებული 8 წლის განმავლობაში მას ჩემპიონატში 5 გოლზე მეტი არცერთხელ გაუტანია. შეიძლება ითქვას, რომ რეგულარული ტრავმიანობისა და არანორმალური კონკურენციის პირობებში მას გაუჭირდა საკუთარი თამაშის პოვნა და სრული პოტენციალის გამოვლენა. პრემიერლიგაში გადაბარგების უმალ მასში გაცოცხლდა თითქოს საბოლოოდ მიძინებული ნიჭი და ახლა, 22 ტურის შემდეგ მის ანგარიშზე უკვე 10 გატანილი გოლია.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

როკე სანტა კრუსს გოლების გატანის გარდა, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვაც ეხერხება

უმაღლეს დონეზე **სანტა კრუსის** დებიუტი ძალიან ადრე შედგა. 15 წლისა ის პარაგვაის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ასუნსიონის "ოლიმპიის" შემადგენლობაში გამოჩნდა. ძალიან მალე მას უკვე პარაგვაული ფეხბურთის ლეგენდარულ წარმომადგენელ **რაულ ამარილიას** ადარებდნენ, ვინც 80-იან წლებში "ბარსელონის" შემადგენლობაში ასპარეზობდა. შედარება საკმაოდ ადეკვატური გახლდათ, რადგან ამ ფეხბურთელებს პლასტიკა, სწრაფი ფეხები და თავით დიდებულად თამაშის თვისება ერთნაირად ჰქონდათ განვითარებული.

*"მე გაოცებული დავრჩი როდესაც დავინახე, თუ რას სჩადიოდა ეს პატარა ბავშვი ბურთით და რა ადვილად გაჰქონდა გოლები,"* - გამოტყდა ერთხელ "ოლიმპიის" მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **ლუის კუბილია.** როკეს შეეძლო კლუბის ლეგენდად ძალიან მალე ქცეულიყო, მაგრამ ევროპელ სელექციონერებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. 1999 წლის გაზაფხულზე ვუნდერკინდმა თავი საუკეთესო მხრივ წარმოაჩინა ნიგერიაში ჩატარებულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც 4 გოლის გატანა მოახერხა. იმავე წლის ზაფხულზე როკე უკვე ეროვნული გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა შეიქმნა კოპა ამერიკაზე, რომელსაც სწორედ მისი სამშობლო მასპინძლობდა. ევროპელმა სკაუტებმა "ოლიმპიის" ბაზაზე იერიში მიიტანეს, რათა უძვირფასესი მარგალიტი ხელში ჩაეგდოთ. ამ ბრძოლაში **ული ჰიონესმა** გაიმარჯვა, ვინც 17 წლის ამომავალ ვარსკვლავში 5 მილიონი დოლარი გადაიხადა. მეტის გადახდა უბრალოდ ვერავინ გარისკა. *"მალე ყველა დარწმუნდებით, რომ ეს თანხა არაა ბევრი. ნახავთ თუ რა თევზი დავიჭირეთ* - საკუთარ თავს აქებდა გერმანელი ფუნქციონერი - *მისი ფასი მალე 30 მილიონი გახდება."*

1999 წლის ბოლოს 18 წლის ფეხბურთელი პარაგვაის წლის ფეხბურთელად დასახელდა, ხოლო გერმანულმა პრესამ სულსწრაფობა გამოიჩინა და მასზე იმხელა ავანსი გასცა, რასაც ის ალბათ ვერც ვერასდროს გაამართლებდა - მას ახალი **ვან ბასტენი** უწოდეს. თუმცა ჰიონესის თევზი სულაც არ აპირებდა მტაცებელ ზვიგენად ქცევას. მის მეორე სეზონში მართალია ის ხშირად ხვდებოდა ძირითადში, მაგრამ 28 თამაშში 5 გოლზე მეტის გატანა მაინც ვერ მოახერხა. ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ გამხდარიყო ბუნდესლიგის ჩემპიონი, მოეგო გერმანიის თასი და ბოლოს სულაც ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ეზეიმა. ერთია, რომ ფინალური მატჩი მან მთლიანად თადარიგში გაატარა, ისევე როგორც მოგვიანებით საკონტინენტთაშორისო თასის თამაში "ბოკა ხუნიორსთან". მოგვიანებით როკემ გაიხსენა ეს პერიოდი *"ძალიან ხშირად მორიგი ტრავმის მორჩენის შემდეგ მოედანზე იმაზე ზრუნვა უფრო მეტად მიწევდა, რომ თამაშიდან სალსალამათი გამოვსულიყავი, ვიდრე იმაზე, რომ სრული კონცენტრირება უშუალოდ თამაშზე მომეხდინა. რომ არა ჩემი მეუღლე ხისელი ალბათ მართლა გავგიჟდებოდი"* დიახ, სამხრეთამერიკელს მძიმე ტრავმები ხშირად ჰქონდა, რაც, ბუნებრივია, მას პოტენციალის გამოვლენაში ხელს უშლიდა. ამის მიუხედავად, ჰიონესისკენ უფრო და უფრო ხშირად გაურბოდათ თვალები, სადაც ერთადერთი კითხვა ირეკლებოდა: სადაა თქვენი ნაქები ლეგენდარული ჰოლანდიელის კლონი? ძალიან მალე ახალი ვან ბასტენის გამოძერწვას მისგან უკვე აღარც არავინ ელოდა. ჩვენ ფეხბურთელის ტრავმების ქრონოლოგიას მოგახსენებთ და თავად დარწმუნდებით, რომ ის მართლაც მძიმე დღეში იყო. 2000 წლის ნოემბერში მან ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა, 2002 წლის ივლისში ტერფის ძვალი მოიტეხა, 2002 წლის ოქტომბერში უკვე მაჯა გაიტეხა, 2003 წლის იანვარში ხელახლა გაუწყდა ბარძაყის კუნთი, 2003 წლის აპრილში მენისკის საკმაოდ მძიმე ოპერაცია გაიკეთა, 2004 წლის სექტემბერში მას მუხლში ჩამდგარი სითხე ამოუღეს... საკმარისია? ამას დაუმატეთ, რომ ტრავმებს შორის პერიოდში მას გუნდის ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა უწევდა არცთუ სუსტ თავდამსხმელებთან. მგონი საკმარისი საფუძველია, რომ ფეხბურთელმა მასზე გაცემული ავანსი ვერ გაამართლოს. 2002 წლის ზაფხულზე "ჩიკომ" (მისი ზედმეტსახელია) მოახერხა მსოფლიოზე ასპარეზობა, გოლის გატანა და გუნდის მერვედფინალში გაყვანაც, სადაც ის გერმანიის ნაკრებში მის თანაგუნდელებს დაუპირისპირდა. **ოლივერ კანმა** თამაშის წინ იხუმრა კიდეც, რომ თუკი როკე გოლს გამიტანს, ურჩევნია, მიუნხენში აღარც ჩამოვიდესო. რაც შეეხება საკლუბო კარიერას, მიუხედავად ყველაფრისა (წარმოიდგინეთ, რომ 2004-2006 წლებში მან ბუნდესლიგაში სულ 17 თამაშის ჩატარება მოახერხა და სულ რაღაც 4 გოლი შეაგდო), როკესი მიუნხენელ ბოსებს ყოველთვის სჯეროდათ. მიუხედავად ათობით წინადადებისა, მისი ტრანსფერი რეალურად დღის წესრიგში არც არასდროს დამდგარა. ამ პერიოდში მის ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი წერტილი 2003 წლის დეკემბერში პატარა ტობიასის დაბადება გამოდგა. რა ამის პასუხია და მისი მეუღლე **ხისელ ტავარელი** როკეს მეგობრისა და პარაგვაის ნაკრების ყოფილი წევრის **რიკარდო ტავარელის** დაა. მისი სულიერი მდგომარეობისთვის მძიმე დარტყმა გამოდგა 2005 წლის 30 იანვარს მომხდარი ტრაგედიაც - მისი უმცროსი ძმა **ოსკარ დანიელი** ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

თუმცა "ჩიკო" არასდროს დანებებულა, მან მოახერხა და ისევ დაუბრუნდა ფეხბურთს. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ **როი მაკაისა** და **კლაუდიო პისაროს** შემცვლელის როლით კმაყოფილდებოდა. ზემოთ ვახსენეთ, რომ როკეს მიუნხენში დიდად ენდობოდნენ, ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ 2005 წლის ნოემბერში ჰიონესმა მას კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისამდე გაუგრძელა. სანტა კრუსს ბედი მხოლოდ ერთ რამეში ალმოაჩნდა: მისი მიუნხენელი თანაგუნდელის **სებასტიან დაისლერისგან** განსხვავებით, რომელიც დიდი ტურნირის წინ ილებდა ხოლმე მძიმე ტრავმებს, ის პირიქით, ყოველ ასეთ მნიშვნელოვან გათამაშებას უეჭველად ჯანმრთელი ხვდებოდა ხოლმე. ასე მოხდა გერმანიაში ჩატარებული მუნდიალის წინაც. სანტა კრუსმა სამივე თამაშში მიიღო მონაწილეობა, თუმცა ნაკრების ჯგუფიდან გაყვანა ამჯერად ველარ მოახერხა. ჟურნალების "კიკერისა" და "ველტის" გამოკითხვის თანახმად, ჩვენი გმირი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებს შორის ქალებმა ყველაზე სექსუალურად დაასახელეს. *"დიდი სიამოვნებით გავცვლიდი ამ გამოკითხვაში დაკავებულ პირველ ადგილს უკანასკნელზე, ოღონდაც ჩემს ნაკრებს ცოტა უკეთ ეასპარეზა,"* - თქვა მოგვიანებით მან.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ როკემ კიდევ ერთი წელიწადი დაყო გერმანიაში. მან მოახერხა და 8-წლიანი მიუნხენური კარიერის განმავლობაში პირველად სეზონი ტრავმის გარეშე დაასრულა, 26 თამაშში მის ანგარიშზე სულ 2 გოლი ჩაიწერა, თანაც 33-ე და 34-ე ტურებში ("კოტბუსისა" და "მაინცის" წინააღმდეგ), ანუ მაშინ, როდესაც მიუნხენურ გრანდს სეზონი უკვე მთლიანად ჩაფლავებული ჰქონდა. რაკი "ბაიერნმა" სრული ფიასკო იწვნია, ბოსებმაც რევოლუციური ცვლილებები დაგეგმეს. ბუნებრივია, ამ გეგმებში როკეს ადგილი აღარ მოინახა. *"წასვლა ჯერ კიდევ 2005 წელს მსურდა, მაგრამ მაშინ რამდენიმე კარგი თამაში ჩავატარე და კონტრაქტიც გავახანგრძლივე. ზოგი ამტკიცებდა, რომ ჩემი ვარსკვლავი ჩაიწვა და ამიტომ ველარასოდეს ვითამაშებდი დიდ ფეხბურთს. ასეთი სიტყვები ჩემთვის ყოველთვის გამოწვევა იყო,"* - ამბობს სანტა კრუსი. ის თავად გამოტყდა, რომ "რომასა" ან "მილანში" თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ მისი გზა ნისლიანი ალბიონისკენ წარიმართა. 5 მილიონ ევროდ ის "ბლექბერნმა" შეიძინა. თუმცა მისით დაინტერესებას **სვენ გორან ერიქსონის** "მანჩესტერ სიტიც" გამოთქვამდა. "ქალაქელები" ძალიან ზანტად იქცეოდნენ, ბევრს ევაჭრებოდნენ ჰიონესს, ამასობაში **მარკ ჰიუზმა** დრო იხელთა და ფეხბურთელი ხელში ჩაიგდო. *"მე დიდი ხანი ვაკვირდებოდი ამ ფეხბურთელს. მას აქვს ყველა მონაცემი იმისთვის, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ბევრი მარწმუნებდა, ამ განზრახვაზე ხელი ამელო, მეუბნებოდნენ, რომ სანტა კრუსი ტრავმებისკენ მიდრეკილი ფეხბურთელი გახლდათ. მე არ ვფიქრობ, რომ მისი მთავარი პრობლემა ეს გახლდათ. არა, ის "ბაიერნში" ძალიან პატარა გადავიდა. პატარებს კიდევ ყოველთვის ძალიან ფრთხილი მიდგომა სჭირდებათ. შეხედეთ კრისტიანო რონალდოს, მას მანჩესტერში სერ ალექსი მამობას უწევს, თვალის ჩინივით უფრთხილდება, რჩევებს აძლევს. მიუნხენში როკეს ასეთი მზრუნველი პედაგოგი გვერდით არავინ ჰყავდა. დარწმუნებული ვარ, ახალ კლუბში მას ჩემი სახით კარგი დასაყრდენი ეყოლება."*

მარკის ნდობამ გაამართლა. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მან 22 ტურში ჩატარებულ 21 თამაშში 10 გოლი გაიტანა და თავის აქტივს 5 პასიც ნაამატა. დაგვეთანხმეთ, სადებიუტო სეზონისთვის ბრწყინვალე შედეგია. მისი დუეტი სამხრეთაფრიკელ **ბენი მაკარტისთან** შთამბეჭდავია. ადამიანს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მთელი ცხოვრება გვერდიგვერდ თამაშობენ. *"ის, რომ ადაპტაცია ასე მალე გავიარე, პირველ რიგში იმის დამსახურებაა, რომ ინგლისურ ენას კარგად ვფლობ. როდესაც გერმანიაში ჩავედი, მაშინ მათი ენა ძალიან რთულად მომეჩვენა."* სანტა კრუსის ინგლისურის მასწავლებელი, არც მეტი, არც ნაკლები, მისი ყოფილი თანაგუნდელი, უახლოესი მეგობარი, დღეს კი "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსი** გახლავთ. სწორედ ოუენის რჩევითვე გადაწყვიტა ინგლისში გადაბარგება პარაგვაელმა.

*P.S. 2004 წელს როკე სანტა კრუსმა როკჯგუფ "შპორტფროინდე შტილერთან" ერთად ჩაწერა სიმღერა " Ich, Roque!" (ეს მე ვარ, როკე!) რომელიც გერმანიასა და ავსტრიაში ჰიტაღლუმების 40-ეულში შევიდა. "ივუდ პარკზე" ამ სიმღერას ჯერ არ უკრავენ, მაგრამ თუ პარაგვაელმა ასე გააგრძელა...*

## 500 თამაში ლივერპულში

"ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების მცველმა **ჯეიმი კარაგერმა** გუშინწინ, 15 იანვარს ინგლისის თასის მატჩში "ლუტონთან" 500-ედ მოირგო საკლუბო მაისურა. ამ რიცხვში შედის ყველა ოფიციალური მატჩი. რაც, 29 წლის ასაკის ფეხბურთელისთვის (30-ის ის 28 იანვარს ხდება) დიდი მიღწევაა. გუნდის კაპიტანმა **სტივ ჯერარდმა**, როგორც ეს ჭეშმარიტ ჯენტლმენს სჩვევია, მეგობარს ერთი თამაშით კაპიტნობა დაუთმო. აქვე აღვნიშნოთ, რომ სამკლაურის გარეშე დარჩენილმა სტივმა გაილაღა და სამი გოლი შეაგდო. აქვე გეყვით, რომ ჯეიმის შედეგიანობა მიუხედავად იმისა, რომ მცველია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ამ 500 თამაშში მის ანგარიშზე სულ რაღაც 4 გოლია. ჯეიმი გახდა მე-12 ფეხბურთელი, ვისაც "ლივერპულის" შემადგენლობაში ამდენი და მეტი თამაში ჩაუტარებია. აბსოლუტური რეკორდსმენი კი **იან რობერტ კალაჰანი** გახლავთ, ვისაც 1960-1978 წლებში ყველა ტურნირზე ერთბაშად 857 თამაში აქვს გამართული.

## ივანოვიჩი ჩელსიში, ბულარუზი ლოკომოტივში

გუშინ, ოთხშაბათ დღეს, საბოლოოდ გაფორმდა მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველის, სერბი **ბრანისლავ ივანოვიჩის** ტრანსფერი "ჩელსის" შემადგენლობაში. როგორც ბრიტანული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, მისი გადაბირება **რომან აბრამოვიჩს** 13 მილიონი ევრო დაუჯდა. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის ყიდვა არაერთ ევროპულ გრანდს სურდა. მათ შორის ყველაზე ხშირად სახელდებოდა "იუვენტუსი". თავად ფეხბურთელის სურვილიც ასეთი იყო, მაგრამ "ქალბატონმა" კონკურენციას ვერ გაუძლო და ფეხბურთელზე ხელი კარგა ხნის წინ ჩაიქნია.

აქვე გაცნობებთ, რომ ლონდონური გრანდის ჰოლანდიელი ფეხბურთელი **ხალიდ ბულარუზი**, ვინც ახლა არენდის წესით "სევილიის" ღირსებას იცავს, შესაძლოა, მომავა წელს კარიერა მოსკოვის ლოკომოტივში გააგრძელოს. შეიძლება ითქვას, რომ ამით რუსები ერთგვარ როქს აკეთებენ. "არისტოკრატებმა" მზადყოფნა გამოთქვეს, ფეხბურთელი 7 მილიონად დათმონ. ახლა მთავარია, პირადი კონტრაქტის დეტალები თავად ფეხბურთელთან შეთანხმდეს.

## ლოკომოტივი მდიდრდება

მოსკოვის "ლოკომოტივის" დირექტორთა საბჭომ, რუსეთის რკინიგზის შეფის **ვლადიმირ იაკუნინის** თაოსნობით, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალ სეზონში კლუბის ბიუჯეტი 45 მილიონიდან 55 მილიონ ევრომდე გაიზარდოს (ამ თანხაში არ შევა ის სახსრები, რომელსაც კლუბი ფეხბურთელების გაყიდვით მიიღებს). მიზანი სავსებით გასაგებია, "ლოკომოტივი" ხელახლა უნდა ჩაება საჩემპიონო რბოლაში. გასულ წელს 45 მილიონიდან 25 რკინიგზამ დოტაციის სახით გამოყო, 15 მილიონი კლუბმა სპონსორებისგან მიიღო, 5 მილიონი კი კომერციული საქმიანობის შედეგად გამოიმუშავა. ამ თანხებიდან 16 მილიონი კლუბმა ფეხბურთელებისა თუ უბრალო თანამშრომლების ხელფასებში დახარჯა, საკლუბო ინფრასტრუქტურის შენახვა 4 მილიონი დაჯდა, ხოლო გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 4.5 მილიონი გადაიხადა.



ფატი რიყამაძე, ნინო ანაკიძე

### საქართველოს ჩემპიონატი. ქალები, პირველი ლიგა

# ტემპერატურა მოიმატებს!

საქართველოში ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ ვგონებ ყველა ჩვენგანის უპირველესი სურვილი ტემპერატურის მატებაა. - კი გვპირდებოდნენ სინოპტიკოსები „პლუსში" გადასვლას, მაგრამ ჯერაც გვარიან „მინუსში" ვართდა ისე ჩანს, კარგა ხანი არ დაგვითბება. სულ სხვა „მეტეოპირობებია" საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში იმართება - იქ ტემპერატურამ საკმაოდ მოიმატა და არა იმიტომ, რომ სასახლის ადმინისტრაციამ შენობის გათბობა მოახერხა - სპორტულმა დაძაბულობამ იმატა.

ამჯერად არც წილისყრისას შექმნილა რაიმე უხერხულობა და არც სხვა რამ პრობლემა წარმოჩენილა, თუ არ ჩავთვლით სიცივისგან მოყუჟულ და დღენიადაგ გაზ და ელექტროქურებთან მორბენალ მოჭადრაკეებს. პირდაპირ გული დაგეწვება კაცს, - მონაწილეებს ისე სცივათ, პარტიის ჩაწერასაც ძლივს ახერხებენ. ასეთ პირობებში ღირს თუ არა საერთოდ ტურნირის ჩატარება, საკითხავია. ჩემის აზრით, არ უნდა ტარდებოდეს და თუკი მაინც გადაწყვეტ, ელემენტარული კომფორტის შექმნა კი უნდა შეეძლოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას. მართალია, სიცივის გამო მასობრივად ტურნირი არ დაუტოვებიათ მონაწილეებს, მაგრამ ერთმა, **მერი ყორყოლიანმა** ვერ გაძლო და ადრიანად დაასრულა ტურნირი. გუშინ მეშვიდე ტური ჩამთავრდა და იმედია, დარჩენილ 2 ტურში ფინიშის ხაზს ყველა გადაკვეთს.

მიმოხილვას, ცხადია, ლიდერთა შეხვედრით დავიწყებთ. ყველასთვის მოულოდნელად, გუშინ პირველ დაფაზე **სალომე გურამიშვილი** და **ქეთი ნანალაშვილი** ისხდნენ. თეთრებით ნანალაშვილი იყო. ამათმა რამდენიმე ფავორიტი დაამარცხეს და თუკი უშუალო დაპირისპირებაში რომელიმე მხარე იძალებდა, ფაქტობრივად ინალდებდა უმაღლესი ლიგის საგზურს.

გოგონები ერთმანეთის მეგობრები კი არიან, მაგრამ შეხვედრა წმინდა სპორტული პრინციპით წარიმართა და უშალავათო ბრძოლის მნახველები გავხდით. ორივე მხარეს მცდელობა მოსაგებად მაინც არასაკმარისი გახდა და საბოლოოდ ზავით და ქულის გაყოფით დასრულდა შეხვედრა.

მეორე დაფაზე **ბელა ხოტენაშვილი** ფავორიტთა კიდევ ერთ რისხვას **სალომე ხაყომიას** ხვდებოდა. თეთრებით ხოტენაშვილი იყო. ბელა მეექვსე ტურშიც თეთრებით თამაშობდა, მაგრამ გურამიშვილთან მაინც დამარცხდა, ამიტომ ზედიზედ მეორედ თეთრებით მარცხს არაფრით დაუშვებდა და მთელი ყურადღება და ოსტატობა ჩააქსოვა მოსაგებად. გამოუვიდა კიდეც - სასტარტო უპირატესობა ნელ-ნელა გადაზარდა მნიშვნელოვანში, რამაც მატერიალური დივიდენდებიც მოუტანა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

ერთი ქულის შემატებით ხოტენაშვილი გურამიშვილს და ნანალაშვილს გაუტოლდა და ახლა ცხრილის სათავეში სამეულია 5.5 ქულით. რამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, მესამე დაფაზე 4.5-ქულიანი **ინგა ჭარხალაშვილი** და 4-ქულიანი **თამარ წერეთელი** ადრეულ ეტაპზე შეთანხმდნენ ყაიმზე. გასაგებია, რომ ორივე მხარემ გადაწყვეტილება გარკვეული გაანგარიშების საფუძველზე მიიღო, მაგრამ რა გარანტია აქვთ, დღეს და ხვალ რომ წარმატებით ითამაშებენ? ასეთი შეთანხმება დღეს რომ მოხდეს პირველ დაფაზე - სრულიად ლოგიკური იქნება, რადგანაც ერთმანეთს ქეთი ნანალაშვილი და ბელა ხოტენაშვილი ხვდებიან. ჯერ ერთი, რომ თანაქალაქელები არიან და ერთმანეთს არ „შეასკდებიან". და მეორე და მთავარი არგუმენტი: ყაიმი ორივეს უნალდებს უმაღლესი ლიგის საგზურს - მათ კოეფიციენტიც კარგი აქვთ, რაც თანაბარი ქულების შემთხვევაში გადაწყვეტი ფაქტორია.

ლიდერებში დაბრუნდნენ **სოფიო ნიკოლაძე** და **ინგა ხურცილავა**. სოფიომ შავებით **მარიამ დანელია** დაამარცხა, ხოლო ინგამ თეთრებით **სოფიკო ტერელაძეს** გააჩერებინა საათი. ორივეს ხუთი ქულა აქვს და დღეს სწორედ ერთმანეთის პირისპირ დასხდებიან. რთული სათქმელია, ამათ შორის ყაიმი რამდენად წაადგება ორივე მხარეს, თუმცა თუკი ბოლო ტურში მოიგებენ, ნებისმიერ შემთხვევაში მოხვდებიან შვიდეულში. ბოლო ტურში მოგება კი რაოდენ რთულია, ყველას კარგად მოეხსენება და ამიტომ ვვარაუდობთ, რომ უშალავათო ბრძოლა გაიმართება. არადა, ამ მატჩსაც შეიძლება ვუწოდოთ მეგობართა და თანაქალაქელთა მატჩი: ორივე ერთი თაობის მოჭადრაკეა და ქუთაისიდან გახლავან წარმოშობით.

მეშვიდე ტურის გამორჩეულ შედეგთა შორის **ფატი რიყამაძის** ყაიმი უნდა მოვიხსენიოთ. ფატიმ შავებით შეძლო ნახევარი ქულის მოპოვება **ნონა დათუაშვილთან**. არადა, მთელი პარტია უარესი პოზიცია ჰქონდა და ხარისხითაც კი ჩამორჩა. მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა დათუაშვილმა ვერ მოახერხა მოსაგებად ზუსტი გზების პოვნა და იძულებული გახდა, ყაიმს დაყაბულებულიყო.

რიყამაძეს და დათუაშვილსაც 4.5 ქულა აქვთ და ჯერაც შერჩენიათ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. სამწუხაროდ, ეს შანსი უკვე დაკარგა **მაკა ფურცელაძემ**, რომელმაც თეთრებით წააგო **ნინო ანაკიძესთან**. მაკას რომ დიდი ჩავარდნა აქვს, ფაქტია, მიზეზი კი შესაძლოა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყოს: მოგეხსენებათ, ნოემბერ-დეკემბერში ესპანეთში ყოფნისას მაკას „ნოუთბუკი" და პასპორტი მოპარეს. თანამედროვე მოჭადრაკისთვის აუცილებელი ნივთის და მასთან ერთად უამრავი საჭირო ინფორმაციის დაკარგვამ არ შეიძლება ცუდად არ იმოქმედოს. იმედია, ფურცელაძე დაძლევს ამ კრიზისს და მომავალში ძველებურად ძლიერად ათამაშდება.

სენსაციის ტოლფასი გამარჯვება მოიპოვა 11 წლის **დეა გოგიშვილმა**, რომელმაც უფროსი თაობის გამოცდილი და საკმაოდ ღონიერი მოჭადრაკე **ნინო მელაშვილი** დაამარცხა. თეთრებით გოგიშვილი თამაშობდა. დებიუტში მელაშვილმა მსუბუქი ფიგურა შესწირა ორი პაიკის სანაცვლოდ, რითაც თეთრების მეფე მოაშიშვლა. გათვლა მთლად ზუსტი არ აღმოჩნდა და მელაშვილს შეეძლო პარტიის ყაიმით დასრულება, თუკი მუდმივ ქიშს გამოუცხადებდა მეტოქეს. მაგრამ ასე არ ინება ნინომ და მოსაგებად დარაზმა თავისი ფიგურები, გოგიშვილმა კი ჯერ კარგად გაამაგრა მეფის ფრთა, შემდეგ საჭირო გაცვლები გააკეთა და როცა საჭირო გახდა ფიგურაც დააბრუნა, თუმცა ისე, რომ ხარისხით წინ დარჩენილიყო. მელაშვილი ძალიან კი ეცადა პოზიციის დაცვას, მაგრამ დეამ უშეცდომოდ მიიყვანა პარტია ბოლომდე და გაიმარჯვა.

გოგიშვილს ამ გამარჯვებით უმაღლესი თამაშის შანსი არ გასჩენია, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ახალი თაობის გოგონებშიც არიან ისეთი მოჭადრაკეები, რომელთა ნიჭზეც დაყრნობა შეიძლება.

დაბოლოს, მეშვიდე ტური თეთრების აშკარა უპირატესობით წარიმართა: 19 პარტიაში 10-ში თეთრებმა მოიგეს და მხოლოდ ორში დამარცხდნენ.

მერვე ტური. პირველი ათი დაფა: **ქეთი ნანალაშვილი (5.5)-ბელა ხოტენაშვილი (5.5); სოფიკო გურამიშვილი (5.5)-ინგა ჭარხალაშვილი (5); სოფიო ნიკოლაძე (5)-ინგა ხურცილავა (5); თამარ წერეთელი (4.5)-ფატი რიყამაძე (4.5); სალომე ხაყომია (4.5)-ნინო ანაკიძე (4.5); ირინა იოსელიანი (4)-ნინო ბაციაშვილი (4); ალექსანდრა ვახანია (4)-სოფიკო ტერელაძე (4); მარიამ დანელია (4)-ნონა დათუაშვილი (4); ლელა უგულავა (3.5)-ნათია ჯალაბაძე (4); ელისაბედ ზარქუა (3.5)-მაკა ფურცელაძე (3.5)**

**ზვიად შათირიშვილი**



### შვიდკაცა

# გზა დუბაიში

2009 წელს შვიდკაცის მსოფლიოს ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ დუბაიში გაიმართება. წლევანდელ სეზონში კი საქართველოს მეშვიდკაცეთა ნაკრები ამ ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

შესარჩევი ტურნირი ევროპის შვიდკაცა რაგბის სერია იქნება, რომელიც რამდენიმე ეტაპად გაიმართება. თითოეულმა ნაკრებმა მინიმუმ ორ ტურნირში მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა. იქ დაგროვილი სარეიტინგო ქულებით 11 საუკეთესო გუნდი ბოლოს ჰანოვერში შეიკრიბება 12-13 ივლისს და გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს გაითამაშებს. დუბაიში ხუთი საუკეთესო გუნდი გაემგზავრება. საქართველოს ნაკრებს ორჯერ უთამასია ფინალურ ტურნირზე - 2001 წელს მეათე ადგილი დაიკავა 24 გუნდში, 2005 წელს - მე-11-12.

უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს ამოცანის შესრულება საქართველოს ნაკრებს ადრინდელზე მეტად გაურთულდება, რადგან ტრადიციულად ძლიერ მეტოქეებს იტალიას, რუსეთსა და პორტუგალიას კიდევ ორი, უელსი და ირლანდია დაემატება. ამასთან შვიდკაცა ბორჯღალოსნებს ორივე ბრიტანულ გუნდთან მოუწევთ თამაში. უელსელები თბილისში გვეწვევიან, ირლანდიის ნაკრებს კი პოლონეთის ქალაქ სოპოტში დავუპირისპირდებით.

სოპოტში ქართველი მეშვიდკაცეები 24-25 მაისს იასპარეზებენ. ჩვენი გუნდი აქ A ჯგუფში მოხვდა მოლდოვას, ლიტვ..ს, უნგრეთისა და დანიის ნაკრებებთან ერთად. B ჯგუფში კი პოლონეთი, ირლანდია, ლატვია, ჰოლანდია და ნორვეგია ითამაშებენ.

შემდეგ ტურნირზე საქართველოს ნაკრები მასპინძელი იქნება. თბილისის შვიდკაცა რაგბის ტურნირი 7-8 ივნისს გაიმართება. აქ ჩვენი მორაგბეები B ჯგუფში უელსის, ბულგარეთის, ისრაელისა და კვიპროსის ნაკრებებთან ერთად მოხვდნენ. A ჯგუფში მოლდოვა, უკრაინა, ლატვია, აზერბაიჯანი და საბერძნეთი ითამაშებენ.

როგორც ხედავთ, მწვრთნელ **კახა ალანიას** გუნდს ევროპის სერიაში სერიოზულად გარჯა მართებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სერიაში შარშან წარუმატებელი ასპარეზობის გამო საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მსოფლიო სერიის ეტაპებს მიღმა დარჩა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის შვიდკაცა რაგბის სერია წლეულს მეშვიდად ტარდება. წინა ექვსში ხუთჯერ ზედიზედ ჩემპიონი პორტუგალიის ნაკრები გახდა, შარშან კი პირველობა მოსკოვში მასპინძლებმა არავის დაანებეს.

**ევროპის შვიდკაცა რაგბის სერია**

**24-25 მაისი. სოპოტი (პოლონეთი)**

A ჯგუფი: მოლდოვა, საქართველო, ლიტვა, უნგრეთი, დანია.

B ჯგუფი: პოლონეთი, ირლანდია, ლატვია, ჰოლანდია, ნორვეგია.

**7-8 მაისი. თბილისი (საქართველო)**

A ჯგუფი: მოლოდოვა, უკრაინა, ლატვია, აზერბაიჯანი, საბერძნეთი.

B ჯგუფი: უელსი, საქართველო, ბულგარეთი, ისრაელი, კვიპროსი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



## თარიღი



**მაია ჩიბურდანიძე.** დაიბადა 17.01.1961. ქუთაისი. **ჭადრაკი.** მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი ქალთა შორის. ჩემპიონობა მოიპოვა 1978 წელს ნონა გაფრინდაშვილის დამარცხებით (8,5:6,5) და შემდეგ ტიტული ოთხჯერ დაიცვა: 1981 წელს ნანა ალექსანდრიასთან (8:8), 1984-ში ირინა ლევიტინასთან (8:5), 1986-ში ელენა ახმილოვსკაიასთან (8,5:5,5) და 1988-ში ნანა იოსელიანთან (8,5:7,5) მატჩებში. ტიტული დათმო 1991 წელს ჩინელ სე ცზიუნთან (6,5:8,5). საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1977) და ვაჟთა შორის (1984). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების შვიდგზის ჩემპიონი (1978,80,82,84,86— სსრკ ნაკრებში: 1992,94— საქართველოს ნაკრებში), სამგზის მეორე (1988,90,2002) და მესამე (1998) პრიზიორი. ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული (1997), სსრკ ჩემპიონი (1977), მრავალგზის საერთაშორისო ტურნირში (მათ შორის ვაჟთა შეჯიბრებებში) გამარჯვებული. ჭადრაკის "ოსკარის' ოთხგზის მფლობელი (1984,85,86,87) საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1978,84,86). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

**იური გუტიაკულოვი.** დაიბადა 17.01.1942. თბილისი. **წყალში ხტომა,** მწვრთნელი. მრავაგზის განმავლობაში იყო საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ლიანა ცოტაძე და ევროპის ორგზის ჩემპიონი გიორგი ჩოგოვაძე.

**ალექსანდრე შერბინა.** დაიბადა 17.01.1931. Bთბილისი. **მძლეოსნობა,** სპორტული სიარული. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1966), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (1960,61), 1960წლის რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (IV ადგილი), ძმები ზნამენსკების მემორიალის მესამე პრიზიორი (1960) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, ბირთვის კვრაში საქართველოს მრავაგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, სსრკ ორგზის პრიზიორი, მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე

**გურამ გუდაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულების თასი

# მგლებმა აკადემიკოსები დაკბინეს

გუშინ მანუჩარ მარკოიშვილისა და გიორგი ცინცაძის სტატისტიკას რომ გავეცანი, ბევრი ვიფიქრე, ევროთასების მიმოხილვა რომელი ქართველით დამეწყო. გამოსავალი მაინც ვიპოვნე - მანუზე ერთ სტატიაში გესაუბრებით, ხოლო ბუზე - მეორეში.

ამ პუბლიკაციას **მანუჩარ მარკოიშვილის** ფოტო ახლავს და მიხვდებოდით, რომ ახლა ულების თასზე „კიევის" გამოსვლაზე მოგახსენებთ. მგლებმა (კიეველთა მეტსახელია) ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში ბულგარული „აკადემიკი" მიიღეს და რევანში აიღეს - 85:84. შეგახსენებთ, რომ „კიევმა" სეზონის პირველი მარცხი სწორედ სოფიაში ინვნია (87:95).

კიევური მატჩის ანგარიშიც მოწმობს, რომ შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ 23:13, შემდეგ სტუმრებმა მოაწყვეს სპურტი და ანგარიში გაათანაბრეს - 24:24. ბოლო შესვენებისას ბულგარელები 64:62-ს იგებდნენ.

მატჩის დასრულებას ორიოდე წუთი უკლდა, როცა მანუჩარ მარკოიშვილმა პერიმეტრიდან ტყორცნა გარისკა და თანაგუნდელები 82:79 დააწინაურა. აკადემიკოსები მაინც არ დანებდნენ და სირენამდე 24 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრეს - 84:84. „კიევის" ამერიკელ გამთამაშებელს **პუხ ჯეტერს** მეტოქეებმა მათ ნახევარზე ბურთის დინჯად გადაიტანა არ დაანებეს და განზრახ დაჯარიმდნენ. პუხმა ერთი საჯარიმო გამოიყენა და, რადგან, საპასუხო შეტევისას ბულგარელებმა სროლა ვერ მოასწრეს „კიევმა" 85:84 გაიმარჯვა.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, მარკოიშვილმა ჯეტერთან ერთად მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა. მისი მონაგარი სტატისტიკურად ასე გამოისახა: 38 წუთი (რეკორდი, უკრაინაში გადასვლის შემდეგ), 13 ქულა (6-დან 3 სამქულიანი), 3 მოხსნა, 2 პასი. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი მაისურის ნომერს გაუტოლდა - 11.

მანუს 13 ქულა საკმარისი მხოლოდ „კიევის" ვიცე-სნაიპერობისთვის გამოდგა. ბომბარდირობა უკრაინელმა **არტურ დროზდოვმა** იკისრა - 20 ქულა.

„კიევის" სლოვენიელმა თავკაცმა **ტომო მაჰორიჩმა** სხვა საკითხებთან ერთად სატურნირო მდგომარეობაზეც ისაუბრა: „დღეს სერიოზული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოგვიწია თამაში და რადგან გავიმარჯვეთ, გამოდის, რომ ამ წნეხს ბიჭებმა ბოლომდე გაუძლეს. „აკადემიკთან" სნაიპერული თვისებები ყველამ კარგად გამოავლინა. ამ გამარჯვებით ჯგუფში მეორე ადგილი დავიბევეთ, რამაც ფლეი ოფში მოედნის უპირატესობა უნდა მოგვცეს. თუმცა, ვაპირებთ ბოლო ტურში გერმანული „არტლანდის" დამარცხებასა და ჯგუფური ეტაპის პირველ ადგილზე დასრულებასაც."

„არტლანდი" „კიევს" 22 იანვარს უმასპინძლებს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

**მე-9 ტური**

| | |
|---|---|
| კიევი (უკრაინა)– აკადემიკი (ბულგარეთი) | 85:84 |
| პო ორტეზი (საფრანგეთი)– რიგა (ლატვია) | 68:66 |
| ბენეტონი (იტალია)– არტლანდი (გერმანია) | 82:64 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| H ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. კიევი | 9 | 7 | 2 | 16 |
| 2. ბენეტონი | 9 | 6 | 3 | 15 |
| 3. აკადემიკი | 9 | 5 | 4 | 14 |
| 4. არტლანდი | 9 | 4 | 5 | 13 |
| 5. რიგა | 9 | 3 | 6 | 12 |
| 6. პო ორტეზი | 9 | 2 | 7 | 11 |

**მომდევნო მატჩები**

**22 იანვარი**

არტლანდი–კიევი

აკადემიკი–პო ორტეზი

რიგა–ბენეტონი



გიორგი ცინცაძე პაოკის წინააღმდეგ



მანუჩარ მარკოიშვილი

ევროთასი

# ცინცაძემ პაოკი დაამარცხა და ოლ სტარისკენ გაიწია

გიორგი ცინცაძემ „ტარტუ როკს" ევროთასზე მორიგი მატჩი მოაგებინა - ბერძნულ პაოკ-თან - 90:80.

ცინცაძე ამ სეზონში „ტარტუს" ლიდერად იქცა და ერთ-ერთი გამორჩეული გამთამაშებელია როგორც ევროთასზე, ასევე ბალტიის ლიგაში. მაგრამ ერთი-ორად დასაფასებელია როკერთა მწვრთნელის, **ულარ კერძეს** მუშაობა, რომელმაც არა მხოლოდ ცინცაძე აათამაშა, ქართველის ირგვლივ გუნდი ისე ააწყო, რომ ტარტუელები ბოლოს როდის დამარცხდნენ, ბევრს არ ახსოვს. ესტონეთის ჩემპიონებმა ევროთასის ოთხივე მატჩი ერთნაირად ჩაატარეს - მეტოქეებს თავიდანვე ენერგიულად შეუტიეს და შეხვედრის ბედი ოთხჯერვე პირველ ტაიმში გადაწყვიტეს.

ასე მოხდა ბოლო მატჩში ბერძნული პაოკ-ის წინააღმდეგ: ცინცაძის პასით ანგარიში **დორონინმა** გახსნა, ხოლო ამ მეოთხედის ბოლო ქულები კვლავ ქართველის შედეგიან გადაცემას მოჰყვა - ამერიკელმა **ბრაიან კუსვორსმა** მასპინძლები 29:13 დააწინაურა. საწყის 10 წუთში ბუმ 3 პასს 6 ქულა მიაყოლა. მეორე და მესამე მეოთხედებში არც ის გაჩერებულა და არც „როკი" - შეხვედრის 23-ე წუთისთვის ცინცაძის თანაგუნდელები თითქმის ორმაგი სხვაობით იგებდნენ - 63:33.

„ფიბა-ევროპის" ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მიმოხილვის ავტორის თქმით, ბოლო მეოთხედი გუნდებმა ვალის მოხდის მიზნით ჩაატარეს და საბოლოოდ ბერძნებმა კატასტროფული სხვაობით მარცხს თავი აარიდეს - 80:90. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ მატჩის ბოლო 4 ქულა გიორგი ცინცაძემ ჩაიწერა.

იგი პაოკ-თან მატჩში საუკეთესო იყო, როგორც ქულების, ასევე პასების მიხედვით - 21 ქულა, 6 შედეგიანი გადაცემა, 1 მოხსნა.

დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „როკი" ევროთასის ფლეი ოფში ითამაშებს. ხოლო ჯგუფურ ეტაპს მეორე ადგილზე დაასრულებს, თუ პირველზე, ამას მომდევნო ორი მატჩი უპასუხებს.

ევროთასზე საუბარს მისი „ოლ სტარით" დავასრულებთ. ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა www.fibaeurope.com-ზე უკვე მიმდინარეობს. თუ ქართველი მკითხველი არ დაიზარებს და ცინცაძეს ხმას მისცემს, შეიძლება იგი წელს ორ „ოლ სტარში" ვიხილოთ.

ევროთასზე საშუალედო შედეგებს არ აქვეყნებენ, ამიტომ წინასწარ ძნელი სათქმელია, რამდენი ხმა აქვს გიორგის.

სამაგიეროდ ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩში ხმის მიცემისთანავე ჩნდება ოპერატიული მონაცემები. სადღეისოდ ცინცაძეს 9815 ხმა აქვს და ლეგიონერთა ნაკრების უკანახაზელთა შორის მეორე ადგილზეა. პირველია „ჟალგირისელი" **მარკუს ბრაუნი** - 10245 ხმა. თუ მესამეადგილოსანი მარკო პოპოვიჩი (8653 ხმა) გიორგის არ წამოეწია, ვარსკვლავთა მატჩში სწორედ ცინცაძე-ბრაუნის დუეტი ითამაშებს. ჰოდა, რომ არ დაეწიოს, შეგიძლიათ ბუს ხმა www.bbl.net-ზე შეაწიოთ. „ოლ სტარი" 2 თებერვალს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართება.

ბოლოს კიდევ ერთ გამოკითხვაზე. ბალტიის ლიგის ოფიციალურ ინტერნეტ-საიტზე დასმულია კითხვა: რომელი კალათბურთელის თამაში იყო სიურპრიზი? ჩამოთვლილ მოთამაშეთა შორის ყველაზე მეტი ხმა „რიტასის" **მარიონას პატრავიჩიუსს** აქვს - 521 (30 პროცენტი). მეორე ადგილზეა **გიორგი ცინცაძე** - 407 ხმა (23 პროცენტი).

**ვაჟა სიმონიშვილი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| როკი (ესტონეთი)– პაოკ (საბერძნეთი) | 90:80 |
| ლაპენრაანტა (ფინეთი)– სამარა (რუსეთი) | 76:78 |

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარტუ | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ლაპეენრანტა | 4 | 1 | 3 | 5 |
| 3. სამარა | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. პაოკ | 4 | 0 | 4 | 4 |

**მომდევნო მატჩები**

22 იანვარი

**სამარა–როკი**

29 იანვარი

**როკი–ლაპენრაანტა**

**საუნივერსიტეტო სპორტი**

# სპორტი ტექნიკურ უნივერსიტეტში

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი სპორტული გამოცოცხლება იგეგმება. სტუ-ს არასოდეს აკლდა სპორტული ტრადიციები, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა უკეთესზე ფიქრობს. ახლახან, ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტის კურატორობა ჩააბარეს ამავე სასწავლებლის სტუდენტს, ტაეკვანდოში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ რევაზ ქელდიშვილს. როგორც ქელდიშვილმა გვითხრა, სტუ-ში ერთბაშად რამდენიმე სპორტის სახეობაა განვითარებული.**

- სტუ-ში ყველაზე კარგად განვითარებულია ხელბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, კრივი, ძალოსნობა, მკლავჭიდი, კარატე და კიკბოქსინგი. ხელბურთში სტუ-"თელავი" საქართველოს 17-გზის ჩემპიონია, ფეხბურთშიც გვაქვს წარმატებები, ხოლო საკალათბურთო კლუბი სტუ, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, ახლა დაშლილია, მაგრამ მის აღდგენას და ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებას ვაპირებთ. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო სტუ-ს რექტორ არჩილ მოწონელიძეს, რომელიც ყველანაირად გვერდში გვიდგას და სტუდენტური სპორტის განვითარებისათვის ბევრს აკეთებს.

**- საკუთარ კარიერაზე რას იტყვით?**

- თებერვალში საქართველოს კიკბოქსიორთა ნაკრები უკრაინის ქალაქ კრივოი როგში გაემგზავრება, სადაც მასპინძლებთან ამხანაგურ გუნდურ შეხვედრას გავმართავთ. შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებ.

## კალათბურთი

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# როგორ ნააგო მაკაბიმ?

**16 იანვარი. რუსთავი**

**B ჯგუფი**

**ავიამშენი–დინამო 105:74**

30:19, 20:13, 25:18, 30:24

ავიამშენი: ნიკოლაძე (19ქ), ხოშტარია (19), კვიმსაძე (4), მათიაშვილი (4), როდუმტა (13), ბერაია (18), ნინიაშვილი (11), ტულუში (9), იმნაძე (4), მინაშვილი (2), მოსეშვილი (2)

დინამო: ულენტი (11), სიგუა (3), კუჭავა, მაისურაძე (8), ათანელიშვილი (4), ლაფანაშვილი (22), გულისაბედაშვილი (14), ახალკაცი (9), ნანიტაშვილი (3)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. ავიამშენი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. დინამო | 2 | 0 | 2 | 2 |

**A ჯგუფი**

**ვითა–მაკაბი 86:83**

22:26, 24:21, 19:18, 21:18

ვითა: მარხვაშვილი (15), ბ. ბერიშვილი (12), მარკოიშვილი (21), ბექანიშვილი (2), ბერძენიშვილი (13), გვიმრაძე (16), ნ. ნოზაძე (6), მ. ბერიშვილი (1)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (9), სორდია (6), ვაშაკიძე (8), ს. შერმადინი (8), გ. შერმადინი (42ქ, 19მ), კორკოტაძე (8), კოლუაშვილი (2), პირველაშვილი, გაგლოშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. ვითა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის მეორე ტურში თითქოს ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული. მართალია, დინამოელები იქადნებოდნენ, მაგრამ გაძლიერებულ „ავიამშენთან“ მათი გამარჯვება მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო. წინა ტურში „მაკაბიმ“ „აზოტთან“ იმდენად უსუსურად ითამაშა, რომ **ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდი უპირობო აუტსაიდერად მოინათლა.

მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა - „ავიამ“ „დინამო“ 105:74 დაამარცხა, ხოლო, მეორე მატჩში „მაკაბიმ“ კინაღამ სენსაცია გამოაცხო.

მართალია, მაკაბელებს ნორმალური შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ რეგულარულმა ჩემპიონატმაც გვიჩვენა, რომ „ვითაზე“ ძლიერები არ არიან. **გიორგი შერმადინის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით „მაკაბი“ მეტოქეს დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა. ხოლო საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე იმავე გიორგის ორქულიანის ყალობით სულაც 80:72 დაწინაურდა. დარჩენილ დროში ჯამლეტ ხუხაშვილის შეგირდებმა გამარჯვებისა ნაადრევად ირწმუნეს და ძალიანაც შეცდნენ. ვითელებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და მეტოქეს არათუ დაეწივნენ, სირენასთან ერთად 3 წულიანი სხვაობითაც გადაასწრეს - 86:83.

**დღეს ნახევარფინალის ტოლფასი მატჩებია - 14 საათზე „ავიამშენი“ თსუ-ს დაუპირისპირდება, ხოლო 16 საათზე „ენერჯი“ - „ვითას“. ამ წყვილებში გამარჯვებულები ხვალ 15 საათზე ფინალს ითამაშებენ.**

ვაჟა სიმონიშვილი

## ჩოგბურთი

# პირველი ცდა უშედეგოა

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ვერ შეძლო შტუტგარტის (გერმანია, 10 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა, მან საკვალიფიკაციო ბადის ფინალურ ეტაპზე 16 წლის პოლონელ **ალექსანდრა გრელასთან** ნააგო. მსოფლიოს 646-ე ჩოგანი კალაშნიკოვა საკვალიფიკაციო ბადეში მე-8 ნომრად იყო განთესილი, მისი ვიზავი კი - მეთერთმეტედ. ოქსანამ ორ სეტში დათმო მატჩი - 5:7, 3:6. გრელა ძირითად ბადეში უკრაინელ **კატერინა ავდიევკოს** (429) შეხვდება. წყვილთა თანრიგში ოქსანა შვეიცარიელ **ნიკოლ რინერს** (504) შეუწყვილდა, პირველ წრეში მათი მეტოქეები ჰოლანდიელები (ევიჟკი, რეინჰარდი) არიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენები

# რა თქმა უნდა, ცირეკიძე!



**ქუთაისური სპორტის მესვეურები და ადგილობრივი ჟურნალისტები ტრადიციულად წლის შედეგების მიხედვით ქალაქის წლის გამორჩეულ სპორტსმენებს, მწვრთნელებს და გუნდებს ასახელებენ. ტრადიცია ამჯერადაც არ დარღვეულა.**

2007 წლის ქუთაისის საუკეთესო სპორტსმენად როგორც მოსალოდნელი იყო **ირაკლი ცირეკიძე** დასახელდა. ირაკლისთვის გასული წელი მართლაც გამორჩეული იყო. იგი სხვა წარმატებებთან ერთად რიო-დეჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. მასთან ერთად საუკეთესოებად დასახელდნენ საქართველოს რაგბისტთა ნაკრების ქუთაისელი წევრები **აქვსენტი გიორგაძე, ირაკლი გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე** და **ავთანდილ კოპალიანი**, რომლებმაც მსოფლიო თასზე ნაკრების წარმატებულ გამოსლაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

ამათ გარდა ცალკე გამორჩეული სპორტსმენების ათეულიც დასახელდა, რომლებიც ქუთაისის მერიისგან ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ. ათეული ასე გამოიყურება: **ლაშა გოგიტაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **გრიგოლ მამრიკიშვილი** (ძიუდო), **პაპუნა მარგველაშვილი** (კიკ-ბოქსინგი), **ილია ტყეშელაშვილი** (სამბო), **კობა ფხაკაძე** (კრივი), **რაულ ცირეკიძე** (ძალოსნობა), **სერგო ნინუა** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **რომან თავაძე** (კრივი), **ოთარ ხარაბაძე** (მკლავჭიდი), **ილია გიორგაძე** (ტანვარჯიში)

შეგირდების მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოვლინდა მწვრთნელების საუკეთესო ათეული. მასში მოხვდა ირაკლი ცირეკიძის ყოფილი მწვრთნელი **ომარ მერაბიშვილიც**, რომელიც რამდენიმე თვის წინ გულის შეტევით გარდაიცვალა. საუკეთესო დამრიგებელთა ათეული ასე გამოიყურება: **ომარ მერაბიშვილი** (ძიუდო), **ხვიჩა გოგიტაძე** (ბ/რ ჭიდაობა), **მურთაზ ბებია** (კიკბოქსინგი), **ელგუჯა მარუაშვილი** (ბ/რ ჭიდაობა), **თამაზ ონიანი** (ძიუდო), **გივი სარდანაძე** (სამბო), **გია ცირეკიძე** (ძალოსნობა), **ვაჟა უნგიაძე** (კარატე-დო), **ზაალ ჯავახაძე** (კრივი), **ემზარ ძაგნიძე** (რაგბი)

ინდივიუალურთან შედარებით, ქუთაისში გუნდურ სახეობებში გაცილებით რთული მდგომარეობაა, „ტორპედო“ პირველ ლიგაშია დაქვეითებული, დაშლილია ვაჟ კალაბთბურთელთა გუნდი. ასეთ ვითარებაში ყველაზე დიდ წარმატებად სარაგბო გუდ „აიას“ მიერ პირველ ლიგაში შედეგიანი ასპარეზობა და უმაღლესში დაბრუნება ჩაითვალა. 2007 წლის ქუთაისის საუკეთესო გუნდის წოდებაც მას მიენიჭა.

იმედი ვიქონიოთ, რომ 2008 წელი ქუთაისისთვის და მთელი საქართველოსთვის უფრო შედეგიანი იქნება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

## სუმო

იანვრის ბაშო

# ქართული იორიკირის დღე

გუშინ იაპონიის დედაქალაქში მორიგი გამარჯვებები იზეიმეს ქართველმა ფალავნებმა **ლევან ცაგურიამ** და **ლევან გორგაძემ**, ჩვენებურთაგან მხოლოდ **თეიმურაზ ჯუღელი** დამარცხდა. **კოკაი** მონღოლ ვეტერან **კიოკუტენჰოს** ხვდებოდა, ყოფილ სეკივაკეს კოკაი სხარტად დაეჯახა და მთელი ძალისხმევით, მოკლე დარტყმებით გაიყვანა მეტოქე დოჰიოდან. ეს კოკაის მესამე გამარჯვებაა ოთხი ბრძოლიდან, სხვათა შორის, დღემდე იანვრის ბაშოზე **კიოკუტენჰო** დაუმარცხებელი იყო. კოკაის დღევანდელი მეტოქე კორეელი **კიმ სუნ ტაკია**, ცენტნერნახევრიანი მე-11 მაეგაშირა **კასუგაო**. უკანასკნელი წლის განმავლობაში ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - 1:1.

უმაღლეს დივიზიონში გუშინ დამარცხდა ოთხივე ოძეკი და ორივე სეკივაკე, სამაგიეროდ თავიანთი ბრძოლები წარმატებით დაასრულეს დიდმა ჩემპიონებმა **ჰაკუჰომ** და **ასაშორიუმ**. ბაშოს ჰაკუჰოსთან ერთად დაუმარცხებლად ყოფილი კომუსუბი **ფუტენო** ლიდერობს. 3-3 გამარჯვებით 11 რიშიკია, მათ შორის - „შავი ზღვა“.

ძალიან კარგად შეეწყო მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოს 20 წლის **ლევან გორგაძე** (**ტოჩინოშინი**). ქართველმა მეოთხე ბრძოლაში მესამე გამარჯვება იზეიმა, მან **კიტინოვაკა** იორიკირის ილეთით დაამარცხა. დღეს ლევანს სერიოზული გამოცდა ელის, 24 წლის მონღოლი **ჰაკუბა** 4 მოგებით დაუმარცხებელია იანვრის ბაშოზე.

სამწუხაროდ, თანამემამულეებს ვერ აჰყვა მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე თეიუმურაზ ჯუღელი (**გაგამარუ**), რომელიც ბაშოზე პირველად დამარცხდა - მან **ჰოკუტოივასთან** ნააგო. გაგამარუს ბალანსი 1-1-ია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-კიოკუტენჰო 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ-გოიდო 1:0, ჰაკუჰო-ტოჩინონადა 1:0, ვაკანოსატო-კოტოოშუ 1:0, ტოიონოშიმა-ჩიოტაიკაი 1:0, კისენოსატო-კოტომიცუკი 1:0, ტოკიტენკუ-კაიო 1:0, კოტოშოგიკუ-ამა 1:0, დეჯიმა-ამინიშიკი 1:0, მიაბიამა-ასასეკირიუ 1:0, ბარუტო-ტამაკასუგა 1:0, როჰო-ჰოკუტორიკი 1:0, კაკურიუ-ჰომაშო 1:0, ტაკეკაძე-ტოიოჰიბიკი 1:0, ვაკანოჰო-ვაკაკირინი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 4-0: **ჰაკუჰო** (იოკოძუნა), **ფუტენო** (მაეგაშირა 12); 3-1: **ასაშორიუ** (იოკოძუნა), **ამინიშიკი** (სეკივაკე), **კოტოშოგიკუ** (კომუსუბი), **კისენოსატო** (მ 1), **ტაკეკაძე** (მ 7), **კაკურიუ** (მ 8), **კოკაი** (მ 9), **ვაკანოჰო** (მ 10), **კიოკუტენჰო** (მ 10), **ივაკიამა** (მ 13), **იჩიჰარა** (მ 16).

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **კოკაი-კასუგაო, ჰაკუჰო-გოეიდო, ასაშორიუ-ტოიონოშიმა, ჩიოტაიკაიამა, კოტომიცუკი-მიაბიამა, კაიო-დეჯიმა, კოტოოშუ-ტოკიტენკუ, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-ტოჩინონადა, ვაკანოსატო-ბარუტო, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი, როჰო-ტაკეკაძე, ტამაკასუგა-ტოიოჰიბიკი, კაკურიუ-კაკიძოე, ფუტენო-იჩიჰარა.**

**ძურიო**

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **ტოჩინოშინი-კირინოვაკა 1:0 (იორიკირი), კორიუ-ჰაკუროძანი 1:0, საკაიძავა-კასუგანიშიკი 1:0, ჩიოჰაკუჰო-კოტოკასუგა 1:0, ჰოშიჰიკარი-შუნკეცუ 1:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

4-0: **რიუო** (ძურიო 2), **ჰაკუბა** (ძ 8), **კიტატაიკი** (ძ 11): 3-1: **ტოჩინოშინი** (ძ 12).

**V დღე.** მნიშვნელოვანი წყვილები: **ტოჩინოშინი-ჰაკუბა, კასუგანიშიკი-კოტოკასუგა, კორიუ-ოცუკასა, ჰაკუროძანი-ჩიოჰაკუჰო, რიუო-ტოიოძაკურა.**

## სამბო

# პუტინის თასზე

15 თებერვალს მოსკოვში იმართება „პუტინის თასი“, რომელსაც წლეულს მასპინძლები პერსონალური მიწვევებით ატარებენ. ვინ ვინ და პრეზიდენტის საპატივცემულოდ რუსები ადრეც საგანგებოდ ზრუნავდნენ - არც საპრიზო ფონდს იშურებდნენ და მუდამ უმაღლეს დონეზე ატარებდნენ, მაგრამ ახლა პრესტიჟზე საგანგებოდ იზრუნეს და წლეულს მხოლოდ ევროპისა და მსოფლიო პირველობების მედალოსნები მიიწვიეს. საბედნიეროდ, შარშან ჩვენმა სამბისტებმა ორივე ტურნირზე შედეგიანად იჭიდავეს და რუსეთში თითქმის სრულყოფილი გუნდით მივდივართ: მსოფლიო ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (52), ევროპის მესამე პრიზიორი **ავთანდილ ცინცაძე** (57), ევროპის ჩემპიონი **დავით სვიმონიშვილი** (62), მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **კახა მამულაშვილი** (74), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ლევან ნიკლაური** (82), ევროპის ჩემპიონი **მინდია ბოდაველი** (90), მსოფლიო ჩემპიონი **მირიან პავლიაშვილი** (100) და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ზვიად ჩინჩალაძე** (+100). მონაწილე ერთადერთ წონაში - 68-ში არ გვეყოლება, რადგან იქ ჩვენმა ფალავნებმა ვერც ევროპაზე იყოჩაღეს და ვერც - მსოფლიოზე.

ირაკლი თავაძე

ჰოკეი

## ნიულანდერისთვის სეზონი დასრულდა

"ვაშინგტონ კეპიტალზი" სეზონის დარჩენილ ნაწილს თავისი ერთ-ერთი წამყვანი ჰოკეისტის გარეშე ჩაატარებს. როგორც გაირკვა, შვედ ლეგიონერს მიკაელ ნიულანდერს ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია ესაჭიროება. ექიმების ვარაუდით, სარეაბილიტაციო პერიოდი 4-6 თვეს გასტანს.

ალექსანდრ ოვეჩკინის შემდეგ, ნიულანდერი დედაქალაქური კლუბის მეორე ბომბარდირია. 40 მატჩში შვედმა ცენტრფორვარდმა 37 ქულა (11 გოლი+26 შედეგიანი პასი) დააგროვა. ნიულანდერი გასულ ზაფხულს გადავიდა "ვაშინგტონში" "ნიუ იორკ რეინჯერსიდან".

## ფორსბერგი მართლა ბრუნდება?

ცნობილი შვედი ჰოკეისტი **პიტერ ფორსბერგი** კვლავინდებურად დიდ ჰოკეიში დაბრუნებას ცდილობს. როგორც იცით, ფორვარდი მუხლის ტრავმის გამო, შარშანდელი სეზონის შემდეგ არ გასულა ყინულზე. შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბენგტ-აკე გუსტაფსონმა** გუშინ განაცხადა, რომ NHL-ის ყოფილმა საუკეთესო მოთამაშემ გადაწყვიტა ძალები სცადოს ევროტურის მესამე ეტაპზე, რომელიც სტოკჰოლმში 7 თებერვალს დაიწყება.

*"თუ ფორსბერგი ფორმის აკრეფას მოასწრებს, ჩვენ მას აუცილებლად მივცემთ შანსს. პიტერმა მითხრა, რომ უკვე მომავალ კვირას იწყებს ინტენსიურ ვარჯიშს"*, - ამბობს გუსტაფსონი. თავად ჰოკეისტმა შვედურ პრესას ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ოცნებობს დაბრუნებას, თუმცა არ იცის, რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას. *"ყველაფერი 26 თებერვლამდე უნდა გაირკვეს. ჰოკეის თამაში ძალიან მინდა და ჩემმა ექიმმა პირობა მომცა, რომ უახლოეს მომავალში ძველი ტრავმის კვალიც არ დარჩება"*, - აცხადებს ფორსბერგი.

შეგახსენებთ, რომ ჰოკეისტის აგენტი პიტერის ყოფილ კლუბთან, "ფილადელფია ფლაიერზთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს.

## ჯოზეფი კალგარიში ჩაირიცხა

ვეტერანმა მეკარემ **კერტის ჯოზეფმა** აირჩია კლუბი, რომელშიც ის წელს კარიერას გააგრძელებს. 40 წლის ჰოკეისტმა კონტრაქტი გააფორმა "კალგარი ფლეიმზთან" და ამ გუნდში ძირითადი გოლკიპერის, **მიკა კიპრუსოფის** შემცვლელი იქნება.

კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ კანადური პრესა წერს, რომ ხელშეკრულება ერთწლიანია და ჯოზეფის ხელფასი 1.5 მილიონი დოლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ წელს ვეტერანი ევროპაში გადაბარგდა და იქ შვედეთის ლიგაში თამაშობდა. NHL-ის კლუბები კერტისით მაშინ დაინტერესდნენ, როცა მან დეკემბერში კანადის ნაკრების კარი დაიცვა და ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა.

## ატლანტა ჰოსას გაშვებას აპირებს

"ატლანტა ტრეშერზის" ერთ-ერთ ლიდერს, სლოვაკ **მარიან ჰოსას** ამ სეზონის შემდეგ გასდის კლუბთან კონტრაქტის ვადა. ამის გამო, ამ ფორვარდით NHL-ის ბევრი კლუბია დაინტერესებული.

ჰოსას გარშემო წარმოქმნილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა "ატლანტას" ხელმძღვანელობა. კლუბის ბოსებმა საინტერესო განცხადება გაავრცელეს - თუ 26 თებერვლამდე სლოვაკი თავდამსხმელი "ატლანტასთან" ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მას სხვა გუნდს შესაბამის კომპენსაციაში გაუცვლიან.

*"მსგავს გადაწყვეტილებას აუცილებლად მივიღებთ"*, - განაცხადა "ატლანტას" მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა **დონ უოდელმა**, რომელმაც ისიც დაამატა, რომ ყველა ღონეს იხმარს ჰოსას შესანარჩუნებლად.

მარიანმა წლევანდელ სეზონში 44 მატჩი ჩაატარა და 42 ქულა (19 გოლი+23 პასი) დააგროვა.

კალათბურთი

## უებერს რამდენიმე კლუბი ეპატიჟება

ამერიკულ პრესაში სულ უფრო აქტიურად წერენ იმის შესახებ, რომ ვეტერანი ფორვარდი **კრის უებერი** შესაძლოა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას დაუბრუნდეს. კალათბურთელის მიმართ დაინტერესებას გამოთქვამენ "დეტროიტი", "ლეიკერსი", "მაიამი", "ორლანდო", "ტორონტო" და კიდევ ორი კლუბი, რომელთა სახელები ცნობილი არ არის. როგორც იცით, უებერს შარშანდელი სეზონის შემდეგ არ უთამაშია, როცა თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა "დეტროიტ პისტონზი".

შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში ამერიკელს ერთწლიანი და 12-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა საბერძნეთის ჩემპიონმა "ოლიმპიაკოსმა", მაგრამ უებერმა ევროპაში თამაში არ ისურვა.

## არენასი სეზონის ბოლოს გადაწყვეტს

"ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერი **გილბერტ არენასი**, რომელიც ამ სეზონში ტრავმის გამო არ თამაშობს, კლუბთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებების დაწყებას წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აპირებს. თანაც, მცველი გუნდის შეცვლის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.

*"მრავალწლიან ხელშეკრულებას ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ ჯერ ძნელია იმაზე საუბარი, თუ რა გამოვა საბოლოოდ. პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, "ვაშინგტონი" იქნება, მაგრამ თუ ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, ისეთ გუნდში გადავალ, სადაც ჩემპიონობის მოპოვების შანსი მექნება"*, - ამბობს არენასი.

## მოურნინგი დაგვემშვიდობა

"მაიამი ჰიტის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ალონსო მოურნინგმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ დაასრულა NBA-ში 15-წლიანი კარიერა.

გასულ ზაფხულს, 37 წლის კალათბურთელმა არაერთხელ განაცხადა, რომ ეს სეზონი მისთვის ბოლო იქნებოდა, მაგრამ ზოს ნაადრევად მოუწია კალათბურთიდან წასვლა. როგორც იცით, მან დეკემბერში, ერთ-ერთი მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაიკეთა და გადაწყვიტა, რომ პარკეტზე აღარასოდეს გავიდოდა.

## პანათინაიკოსმა ბატისტი დაკარგა

სერიოზული დანაკლისი აქვს საბერძნეთის "პანათინაიკოსს". კლუბის ამერიკელი ცენტრი **მაიკ ბატისტი** დაახლოებით ექვს მატჩში ვერ დაეხმარება თავის გუნდს. კალათბურთელს მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო უწევს იძულებითი პაუზის აღება.

თავად ბატისტი აცხადებს, რომ მას შეუძლია მოედანზე გასვლა, მაგრამ ბერძნების დამრიგებელი **ჟელკო ობრადოვიჩი** კალათბურთელს დასვენების საშუალებას მისცემს.





NBA. რეგულარული

# ბიძია სემის დაბრუნება

ძალიან გაიწელა "კლიპერსის" ლიდერის, ფორვარდ **Eელტონ ბრენდის** დაბრუნება. რეგულარულის დაწყებამდე ნაოპერაციები ვარსკვლავის სარეაბილიტაციო პროცესი სადღაც, 3-4 კვირაში უნდა დასრულდეს, მაგრამ ვეჭვობთ, კალიფორნიელებმა უძლიერესი შემადგენლობითაც კი, მოახერხონ საფლეიოფო საგზურის მოპოვება. ჰანდიკაპი "კლიპერსსა" და პირველ რვა გუნდს შორის უკვე საკმაოდ სოლიდურია - ლოს ანჯელესელებს 11 მოგება და 23 წაგება აქვთ, ხოლო დასავლეთში მერვე ადგილზე მყოფი "გოლდენ სტეიტის" მონაგარი კი 23 გამარჯვებაა.

მიუხედავად ამისა, "კლიპერსი" მაქსიმუმს აკეთებს და ხანდახან, ფავორიტებსაც უგებს. ასე მოხდა ამჯერადაც, როდესაც "სტეიპლს სენტრი" თავჩაღუნულმა, "ფინიქსმა" დატოვა.

"კლიპერსი" შემადგენლობით ნორმალურად გამოიყურება და პრინციპში, ბრენდის გარეშეც, ამ ეტაპისთვის გაცილებით მეტი მოგება უნდა ჰქონდეს აქტივში, მაგრამ გუნდი ერთი შეხედვით მოგებულ მატჩებს აგებს და გადამწყვეტ მომენტებში კონცენტრაციას კარგავს.

წლევანდელ სეზონში გუნდის აშკარა ლიდერმა, ცენტრმა **კრის კამანმა ამარე სტაუდმაიერთან და შონ მერიონთან** საფარქვეშეთო ჯახი სროლების გამოყენების მხრივ (14-ში ოდენ სამჯერ ივარგა) აშკარად დათმო, მაგრამ ამ ბრგე და მონდომებულმა ახალაგრზდამ მოხსნებზე მაგრად იმუშავა და საბოლოოდ, სწორედ მისმა თავდაუზოგავმა თამაშმა მოაგებინა მასპინძლებს ფარი 48:36, რაც ზესწრაფ და ათლეტურ არიზონელებთან მატჩში ძალიან ბევრს ნიშნავს.

კამანი ფარქვეშეთში არავის აჭაჭანებდა (ამარემ ქულების დიდი ნაწილი პერიმეტრიდან სროლებით დააგროვა, მერიონმა კი ორი სამქულიანით შეივსო ქულათა მარაგი), თუმცა შეხვედრის გმირად ბევრისგან მივიწყებულ-ჩამოწერილი ბებერი უკანახაზელი, **სემ კასელი** იქცა.

*"სემი ჩვენი გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრია და მიუხედავად იმისა, რომ მას ბოლო დროს ხშირმა ტრავმიანობამ საუკეთესო თვისებების წარმოჩენაში ხელი მაგრად შეუშალა, "კლიპერსის" მთელი ორგანიზაცია ენდობა კასელს და ყველამ მშვენივრად ვიცით, თუ რაოდენ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია მას ჩვენი გუნდისთვის"* – ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **კორი მაგეტი**, რომელმაც თამაშიდან 13-ში 7, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან კი 9-ში 7 სოლა შეასრულა ზუსტად.

კასელს წინა ოთხ მატჩში, ჯამში 31-ში სულ რაღაც 7 სროლა ჩაეგდო, მაგრამ მოტივირებულმა და მონდომებულმა ვეტერანმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია.

"ფინიქსი", რომელსაც წინა ექვსი გამარჯვებიდან, სამჯერ 10 და მეტქულიანი ჩამორჩენის აღმოხვრა დასჭირდა, ამჯერადაც სულ უკან იყო, თუმცა 14 ქულით გაქცეულ მასპინძელს სტაუდმაიერისა და **რაჯა ბელის** აქტიურობით წამოეწია და ძირითადის დასრულებას 5 წუთი რომ უკლდა, სამ ქულამდე (77:80) დაიყვანა ჰანდიკაპი.

აქედან მოყოლებული კი კასელი შეუცვლელი იყო. სადღაც, 2 არასრულ წუთში მან ზედიზედ 8 ქულა დააგროვა, ორჯერ ფარიდან ასხლეტილი ბურთი ჩაიგდო ხელში და ერთხელ **ტიმ ტომასიც** მოამარაგა შედეგიანი გადაცემით.

საბოლოოდ, "კლიპერსმა" ბოლო 12 შეხვედრაში მხოლოდ მეორე გამარჯვება მოიპოვა, მატჩი კი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ერთმანეთის წინაშე ლიგის ყველაზე შედეგიანი ("ფინიქსი" საშუალოდ მატჩში 110.3 ქულას აგროვებს) და ყველაზე მწირქულიანი ("კლიპერსი", 92.6) გუნდები წარსდგნენ.

■ ■ ■

**ლებრონ ჯეიმსი** ლიგის აღიარებული მეფე, ყველაზე ათლეტური ახალგაზრდა და უნივერსალთა შორის ყველაზე გამორჩეულია და იშვიათი გამონაკლისების გარდა, პრაქტიკულად, მარტო მიათრევს შარშანდელთან შედარებით რეგრესირებულ "კლივლენდს", რომელსაც ბოლო მატჩებში თამაშის ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, მაგრად გაუჭირდება აღმოსავლეთის ჩემპიონის ტიტულის დაცვა. "კავალიერსი" "ბოსტონსა" და "დეტროიტს" თამაშის დისციპლინითა და პირველ რიგში, დაცვით აშკარად ჩამოუვარდება.

"მემფისთან" გასვლით შეხვედრაში ლებრონმა 51 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა და უკვე მერამდენედ, ყველაზე მეტად ბოლო მეოთხედსა და ოვერტაიმში დაიქუხა.

ლებრონმა კარიერაში მეოთხედ გადააბიჯა 50-იან ზღვარს და მესამედ ამ სეზონში, ოპონენტი ბოლო პერიოდსა და დამატებით დროში 20 და მეტი ქულით დაამწუხრა.

ზედიზედ მეხუთე მატჩის წაგების მიუხედავად, "მემფისი" საკუთარ მოედანზე მაინც საკმაოდ სახიფათოა და "კავალიერსსაც" ლებრონის ზღაპრული თამაშის მიუხედავად, დიდი ომის გადატანა მოუხდა.

ლებრონმა თამაშიდან 28-ში 18 სროლა გამოიყენა და სამმაგ დუბლამდეც მცირედი დააკლდა, მაგრამ როგორც ეს წელს არაერთხელ მომხდარა, "კლივლენდმა" საშინლად ითამაშა დაცვაში და რომ არა მისი ლიდერი, წაგება გარდაუვალი იქნებოდა.

ჯეიმსის ფანებს კი შეგახსენებთ, რომ ამ სუპერმენის კარიერის რეკორდი 56 ქულაა, რაც ლებრონმა 2005 წლის მარტში "ტორონტო რეპტორზის" წინააღმდეგ შეხვედრაში დააფიქსირა, ხოლო 51 ქულით კი მან მიმდინარე რეგულარულის აბსოლუტური რეკორდი გაიმეორა, რომელიც მანამდე "დენვერ ნაგეტსის" უბერებელმა ჩია კაცმა, **ალენ აივერსონმა** აჩვენა. ჯეიმსი ამ სეზონში საშუალოდ 29.8 ქულას აგროვებს და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე იმყოფება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**კლიპერსი–ფინიქსი 97:90**

28:27, 21:21, 25:17, 23:25

**კლიპერსი:** კასელი (32 ქ. 7 პ. 6 მ), მაგეტი (21 ქ. 5 მ), მობლი (12 ქ. 4 მ), ტიმ ტომასი (11 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), კამანი (9 ქ. 18 მ. 2 დ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (29 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ), რ. ბელი (15 ქ. 5 მ), ნეში (14 ქ. 13 პ. 3 მ), მერიონი (14 ქ. 17 მ. 3 პ. 2 ჩ).

**მემფისი–კლივლენდი 124:132 (ო)**

31:31, 22:25, 28:29, 32:28, 11:19

**მემფისი:** გეი (30 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), ნავარო (26 ქ. 4 პ. 2 ჩ), კონლი (20 ქ. 7 პ. 2 ჩ), გასოლი (19 ქ. 12 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), მ. მილერი (12 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (51 ქ. 9 პ. 8 მ. 3 ჩ), გიბსონი (18 ქ), ილგაუსკასი (14 ქ. 8 მ. 3 პ), გუდენი (12 ქ. 11 მ), ვარეჟაო (11 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 პ).

**ატლანტა–დენვერი 104:93**

34:22, 31:22, 17:23, 22:26

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (22 ქ. 5 პ. 4 მ), მერვინ უილიამსი (19 ქ. 9 მ. 4 პ), ჩილდრესი (17 ქ. 4 მ. 3 პ), ე. ჯონსონი (13 ქ. 6 პ. 3 ჩ), ჰორფორდი (12 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ), ჯოშ სმიტი (10 ქ. 4 მ. 4 პ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.**

**დენვერი:** ენტონი (36 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ), აივერსონი (27 ქ. 4 პ), ჯეი. აჩ. სმიტი (21 ქ. 3 პ), კემბი (4 ქ. 12 მ. 4 ჩ. 3 პ).

**ორლანდო–ჩიკაგო 102:88**

24:27, 33:25, 32:10, 13:26

**ორლანდო:** რ. ლიუისი (26 ქ. 6 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (15 ქ. 11 მ), ბოგანსი (15 ქ), ბ. კუკი (14 ქ), თურქოღლუ (8 ქ. 6 მ. 3 პ).

**ჩიკაგო:** ჯო სმიტი (13 ქ. 2 ჩ), ნოა (12 ქ. 11 მ), დენგი (10 ქ).

**ნიუ იორკი–ვაშინგტონი 105:93**

30:14, 21:27, 26:31, 28:21

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (29 ქ. 4 პ), ზ. რენდოლფი (14 ქ. 11 მ), ნ. რობინსონი (14 ქ. 8 პ), კ. რიჩარდსონი (13 ქ. 7 პ), კარი (10 ქ), ჯ. ჯოუნსი (10 ქ).

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (24 ქ. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), ჯეიმისონი (21 . 8 მ), რ. მეისონი (20 ქ), პეჩეროვი (9 ქ. 4 მ).

**დეტროიტი–ტორონტო 103:89**

20:16, 31:34, 26:15, 26:24

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (39 ქ. 6 პ. 4 მ), ბილაპსი (20 ქ. 4 პ), მაკდაიესი (9 ქ. 13 მ. 7 ჩ. 3 პ. 2 დ), რ. უოლასი (9 ქ).

**ტორონტო:** ბოში (16 ქ. 11 მ. 3 პ), დელფინო (14 ქ), კაპონო (14 ქ), ჯ. მუნი (11 ქ. 5 მ), ე. პარკერი (10 ქ. 3 მ).

**მინესოტა–გ. სტეიტი 98:105**

24:28, 20:28, 22:27, 32:22

**მინესოტა:** ა. უოკერი (26 ქ. 10 მ), ე. ჯეფერსონი (18 ქ. 14 მ), გომესი (15 ქ. 5 მ), მაკკენტსი (11 ქ. 5 მ. 3 პ), ტელფეირი (10 ქ. 8 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (22 ქ. 9 პ. 5 მ. 5 ჩ), ს. ჯექსონი (21 ქ), მ. ელისი (17 ქ. 4 პ), ე. ჰარინგტონი (12 ქ), მ. ბარნსი (11 ქ. 2 ჩ), მ. პიეტრუსი (10 ქ. 4 პ. 3 დ), კროშირი (9 ქ).

**ჰიუსტონი–ფილადელფია 107:111**

31:30, 29:25, 25:19, 22:37

**ჰიუსტონი:** მინი (25 ქ. 8 მ. 2 დ), ალსტონი (20 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ბეტიე (17 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 პ), ჰედი (16 ქ. 7 პ), სკოლა (10 ქ. 6 მ. 3 პ).

**ფილადელფია:** ა. მილერი (26 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ), დალემბერი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), ლ. უილიამსი (18 ქ. 6 პ. 3 ჩ), იგუოდალა (17 ქ. 7 მ. 5 პ), უ. გრინი (15 ქ), ტ. იანგი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ).

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი–მონრეალი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 პლეკანეცი-15, 0:2 პლეკანეცი-16 (კოვალიოვი-23), 1:2 პარკი-7 (გერინი-10), 1:3 კოვალიოვი-20.

**ვაშინგტონი–ოტავა 4:2**

0:0, 2:2, 2:0

გოლები: 1:0 მ. გრინი-13 (ვიქ. კოზლოვი-22, სიომინი-7), 1:1 მაკამონდი-4 (მეზაროში-13, ალფრედსონი-31), 1:2 რედენი-6 (ივსი-5, კ. კელი-13), 2:2 სიომინი-8, 3:2 ოვეჩკინი-34 (ლეიჩი-7, ფლიშმანი-9), 4:2 სიომინი-9 (ფლიშმანი-10).

**კოლამბუსი–ვანკუვერი 3:2**

2:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 პეინსი-5 (ფერდიოვი-20, ვიზორნი-12), 2:0 ფერდიოვი-18 (პეკა-13), 2:1 ბიჩი-6 (რიტჩი-6, ა. მილერი-6), 2:2 დ. სედინი-22 (ჰ. სედინი-38, სალო-4), 3:1 ჩიმერა-7 (ფრიტში-7, მალორტა-8).

**ტორონტო–კაროლინა 5:4**

0:0, 3:2, 2:2

გოლები: 1:0 ტ. კაბერლე-7 (სუნდინი-30), 1:1 სამსონოვი-1 (ე. კოული-19, ბრინდამორი-23), 2:1 კილგერი-8 (დევერო-7, ი. უაიტი-10), 2:2 ე. კოული-11 (უესლი-3, სამსონოვი-6), 3:2 სტაიანი-10 (სტრალმანი-2, ჯ. ბლეიკი-20), 3:3 ლედი-5 (ე. სტაალი-19, ჯ. ჰემილტონი-12), 4:3 პონიკაროვსკი-12 (ჯ. ბლეიკი-21), 5:3 ი. უაიტი-3, 5:4 ბრინდამორი-16 (რეი უიტნი-24, სამსონოვი-7).

**ტამპა ბეი–კოლორადო 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ფინგერი-3 (ლაილსი-16, არნასონი-10), 0:2 შჩასტნი-17 (ბრუნეტი-23, ბ. კლარკი-12), 0:3 პეიდუკი-17 (ბრუნეტი-24, შჩასტნი-32).

**დეტროიტი–ატლანტა 1:5**

0:2, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-17 (რეკი-16, ენსტრომი-24), 0:2 მარიან ჰოსა-18 (კლი-6), 0:3 მარიან ჰოსა-19 (ტ. უაიტი-20, ენსტრომი-25), 0:4 პერენი-8 (დოული-1, კოვალჩუკი-26), 1:4 კრონვალი-4 (ზეტერბერგი-31, სამუელსონი-17), 1:5 ვიაჩ. კოზლოვი-13 (რეკი-17, პოპოვიჩი-2).

**ნეშვილი–კალგარი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ერატი-12 (ბონკი-8, გელინასი-7), 2:0 დუმონი-17 (არნოტი-23, სატერი-11), 3:0 კოისტინენი-2 (ტოდლიცკი-23, დუმონი-20).

**ედმონტონი–ლოს ანჯელესი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ო'სალივანი-12 (კოპიტარი-25, რ. ბლეიკი-20), 0:2 დ. ბრაუნი-23 (ო'სალივანი-14), 0:3 ვიშნოვსკი-5 (კოპიტარი-26, რ. ბლეიკი-21), 1:3 პენერი-13 (პემსკი-25, პორკოფი-25).

**ფინიქსი–სან ხოსე 5:3**

1:2, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 ჩიჩუ-6 (პაველსკი-8, ერნჰოფი-15), 1:1 დოუნი-13 (პ. მიულერი-13, ჟოვანოვსკი-24), 1:2 ჯ. ტორნტონი-14 (მ. კარლი-9, მარლო-14), 2:2 ჟოვანოვსკი-5 (დოუნი-28), 3:2 ტიარნკვისტი-2 (ბოინტონი-7), 3:3 კ. ბრაუნი-1 (პაველსკი-9, ჯ. ტორნტონი-41), 4:3 ჯ. პერო-5 (პ. მიულერი-14, ჟოვანოვსკი-25), 5:3 დოუნი-14 (პ. მიულერი-15, ჟოვანოვსკი-26)

**ანაჰაიმი–დალასი 4:2**

1:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 ჰაგმანი-15 (მოდანო-20, ბარნსი-8), 1:1 ს. ნიდერმაიერი-2 (პერი-16, ბერტუცი-14), 2:1 მარჩანტი-4 (რ. კარტერი-3, ს. ნიდერმაიერი-8), 3:1 გეტცლაფი-18 (ბოჩენსკი-8, ს. ნიდერმაიერი-9), 3:2 ლ; ერიქსონი-6 (ჰაგმანი-8, გროსმანი-3), 4:2 ბერტუცი-9 (გეტცლაფი-33, პრონგერი-25).

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

# ნელსინიოსთან პრობლემები არ მექნება



"რენოში" დაბრუნებულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა ფერნანდო ალონსომ ესპანეთის ხერესში მიმდინარე ტესტებზე საუკეთესო დრო აჩვენა.

ესპანელმა პილოტმა საუკეთესო წრე წუთსა და 19,503 წამში გაიარა. ალონსოს სულ მცირედით ჩამორჩნენ "მაკლარენის" ტესტ-პილოტი პედრო დე ლა როსა (1.19,650) და "ფერარის" ფინელი ავტომრბოლი, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი კიმი რაიკონენი (1.19,708).

არაოფიციალურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა ნიკო როსბერგი ("უილიამსი"), მეხუთე - ფელიპე მასა ("ფერარი"), მეექვსე - ჰეიკი კოვალაინენი ("მაკლარენი").

სულ სამშაბათს ტრასაზე 13 მანქანა გავიდა. ამ ტესტებზე დე ლა როსა, რაიკონენი, მასა, კოვალაინენი და ტიმო გლოკი ("ტოიოტა"), სხვებისგან განსხვავებით, ახალი მანქანებით გამოდიოდნენ.

ტესტების შემდეგ, ესპანელმა თავისი შთაბეჭდილებები ჟურნალისტებს გაუზიარა.

**- რითი იყავით დაკავებული მას შემდეგ, რაც თქვენი "რენოში" დაბრუნება გამოცხადდა?**

- შობა ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ესპანეთში გავატარე, დანარჩენი დრო შვეიცარიაში, საკუთარი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად ვმუშაობდი. როგორც წესი, ასეთ დროს ჩვენ ინტენსიური ვარჯიშები გვაქვს ხოლმე.

**- როგორ ვარჯიშობთ?**

- ზამთარში ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური ფორმა აკრიფო, რათა მთელი სეზონის განმავლობაში არ შეგექმნას პრობლემები. რა თქმა უნდა, მსუბუქი ვარჯიშები რბოლებს შორისაც გვაქვს, მაგრამ მთავარი სამუშაო სწორედ სეზონის წინ ტარდება. ძირითად აქცენტს სირბილზე, ცურვასა და სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშზე ვაკეთებ.

**- რა სამი სურვილი ჩაიფიქრეთ 2008 წლისთვის?**

- პირველი: ყველანი ჯანმრთელნი იყვნენ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ჩემს გვერდით მუშაობა უწევთ. ჩემი აზრით, ეს ყველაზე მთავარია. მეორე: ბედნიერება - ეს მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ცხოვრებაში. და მესამე: საკუთარ თავს წარმატებული წელი ვუსურვე.

**- გასული წელი მრავალი მიზეზის გამო სკანდალური გამოდგა, როგორც თქვენთვის, ასევე მთელი ფორმულა 1-ისთვის. რას ელით 2008 წლის სეზონისგან?**

- ყველაფერი ჩვეულებრივად იქნება. ყოველი სეზონის სტარტზე საკუთარი პოტენციალის რეალიზებას ვცდილობ. დარწმუნებული ვარ, "რენოში" წარმატებას მივაღწევ, ჩვენ ხომ ეს წინა წლებში დავამტკიცეთ. გუნდს მთელს ძალებს შევწირავ, რადგან ვიცი, რომ ის ჩემს გასამარჯვებლად ყველაფერს გააკეთებს. ასეთი იყო ყოველთვის რბოლებისადმი ჩვენი მიდგომა.

**- 2006 წელს, ტიტულის მოგების შემდეგ, დღეს თქვენ პირველად მოირგეთ "რენოს" კომბინეზონი. რა იგრძენით, როცა კვლავ გახდით ამ გუნდის წევრი?**

- სასიამოვნო იყო, ჩემში მოგონებებმა გაიღვიძეს და მომავალს ოპტიმიზმით შევხედე! გუნდს ახალი ფერები აქვს, მომავალი სეზონისთვის ჩაფხუტის ახალი დიზაინი შევარჩიე. ერთადერთი, რაც არ გვყოფნის - ახალი მანქანაა!

**- 2008 წლის სეზონი "რენოში" ახალი თავგადასავალია თუ ძველი ისტორიის ახალი თავი?**

- შეიძლება ითქვას, ერთიც და მეორეც. გუნდი ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც მე ის დავტოვე. ბევრ რამეში მოუმატა, უფრო ძლიერი გახდა. ასე რომ, ერთის მხრივ ახალ გუნდში ახალი თავგადასავლები მელის. მეორეს მხრივ კი, შეუძლებელია დაივიწყო ის ექვსი წელი, რომელიც ფრანგულ გუნდში გავატარე. იმ დროის მოგონებები ძველებურად მკაფიო და ძლიერია.

**- გასულ წელს, "მაკლარენში" თქვენს პარტნიორთან, ლუის ჰემილტონთან დაძაბული ურთიერთობების შესახებ ბევრი დაიწერა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ახალ თანაგუნდელთან, ნელსინიო პიკესთან მუშაობის შემდეგ? როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ურთიერთობები 2008 წელს?**

- არაერთხელ მითქვამს, რომ ის, რაც შარშან პრესაში იწერებოდა, არასწორი იყო, მაგრამ მე კარგად მესმის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთს ვერ გაყიდი. ნელსინიოს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ნორმალური, სასიამოვნო ყმაწვილი ჩანს, რომელსაც სურს ფორმულა 1-ში გამოსვლისგან სიამოვნება მიიღოს, ისევე როგორც ჩემს ძველ პარტნიორებს, ბატონს, ტრულის, ფიზიკოს, მონტანისა თუ მაკნიშს. მათთან გართულებები არასოდეს მქონია და ჩვენ დღემდე ვმეგობრობთ. არა მგონია, რომ 2008 წელს ვინმესთან პრობლემა შემექმნას, ფლავიო ბრიატორე ასეთი სიტუაციების მოგვარების ოსტატია.

**- როგორ მიდის მუშაობა ახალ ბოლიდზე, R28-ზე? რას ელით ამ მანქანისგან?**

- მე ვნახე რაღაც მონაცემები, მაგრამ კონკრეტულად რაიმეს თქმა ჯერ ნაადრევია. პრეზენტაციებზე ყველანი იმედებსა და ნათელ მომავალზე საუბრობენ, მაგრამ მოდით ახალი ბოლიდის პირველ ტესტებს დაველოდოთ.

**- როგორ ჩაიარა ხერესის ტესტებმა? რა შთაბეჭდილება დატოვა მანქანამ?**

- ამ ტესტებს მოუთმენლად ველოდი, რადგან დიდი ხანი არ ვმჯდარვარ ფორმულას მანქანის საჭესთან. ფრთხილად დავიწყე, მაგრამ ვარჯიშის ბოლოს გავთამამდი და ცოტათი ვრისკავდი კიდეც. საერთო ჯამში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

## მძლეოსნობა

პეკინი 2008

# უფეხო პისტორიუსს ოლიმპიადაზე არ უშვებენ



სამხრეთ აფრიკელ ოსკარ პისტორიუსს ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს, მაგრამ პროთეზების მეშვეობით ისე სწრაფად დარბის, პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა და იქ თავის გამოჩენა მოინდომა, თუმცა ამის უფლებას არ აძლევენ.

პისტორიუსს უჩვეულო პროთეზი აქვს. მისი ფეხების მოვალეობას ნახშირბადოვანი ბოჭკოსა და პოლიეთერული ფისის კომპოზიტისგან დამზადებული დრეკადი ფირფიტები ასრულებს, რომლებსაც იმ ადგილზე, სადაც ტერფი უნდა იყოს, ელასტომერისგან (ამ მასალას ფორმულა ერთის საბურავების საწარმოებლად იყენებენ) დამზადებული ლანჩები აქვს დამაგრებული.

მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციამ (IAAF) სპეციალურად შექმნა კომისია, რომელსაც პისტორიუსის პროთეზები უნდა შეესწავლა და დაედგინა, სპორტსმენი მათი მეშვეობით რაიმე უპირატესობას ხომ არ ღებულობს.

IAAF-მა შარშან თავის წესებში ცვლილება შეიტანა, რომლის მიხედვითაც, მორბენლებს ეკრძალებათ ისეთი დრეკადი ელემენტების გამოყენება, რომლებიც მათ მეტოქეებს არ გააჩნიათ და რომელთა მეშვეობითაც, მათი გამომყენებლები სხვებთან შედარებით უპირატესობას ღებულობენ.

საკითხის შესწავლის შემდეგ, კომისიამ დაადგინა, რომ კარბონის კომპოზიტებისგან დამზადებული ფირფიტები სამხრეთ აფრიკელ მორბენალს სერიოზულ უპირატესობას ანიჭებს, რის გამოც, მას ეკრძალება ამ ფირფიტებით IAAF-ის მიერ სანქცირებულ ნებისმიერ ტურნირზე, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე გამოსვლა.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პისტორიუსის მენეჯერმა **პეეტ ფან ზილმა** განაცხადა, რომ IAAF-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს.

*"რა თქმა უნდა, განბილებულები ვართ IAAF-ის გადაწყვეტილებით. ახლა ისლა დაგვრჩენია, ადვოკატებს მოველაპარაკოთ და გადაწყვეტილების IAAF-ისვე ნორმების შესაბამისად გასაჩივრებაზე ვიზრუნოთ"*, - განაცხადა ფან ზილმა.

IAAF-ის კომისიამ პისტორიუსის საკითხის შესასწავლად, კიოლნის გერმანიის სპორტის უნივერსიტეტის პროფესორი **პეტერ ბრუგემანი** მიიწვია. სამხრეთ აფრიკელი მორბენალი ხუთ ჯანსაღ სპორტსმენს შეადარეს. ექსპერიმენტების შედეგად, პროფესორმა ბრუგემანმა დაადგინა, რომ ერთნაირი სიჩქარის გასავითარებლად, პისტორიუსი ჯანმრთელ სპორტსმენებზე დაახლოებით 25 პროცენტით ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ამასთან, კარბონის ფირფიტები, რომლებსაც "ჩიტას" უწოდებენ, ჯანსაღი სპორტსმენების მუხლების სახსრებზე დაახლოებით 30 პროცენტით უფრო ეფექტურად მუშაობენ.

თუმცა, ფან ზილი ირწმუნება, რომ ბრუგემანის მიერ ჩატარებული კვლევა ყველა ფაქტორს არ ითვალისწინებს. მას ეს კვლევები აშშ-ის მეცნიერებისთვის გაუცვნია, რომლებსაც უთქვამთ, რომ კვლევის დროს, ყველა ფაქტორი არ ყოფილა გათვალისწინებული.

ცნობისათვის, პისტორიუსმა შარშან ჯანმრთელ სპორტსმენებთან ერთად, ოქროს ლიგის რომაულ შეხვედრაზე, B გარბენში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი დაიკავა. ორი დღის შემდეგ კი, ბირმინგემში, წვიმიან ამინდში იასპარეზა და ბოლოზე გავიდა. თუმცა, მსაჯებმა მისი შედეგი მაინც გააუქმეს იმის გამო, რომ მან სხვა ზოლში გადაინაცვლა.

პისტორიუსმა, ვისაც ორივე ფეხის ამპუტაცია 11 წლის ასაკში ჩაუტარდა (თანდაყოლილი დეფექტის გამო), ათენის პარალიმპიურ თამაშებზე ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ბრუგემანის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტის ჩატარებაზე თავად დათანხმდა, რადგან ამ პროფესორს მსოფლიო დონის ავტორიტეტი აქვს.

## TV სპორტი

### 17 იანვარი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
15:10 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
19:05 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
19:35 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
21:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:55 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ბლექბერნი.
09:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-მონრეალი.
11:52 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XII ტური. მილანი-არისი.
13:27 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
14:01 სპორტდოსიე.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
16:03 ფეხბურთი. Barca TV.
16:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
17:58 ფეხბურთი. Barca TV.
18:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
18:34 ფეხბურთი. Barca TV.
18:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-იუვენტუსი.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:43 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
22:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XII ტური. რეალი-ბარსელონა (LIVE).
00:49 სპორტული ისტორიები.
01:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.
03:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:33 სპორტდოსიე.
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ანაჰაიმი (LIVE).
07:38 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:39 ჩემი სპორტი.

### EUROSPORT

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ანტჰოლცი. იტალია (LIVE).
18:30 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. სერბეთი-ხორვატია. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. სერბეთი-ხორვატია. გერმანია (LIVE).
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2004.
02:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ანტჰოლცი. იტალია.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2004.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. V დღე. მელბურნი (LIVE).

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ტუნისი-2004.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. ტოკიო. იაპონია.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ჩინეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
02:00 ახალი ამბები.
02:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბაარეინი-ქუვეითი | 1:0 |
| ს. აფრიკა-ბოტსვანა | 2:1 |
| მაროკო-ანგოლა | 2:1 |
| დუისბურგი-ნიურნბერგი | 1:2 |
| ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 1:1 |
| სტ. გალენი-კარლ ცაისი | 0:1 |
| დელემონი-ტუნი | 4:5 |
| ტენერიფე-მიუნხენი | 0:1 |
| მალაგა-დორტმუნდი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერფილდი-როჩდეილი | 3:4 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/32 ფინალი. გადათამაშება** | |
| ჰავანტი-სუონსი | 4:2 |
| ჰერეფორდი-ტრანმერი | 1:0 |
| ნიუკასლი-სტოკი | 4:1 |
| მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| პალერმო-უდინეზე | 0:1 (0:0) |
| ფიორენტინა-ასკოლი | 2:0 (1:1) |
| კატანია-მილანი | 1:1 (2:1) |
| სამპდორია-კალიარი | 4:0 (0:1) |
| რომა-ტორინო | 4:0 (1:3) |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| ესპანიოლი-ბილბაო | 1:1, პენ. 3:4 (1:1) |
| ლევანტე-ხეტაფე | 0:1 (0:3) |
| რასინგი-სარაგოსა | 4:2 (1:1) |
| ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1:1 (0:0) |
| ვილარეალი-რეკრეატივო დ.დ. | 2:0 (0:1) |
| რეალი-მალიორკა | 0:1 (1:2) |
| ვალენსია-ბეტისი | 2:1 (2:1) |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ლე მანი-ლიონი | 1:0 |
| პსჟ-ვალანსი | 4:0 |
| ლანსი-ნანსი | 3:0 |
| ოსერი-მარსელი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-ალკმაარი | 1:2 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ჰერაკლესი-დენ ბოში | 1:0 |
| კუიკ-ბოისი-ჰერენვენი A | 1:1, პენ. 3:1 |
| ბრედა-აიაქსი | 4:2 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბევერენი-ლომელი | 2:0 |
| **შოტლანდია** | |
| გრეტნა-რეინჯერსი | 1:2 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| კლაიდი-დანდი იუნ. | 0:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ასტერასი-ატრომიტოსი | 0:1 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 4:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| ანკარა-რიზე | 0:0 |
| ანკარაგიუჯუ-ბეშიქთაში | 1:1 |
| მანისა-ქირიქალე | 2:1 |
| ქაისერი-ალანია | 5:0 |
| ფენერბაჩე-ურფა | 3:2 |
| ბურსა-ტოფთასი | 1:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-ლეტუვოს რიტასი | 90:84 |
| მილანი-არისი | 77:69 |
| რომა-პარტიზანი | 88:87 (ო) |
| უნიკახა-ლე მანი | 87:68 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-სპარტა | 4:0 |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 4:1 |



რეკორდი

## სანტორომ აგასის გადაასწრო

ფრანგმა ჩოგბურთელმა **ფაბრის სანტორომ** ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში ითამაშა და ეს იმას ნიშნავს, რომ ვეტერანი ჩოგბურთელი "დიდი სლემის" ტურნირებში მონაწილეობის რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა.

35 წლის სანტორომ 62-ედ აილო სტარტი "დიდი სლემის" ტურნირზე. წინა რეკორდი ლეგენდარულ ამერიკელს, **ანდრე აგასის** ეკუთვნოდა და ის 61 ტურნირს უდრიდა.

*"თუ ჩოგბურთის ისტორიაში ჩავიხედავთ, იქ აუცილებლად აღმოვაჩენთ დიად სახელებს - პიტ სამპრასს, ანდრე აგასის, ჯიმი კონორსს და სხვებს. გარკვეულ წილად, ჩემთვის სასიამოვნოა მათ გვერდით დგომა. რა თქმა უნდა, შედეგებით ამ ვარსკვლავებს ვერ შევედრები, მაგრამ სხვა მხრივ მაინც შევედი ისტორიაში. ეს რეკორდი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს"*, - განაცხადა ფრანგმა ჩოგბურთელმა, რომელიც დღეს, მეორე წრეში შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ხვდება.

**ATP-ის ტურის ათი სუპერვეტერანის სია ასე გამოიყურება:**

| | | |
|---|---|---|
| 62 | ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | (1989-2008) |
| 61 | ანდრე აგასი (აშშ) | (1986-2006) |
| 58 | ჯიმი კონორსი (აშშ) | (1970-92) |
| 57 | ივან ლენდლი (აშშ) | (1978-94) |
| 57 | მაიკლ ჩანგი (აშშ) | (1987-2003) |
| 57 | უეინ ფერეირა (ს. აფრიკა) | (1990-2004) |
| 56 | იონას ბიორკმანი (შვედეთი) | (1993-2007) |
| 55 | მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) | (1985-2000) |
| 54 | სტეფან ედბერგი (შვედეთი) | (1983-1996) |
| 53 | ჯონ ალექსანდერი (აშშ) | (1968-1985) |

ჩოგბურთი

## ნიკოლ პრატმა ჩოგბურთი დატოვა

ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში რუს **ნადეჟდა პეტროვასთან** დამარცხების შემდეგ, პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა ავსტრიელმა ჩოგბურთელმა **ნიკოლ პრატმა**. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს.

*"ეს ჩემი ბოლო მატჩი და ბოლო ტურნირი იყო*, - განაცხადა 34 წლის პრატმა. - *ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, ჩოგბურთისთვის ყველაფერი გავიღე"*.

თავის 18-წლიან კარიერაში ავსტრიელმა ერთეულთა თანრიგში ერთადერთი ტურნირი მოიგო, წყვილებში კი, 9 ტიტულს დაეუფლა. საერთო ჯამში, კორტზე მან 2 384 325 დოლარი გამოიმუშავა.

ჭადრაკი

## ვეიკ ენ ზეეს ტურნირი

IV ტური: **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი)-**პაველ ელიანოვი** (უკრაინა) 1:0; **იუდით პოლგარი** (უნგრეთი)-**ბორის გელფანდი** (ისრაელი) 1:0; **ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია)-**ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) 1:0; **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი)-**თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0:5; **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი)-**ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი)- 0.5:0:5; **პეტერ ლეკო** (უნგრეთი)-**ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა) 0.5:0:5; **ლევონ არონიანი** (სომხეთი)-**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) 0.5:0:5.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1-2. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია), **ლევონ არონიანი** (სომხეთი) - 3 ქულა; 3-6. **ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია), **იუდით პოლგარი** (უნგრეთი), **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი), **თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) - 2.5; 7-9. **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა), **მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი), **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) - 2; 10-11. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) - 1.5; 12-14. **პაველ ელიანოვი** (უკრაინა), **ბორის გელფანდი** (ისრაელი), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) - 1.

ავსტრალიის ღია პირველობა

# შარაპოვამ დავენპორტი შეაჩერა

ავსტრალიის ღია პირველობის მესამე დღის მთავარი შეხვედრა ის იყო, რომელშიც ერთმანეთს მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა** და ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი** დაუპირისპირდა.

დავენპორტმა მშობიარობის, შემდეგ სულ ოთხ ტურნირზე ითამაშა და მათგან სამი მოიგო. შარაპოვას კი ბოლო ხანს მხრის ტრავმა აწუხებს, რაც მათ მეტნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა.

მაგრამ დაძაბული პაექრობა, რომელსაც ყველა ელოდა, არ შედგა. რუსი იოლად გაუსწორდა მეტოქეს, ვისაც კორტზე დაბრუნების შემდეგ, ავსტრალიის ღიას დაწყებამდე ოციდან 19 შეხვედრა მოგებული ჰქონდა.

*"ამ შეხვედრისთვის მზადება მაშინვე დავიწყე, როგორც კი გავიგე, რომ მეორე წრეში ლინდსისთან შეხვედრა მიწევდა. ამ თამაშს ისე მივუდექი, თითქოს ის ფინალი ყოფილიყოს"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვინც თამაში თავიდანვე აგრესიულად დაიწყო. ის ბურთს მუდმივად უცვლიდა მიმართულებას და მეტოქეს ერთი კუთხიდან მეორესკენ არბენინებდა. შედეგად, პირველი სეტის პირველ ხუთ გეიმში, მეტოქეს მხოლოდ ექვსი ქულა დაუთმო.

ამერიკელს მოწოდებაც კი არ გამოსდიოდა. რუსი თითქმის ყოველთვის ახერხებდა მისი სერვისის აღებას და თანაც, ამას ისე კარგად აკეთებდა, რომ დავენპორტს დაბრუნებული ბურთის მოგერიებაც კი უჭირდა. შედეგად, ამერიკელმა პირველი გეიმი ზედიზედ ხუთის წაგების შემდეგ მოიგო.

ალსანიშნავია, რომ შეხვედრის დასაწყისში, მაყურებელი ორივე ჩოგბურთელს თანაბრად ქომაგობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აშკარად გახდა, რომ დავენპორტს გაუჭირდა, მაყურებელმაც მისი გამხნევება დაიწყო. *"სამწუხაროდ, ჩემი ქომაგი კარგი თამაშით ვერ გავახარე. კარგი იქნებოდა, შეხვედრის დასაწყისში ოდნავ უკეთ მაინც მეთამაშა. მაგრამ მარია ჩემზე უკეთ ირჯებოდა და შანსს თითქმის არ მიტოვებდა"*, - განაცხადა დავენპორტმა.

მეორე სეტში ის მაინც ათამაშდა. შედეგად, პირველ ექვს გეიმში ჩოგბურთელები მხოლოდ თავიანთ სერვის-გეიმებს იგებდნენ. მეშვიდე გეიმში კი, როცა ამერიკელი აწოდებდა, შარაპოვამ ოთხი ბრეიკ პოინტი მოიპოვა. მართალია, დავენპორტმა პირველი სამი მოიგერია, მაგრამ რუსს, ვისაც მთელი შეხვედრის განმავლობაში, თავის სერვისზე ორ ქულაზე მეტი არ დაუთმია, მეოთხე შანსი ხელიდან აღარ გაუშვია.

იოლი გამარჯვება მოიპოვეს ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, ვინც შარშან ფინალში სწორედ შარაპოვა დაამარცხა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**. ამ ორ ჩოგბურთელს ნახევარფინალში ერთმანეთთან შეხვედრის პერსპექტივა აქვთ. მანამდე კი იოლად უმკლავდებიან სუსტ მეტოქეებს.

სერენა ბურთს ისე ძლიერად ურტყამდა, იფიქრებდი, ჩინელი **მენ იუანის** ნაცარტუტად ქცევას აპირებსო. მოკლედ, 2003 წლიდან მოყოლებული ამერიკელმა მელბურნ პარკზე ნათამაშები 26 შეხვედრიდან 25-ე მოიგო.

რაც შეეხება ჟუსტინს, მან უფრო ზუსტ თამაშზე გააკეთა აქცენტი. რუს **ოლგა პუჩკოვასთან** შეხვედრის პირველ სეტში, მან სულ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მეორე სეტში ძლიერი მოწოდების მქონე რუსი კარგად ათამაშდა. თანაც, მეორე სეტის დასაწყისში, ჟუსტინის მხარეს მზე ანათებდა, რითაც ბელგიელს მოწოდებისას ხელს უშლიდა. შედეგად, ტურნირის პირველმა ჩოგანმა თავის პირველ ორ სერვის გეიმში ხუთი ორმაგი შეცდომა დაუშვა. და მაინც, გამოცდილებამ მას ერთი ბრეიკი მაინც აალებინა.

კარგად ითამაშა ამერიკელმა **ენდი როდიკმაც**, ვისი მეტოქეც გერმანელი **მიხაელ ბერერი** იყო. ამერიკელმა თავის პირველ რვა სერვის-გეიმზე მხოლოდ რვა ქულა დათმო. მესამე სეტში (მეორე გეიმში) ბერერმა მაინც შეძლო მეტოქის მოწოდების აღება. როდიკმა ორი ბრეიკ პოინტი კი მოიგერია, მაგრამ მესამეზე გერმანელმა ისე ოსტატურად დაუბრუნა ბურთი, რომ მასთან მიკარებაც ვერ შეძლო და ჯავრი ჩოგანზე იყარა.

მომდევნო გეიმი ბერერმა თავის სერვისზე მოიგო და 3:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ, როდიკმა აინჩხვიტა და ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო. 3:5-ზე ბერერმა თავის მოწოდებაზე ოთხი მატჩ პოინტის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ როდიკმა მეხუთე შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და თამაშსაც წერტილი დაუსვა.

კიდევ უფრო იოლი გამარჯვება მოიპოვა ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, რომელმაც სამ სეტში მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ფრანგ **ფლორენ სერას**. ესპანელმა პირველი სეტი 21 წუთში მოიგო და მხოლოდ ოთხი უნებლიე დაუშვა.

მერაბ ლორთქიფანიძე

**კაცები. მეორე წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ფლორენ სერა (საფრ) 6:0, 6:2, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-ნიკოლა მაიუ (საფრ) 6:4, 6:0, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:2, 6:2, 6:4; **რიშარ გასკე (საფრ, 8)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:1, 6:3; **მარდი ფიში (აშშ)**-ტომი რობრედო (ესპ, 11) 6:1, 6:2, 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 14)**-ანდრეას სეპი (იტა) 4:6, 7:5, 6:3, 7:6 (4); **ივო კარლოვიჩი (ხორვ, 20)**-დუდი სელა (ისრ) 6:7(5), 6:4, 6:3, 6:1; **პოლ-ანრი მატიე (საფრ, 23)**-პაულ კაპდევილი (ჩილე) 6:7(5), 6:0, 6:4, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 24)**-ჯეს ლევინი (აშშ) 6:2, 7:5, 7:6(2); **მარკ გიშელი (საფრ)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი, 26) 6:2, 3:6, 7:6(5), 2:1 ვავრინკას ტრავმა; **ჟილ სიმონი (საფრ, 28)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:2, 6:2, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:4, 6:2, 0:1 კოროლიოვის ტრავმა; **იგორ ანდრეევი (რუს, 31)**-კრისტოფ ფლიგენი (ბელგ) 7:5, 7:5, 6:2; **შტეფან კუბეკი (ავსტ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:3, 7:6(6), 7:6(5); **გილერმო გარსია-ლორესი (ესპ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:4, 5:7, 6:4, 7:6(8); **ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ)**-სემ ვარბურგი (აშშ) 6:4, 7:6(4), 6:2

**ქალები. მეორე წრე**

**ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:1, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)**-ედინა გალოვიცი (რუმ) 6:2, 7:5; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**- ლინდსი დავენპორტი (აშშ) 6:1, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-მენ იუანი (ჩინ) 6:3, 6:1; **ელენა დემენტიევა (რუს, 11)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 5:7, 6:2, 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 12)**-ალისია მოლიკი (ავსტრალ) 6:2, 6:3; **არავან რეზაი (საფრ)**-ტატიანა გოლოვინი (საფრ, 13) 6:3, 3:6, 6:3; **კეისი დელ'აკვა (ავსტრალ)**-პატი შნიდერი (შვეი, 15) 4:6, 7:5, 8:6; **შაჰარ პეერი (ისრ, 17)**-ჯესიკა მური (ავსტრალშ) 6:0, 7:5; **ამელი მორესმო (საფრ, 18)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 6:4, 7:6(5); **ჰსიეჰ სუ-ვეი (ტაივ)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 19) 6:2, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 25)**-ანგელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბელა, 26)**-სანდრა კლიოზელი (გერ) 6:1, 6:1; **ვირჟინი რასანო (საფრ, 30)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:2, 5:7, 6:3; **აი სუგიამა (იაპ)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 6:4, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:4



როდიკს ბერერის დამარცხება არ გასჭირვებია

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა